# ქართლოსი

საქართველოს ფაშისტური დარაზმულობა

KARTLOSSI — ORGANE DU NATIONALISME INTEGRAL GEORGIEN

რედაქტორი: — ვიქ. ნოზაძე — Directeur : VICTOR NOSADZÉ — 26, rue Lacretelle, Paris, XV.

13 - 15 — Paris, Septembre 1938. სექტემბერი, 1938 წ. პარიზი. — 13 - 15


## კაპიტალისტური მეურნეობის მწუხრი და ახალი სამეურნეო მიმართებანი

(ფაშიზმის საკითხებისათვის)

ფაშიზმის შესახებ ქართულ პრესაში დღემდე მნიშვნელოვანი და დასახელების ღირსი არა დაწერილა-რა. საგულისხმო არაა, რასაკვირველია, ის რამოდენიმე წერილი, რომელიც სხვადასხვა ორგანოში დაიბეჭდა და მორახუნე ცარიელი სიტყვებითაა გაჭექილი; საჭირო კი არის ამ საკითხს სათანადო ყურადღება მიექცეს, ვინაიდან მასთან დაკავშირებულია თანამედროვე მსოფლიო მეურნეობისა და პოლიტიკის ბედი.

ბევრსა ჰგონია, ყალბი წარმოდგენისა და საგნის შეუსწავლებლობისა გამო, რომ ფაშიზმის საკითხები არის მხოლოდ პოლიტიკური რეჟიმის, კერძოდ კი დიქტატურის საკითხები; და რადგან დიქტატურა, როგორც მმართველობის ფორმა, ბევრისათვის მიუღებელია, ამიტომ ფაშიზმსაც ხელაღებით უარჰყოფენ და ვადაგადასულ ლიბერალურ დემოკრატიას ებლაუჭებიან. სინამდვილეში კი ფაშიზმის საკითხი არის თანამედროვე კაპიტალიზმის ყოფნა-არ-ყოფნის საკითხი, — და ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლა არის ამასთანავე კაპიტალიზმისა და მისი პირმშო — სოციალიზმის — ბრძოლა თავდაცვისთავის. მაგრამ რომ ეს მოვლენა გასაგები შეიქნეს, ამიტომ აუცილებელია ვიცოდეთ, თუ რა არის ეს კაპიტალიზმი და რაა ეს ფაშიზმი.

რა არის კაპიტალიზმი: — კაპიტალიზმი არის განსაკუთრებული ფორმა წარმოებისა, მრეწველობითი წარმოების ფორმა; ამგვარად იგი მჭიდროდ დაკავშირებულია მაშინიზმთან. კაპიტალიზმი არის მასსიური წარმოება მასსიური მომხმარებლობისათვის, მასსიურად დაფინანსებული ანონიმური ეროვნული თუ საერთაშორისო კაპიტალით (იხ. მუსოლინი: L'Etat Corporative, სიტყვა 1933 წ. ნოემბრის 14-ს და 1934 წ. იანვრის 13-ს). კაპიტალიზმის საფუძველია კერძო მეურნული ანუ ინდივიდუალისტური ეკონომიური წესრიგი, — მის გარეშე კაპიტალიზმი არ არსებობს. ანუ: კაპიტალიზმი არის ინდივიდუალური სამეურნეო წესრიგი, რომელიც განსაზღვრულია წარმოების ტეხნიკის მიხედვით, შრომის განაწილების ხარისხით, რომელსაც ეწოდება „საქონლის წარმოება" (Warenproduction) და სოციალ-ეკონომიური თვალსაზრისის მიხ[illegible] კი საწარმოთა (Unteraehmung) ბატონობით ([illegible]e: Kapitalismus. Hand. p. St. Iena). მაშასადამე, კაპიტალისტური წარმოება არის საქონლის წარმოება უცნობი მომხმარებელისათვის და მიზნად ისახავს მხოლოდ მოგების მიღებას. აქედან წარმოსდგება კონკურენცია - მეტოქეობა და წარმოების უწესრიგობა, ქაოსი. აქედანვე გამომდინარეობენ სამეურნეო კრიზისებიც, რომელნიც ჩვეულებრივი არიან კაპიტალისტური წარმოებისათვის.

დღევანდელი სამეურნეო წესრიგიც განიცდის კრიზისს. ხოლო ეს თანამედროვე კაპიტალისტუ[illegible] სისტემა განიცდის არა ჩვეულებრივ, ამ მეურნეობი[illegible]თვის დამახასიათებელ კრიზისს, არა ეგრედწოდებუ[illegible] [illegible]იკლურ კრიზისს, არამედ თვით სისტემის კრიზის[illegible] — [illegible]ე იგი, თვით კაპიტალისტური მეურნეობა არის [illegible] დასნეულებული და მისი გადარჩენა საჭოჭმა[illegible]ბდება.

კაპიტალისტურმა სისტემამ შესცვალა ნატურალური მეურნეობა (წინარკაპიტალისტური ხანა) და დაიპყრო მეურნეობის მწვერვალები მეთვრამეტე საუკუნის დასასრულიდან, როდესაც თავისუფალმა ვაჭრობამ, ფრიტრეიდერობამ ფრთა გაშალა წარსული საუკუნის ორმოციანი წლებიდან, და მისი განვითარება დიდ აღმავლობაში იმყოფებოდა (კაპიტალიზმის გაფურჩქვნის ხანა, დინამიური ჟამი); იგი გადადის შემდეგ ეპოქაში, როდესაც მან სამოცდაათიან წლებიდან მსოფლიო ომამდე უმაღლეს საფეხურს მიაღწია (ზეკაპიტალიზმის ხანა), ხოლო მსოფლიო ომის შემდეგ იწყება მისი დაღმართი, თავქვედაშვება (ხანა გვიანი, მწუხრი კაპიტალიზმისა). ჩვენ სწორედ ამ ხანაში ვცხოვრობთ, როდესაც ეს „მწუხრი" კაპიტალიზმი თავის დაუნდობელ მოწინააღმდეგე ფაშიზმთან ბრძოლას აწარმოებს, მძაფრსა და მწარეს, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ ასპარეზზე. ჩვენ თანამოწმე ვართ იმ პროცესის, როცა კაპიტალიზმი და მისი ყოველგვარი გამოხატულება, სოციალ-ეკონომიური, პოლიტიკური, თუ საზოგადოებრივი. თანამედროვე ცხოვრებაში უკან იხევს და ზოგგან დამარცხების შედეგად, იძულებით გზას უთმობს ახალ მეურნულ სისტემას, კორპორატიულ ეკონომიკას. ეს მოვლენა დასრულებული არაა, რასაკვირველია, და ბრძოლა დაუნდობელი გრძელდება, მაგრამ მთელი განვითარება იქით მიდის, რომ კორპორატიზმს გამარჯვების მომავალი უწერია და ეროვნული მეურნეობის დამყარება მსოფლიო მეურნეობის დღევანდელი მსვლელობის შედეგი იქნება.

მაგრამ რა კავშირი აქვს ამას ქართულ სინამდვილესთან?, რომელიც თანამედროვე კაპიტალისტურ სისტემას სავსებით დაშორებულია, და პირიქით, სახელით მაინც კომუნისტურ თუ სოციალისტურ. და ნამდვილად კი სახელმწიფო კაპიტალიზმშია ჩაბმული?! — ასეთი საკითხის წარმოდგენა ბუნებრივია და გასაგებიც. მართლა, თუ დღეს კაპიტალისტური სისტემა თავის აღსასრულს უახლოვდება და სულს ღაფავს, კაპიტალიზმის მწუხრი დგება, და იგი უნდა შეიცვალოს რომელიმე ახალი სამეურნეო სისტემით, — საბჭოთა კავშირში ხომ კაპიტალიზმი, თეორიულად მაინც, მოსპობილია და ხდება ცდა მის მაგიერ კომუნისტური თუ სოციალისტური მეურნეობის დასამყარებლად! მაშ, ჩვენ, თუ ლოღიკურად ვიმსჯელებთ, უნდა ხელი გავუმართოთ საბჭოთა მეურნეობას

და მის ხელმძღვანელ ხელისუფლებას, რათა დავეხმაროთ მას დანარჩენ მსოფლიოში მომაკვდავი კაპიტალიზმის მაგიერად სოციალისტური თუ კომუნისტური მეურნეობის შექმნაში და გამტკიცებაში. მაგრამ ჩვენ არამც თუ უარს ვამბობთ ასეთ დახმარებაზე, არამედ არც ვღებულობთ საბჭოურ მეურნეობას და ვებრძვით საბჭოთა ხელისუფლებას.

ასეთი ჩვენი დამოკიდებულება საბჭოთა კავშირისადმი და მისი მეურნეობისადმი არ აიხსნება უბრალოდ იდეოლოგიური სხვაობის მიზეზით, — თავისთავად ცხადია, რომ უნივერსალისტური იდეოლოგია, როგორიცაა კომუნიზმი — ვერ შეუთვისდება ნაციონალისტურ იდეოლოგიას, როგორიცაა ფაშიზმი. ეს, ასე ვსთქვათ, ზოგადი დაშორების ასპარეზია, უფსკრულად ქმნილი.

საბჭოთა მეურნეობა არის ისეთი ტიპის მეურნეობა, სადაც პიროვნებაც მოსპობილია და ერიც. მეურნეობის პატრონი არის კოლექტივი, დღეს ცენტრალისტური საბჭოთა კავშირის დიქტატურით განხორციელებული. საბჭოთა მეურნეობა არის სახელმწიფო კაპიტალიზმი ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, საბჭოთა მეურნეობა არის გაბიუროკრატებული მეურნეობა. მართალია, საბჭოთა მეურნეობა არის დაგეგმული, მაგრამ ეს დაგეგმული მეურნეობა მოკლებულია თვით გეგმის არსებით, აუცილებელ მხარეს და გადაქცეულია ბიუროკრატიული აპარატის სურვილებისა და თოპრიანების საქმედ.

სამეურნეო გეგმა ანუ გეგმითი მეურნეობა ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: 1) იგი უნდა შეიცავდეს ყოველივეს, ტოტალობა; — ეს არაა კონტროლი, განაწილება, არამედ მეურნეობის და სამეურნეო მოვლენათა დაგეგმვა და მოწესრიგება. 2) იგი უნდა იყოს ერთიანი, — ესე იგი, დაგეგმვა უნდა სწარმოებდეს ერთი ადგილიდან, ცენტრიდან და ვინაიდან ეს ერთი ადგილი არ შეიძლება იყოს ინტერნაციონალური, საერთაშორისო, ამიტომ იგი თავის თავად არის ნაციონალური, — დაგეგმული მეურნეობა ამავე დროს არის ეროვნული მეურნეობა. 3) დაგეგმულ მეურნეობას ახასიათებს აგრეთვე მრავალგვარობა, ერთმლიანად გეგმიანობა არ არსებობს. აქ თვალწინ იშლება გეგმიანობის მიზნები და გეზები. სამეურნეო ცხოვრების მრავალნაირობა გეგმიანობის დროს მხედველობაში უნდა იღებდეს სამეურნეო ასპარეზის აბსოლუტურ და რელატიურ სიდიდეს, საზოგადოებრივ აღნაგობას, სტრუქტურას, ხალხის ხასიათს, კულტურულ დონეს, ისტორიასა და სხ. მაგრამ ამას გარდა დაგეგმულ მეურნეობაში უნდა არსებობდენ სხვადასხვა სამეურნეო ფორმები და სისტემები. (იხილეთ **Werner Sombart: Die Zu unft des Kapitalismus, Berlin, 1937.** მისივე: **Der deutsche Sozialismus, Berlin, 1934**). როდესაც დაგეგმული მეურნეობა მხოლოდ ერთ სამეურნეო ფორმას ღებულობს და მას სახელმწიფო ძალით ატარებს და ანხორციელებს, ჰქმნის სამეურნეო ფორმის მონიზმს, მაგალითად, სახელმწიფო კაპიტალიზმს ან კოლექტივიზმს, — ეს უკვე გეგმის დიდი და არსებითი ნაკლია და მას დამარცხება მოელის.

სამეურნეო მონიზმის შესანიშნავი მაგალითია საბჭოთა მეურნეობა, რომელიც სახელმწიფო, ბიუროკრატიულ მეურნეობას წარმოადგენს. მისი საბოლოო განხორციელება შეუძლებელი ხდება. მისი სამეურნეო შედეგები კი მხოლოდ განუზომელი ზარალით, სახალხო მეურნეობის ზიანით სრულდება. ამით აიხსნება ის უბედურება სამეურნეო ფრონტზე, რომელიც საბჭოთა კავშირში არსებობს და რომელსაც „მავნებლობას“ და ჯაშუშურ დივერსიებს აბრალიან, რუსული ანდაზის თქმით, სნეული თავიდან ჯანმრთელ თავზე გადააქვთ. საბჭოთა მეურნეობა მუდმივი სნეულებით არის შეპყრობილი და სამეურნეო ასპარეზზე რღვევანიც აუცილებელი იქნებიან.

ნამდვილ დაგეგმულ მეურნეობაში სამეურნეო ფორმათა და სამეურნეო სისტემათა მრავალნაირობაა, — აქ არის კერძო საკუთრება საზოგადოებრივ მეურნეობასთან ერთად, კერძო მეურნეობა საზოგადოებრივ საკუთრებასთან ერთად.

როგორც ვსთქვით, კაპიტალიზმს თავის უკანასკნელ, მწუხრის ხანაში ნელნელ სცვლის დაგეგმული მეურნეობა. და სახელდობრ, მისი ერთი, დღეს უკვე გარკვეული სახე, კორპორატიზმი, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში უკვე გზას იკაფავს.

კომუნისტური მეურნეობა, როგორც ეროვნული, ისე პიროვნული თვალსაზრისით მიუღებელია, საზარალოა, საზიანოა, — თავი რომ დავანებოთ წმინდა ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საკითხებს. იგი დამარცხებით უნდა დასრულდეს, რადგან საბჭოთა მეურნეობა ვერ ასრულებს და ვერც აასრულებს მეურნეობის დანიშნულებას. მეურნეობა ხომ არის: წარმოება (პროდუქცია), ალებმიცემობა (ცირკულაცია), განაწილება (დისტრიბუცია) და მომხმარებლობა (კონსუმცია). და არც ერთი ეს დარგი საბჭოთა მეურნეობაში კეთილად არ მოქმედებს, მიზანს ვერ აღწევს. ამიტომ იგი სრული გაკოტრებით უნდა დასრულდეს და საბჭოთა რეჟიმი, სხვა მიზეზებთან დაკავშირებითაც და მათ შედეგათაც უნდა დაეცეს. აქედან ჩვენ მოველით საქართველოს თავისუფლების აღდგენას და ეროვნული სახელმწიფოს შექმნას.

აი მომავალი პირობებისათვის, როდესაც ჩვენ მივაღწევთ სამშობლოს თავისუფლებას, ჩვენ უნდა გვქონდეს დაახლოებითი, ზოგადი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორ იქნება საჭირო ვუხელმძღვანელოთ მიღებულ მემკვიდრეობას, — ამ შემთხვევაში სამეურნეო ცხოვრებას ეხება საქმე.

საბჭოური მეურნეობის დაცემის შემდეგ, ჩვენ რა გზას დავადგეთ? დავუბრუნდეთ კაპიტალისტურ წესწყობილებას? დავამყაროთ ფართო და თავისუფალი მეურნეობა კაპიტალისტურ ნიადაგზე? გასაქანი მივსცეთ თავისუფალ ინდივიდუალისტურ მეურნეობას? თუ შევსდგეთ ახალ გზაზე, რომელსაც ფაშისტური მეურნეობა გვიჩვენებს?

საბჭ. რუსეთში მეურნეობა სახელმწიფოს ხელშია. სახელმწიფო არის ერთადერთი ბატონპატრონი მთელი ქონებისა და აუარებელი სახალხო დოვლათი სახელმწიფო მრეწველობაშია ჩაბანდებული. ასეთი მეურნეობის დარღვევის შემდეგ განა მოსაწადინებელია ლიბერალური მეურნეობის ანუ წმინდა კაპიტალისტური წესწყობილების ნიადაგზე გადასვლა, ინდივიდუალისტური მეურნეობის შექმნა? ეს ხომ მთელი სახალხო მეურნეობის განიავებას უდრის. შეუძლებელია, რომ დღევანდელ სახელმწიფო მრეწველობაში ჩაბანდული სახალხო ქონება გადაეცეს კერძო პირთ საკუთრებად და იგი მეტოქე მეურნეობის თავისუფალ ძალთა ჭიდილის საგნად გახდეს. აქ საკითხი ეხება მხოლოდ მრეწველობას (ინდუსტრიას) და არა სასოფლო მეურნეობას. მიწა, როგორც ეს უკვე განცხადებულია ჩვენს **დებულებებში**, მიწის მოღვაწეს უნდა მიეკუთვნოს, მაგრამ, როგორც იქვეა ნათქვამი, „დღევანდელი საბჭოთა სამრეწველო მეურნეობა უნდა დარჩეს სახელმწიფოს ხელში, რომელიც მას წარმართავს სარგებლიანობის თვალსაზრისით“. ეს იმას ნიშნავს, რომ დიდი სამრეწველო დაწესებულებანი სახელმწიფოს ხელში რჩებიან და თუ მრეწველობის რომელიმე დარგი ან საწარმო რენტაბელობას მოკლებულია და მას სახელმწიფო ვერ უძღვება რაციონალიზაციის პრინციპის დაცვითაც, იგი უნდა შეჩერებულ იქმნეს ან კონცესიურად გადაეცეს კერძო თაოსნობას. სახელმწიფოს ხელში არსებული მრეწველობის დარჩენა არ ნიშნავს იმას, რომ სამრეწველო მონოპოლია თუ სამეურნეო მონიზმი იქნება დაკანონებული, — არა! კერძო თაოსნობას თავისუფალი ადგილი ექნება არსებულ პირობებში, ხოლო ქართველ ერს, მის იურიდიულ გამოხატულებას — სახელმწიფოს — უნდა შერჩეს ხალხის ამდენი წამება-დაგვით დაგროვილი სიმდიდრე. ეს უბრალო მოსაზრება, სხვას რომ თავი დავანებოთ, გვიკარნახებს უარყოფილ იქმნას ლიბერალურ-დემოკრატიული წესწყობილება, უარყოფილ იქმნეს კაპიტალისტური სისტემა. სამაგიეროდ სასარგებლოდ უნდა აღვიაროთ კორპორატიული მეურნეობა, რომელშიაც როგორც კერძო თაოსნობა, ისე საზოგადოებრივი ელემენტი სათანადოთ დაცულია და სადაც მეურნეობა ერის ინტერესებს ემსახურება. კორპორატიულ მეურნეობაში კერძო ინტერესები და ეროვნული ინტერესები ერთმანეთს უთანხმდებიან,

შრომა და კაპიტალი ერს ემსახურებიან და ერის ძლიერებისა და კეთილყოფა-სიმდიდრის მიზნებს ისახავენ. ამ შემთხვევაში აღარაა თავაშვებული კაპიტალიზმი ან აღვირახსნილი კოლექტივიზმი, რომელიც პიროვნებასა სპობს. კერძო საკუთრება საზოგადოებრივ საკუთრებასთან ერთად არსებობს და კერძო მეურნეობა საზოგადო მეურნეობასთან ერთად მოღვაწეობს და ყველა ეს ერის ძლიერებისა და აიდიალის, ერის კეთილყოფისა და სიმდიდრის შექმნის ინტერესებს ექვემდებარება. ბოლშევიზმით ეკონომიურად განადგურებული ქართველი ერის მომავალი ხსნა მხოლოდ ასეთი ეკონომიური პოლიტიკით არის მოსალოდნელი და შესაძლებელიც.

ქართული ეროვნული ეკონომიკის ინტერესები მოითხოვენ სამეურნეო დარგში უარყოფილ იქმნეს ლიბერალური პოლიტიკა და განხორციელდეს კორპორატიული, რომელშიაც როგორც საზოგადოებრივი, ისე კერძო თაოსნობის ელემენტი სათანადო ადგილს მიიჩენს.

მენშევიკურ სოციალიზმზე ხომ ლაპარაკიც ნაკია ანუ ზედმეტი და გარდანამეტი. დღეს ქართული მენშევიზმი დაქსაქსული, იდეოლოგია შერყეული, მოშლილი, ბრძოლის უნარს მოკლებული, ნაპირდაკარგული მენშევიზმი ცხოვრების სინამდვილეს აცილებულია და მენშევიკურ ბუნდოვან ექსპერიმენტებზე და სოციალისტურ გაკოტრებულ თეორიებზე მსჯელობაც ქარბია.

თანამედროვე ეკონომიურ ვითარებათა მსვლელობით გამოწვეულია კაპიტალიზმისა და სოციალიზმის თავდაღმართი, — დამდგარია, როგორც ვ. ზომბარტი ეძახის გვიანი, მწუხრი კაპიტალიზმის ხანა (Spaetkapitalismus) ააუ როგორც მუსოლინი ამბობს: კაპიტალიზმი და მისი მესაფლავე სოციალიზმიც ერთად კვდებიან; ვითარდება აძჟამად ახალი ეკონომიური წესწყობილება, იწყება ახალი ციკლი სამეურნეო ცხოვრებაში და განთავისუფლებული საქართველოც ამ ციკლს უნდა ჩაებას.

კორპორატიული მეურნეობა — აი ის ახალი სისტემა, რომლითაც ჩვენ მივაღწევთ ჩვენი ეროვნული სახელმწიფოს ფარგლებში ფართო სამეურნეო განვითარებას და ერის ძლიერებასა და კეთილდღეობასაც უმაღლეს განვითარებამდე წარვზიდავთ.

ვიკ. ნოზაძე

P. S. ქართველი მკითხველისათვის საყურადღებო უნდა იყოს თანამედროვე ეკონომიკისა და კორპორატიული მეურნეობის საკითხთა შესწავლა. ქართლოსში დაიბეჭდება წერილები, რომელიც აღნიშნულ საკითხებს საფუძვლიანად არკვევს. ეს წერილები სპეციალურ გამოკვლევათა შემოკლებულ თარგმანს წარმოადგენს. იმედია, აქ აღძრული საკითხები ქართველ მკითხველში გააღვიძებს სერიოზულ სურვილს: თანამედროვე ვითარებათა შესასწავლად და მომავალის გეზის ასახვისათვისაც.

## ეროვნული ერთობის გზაზე ფაშისტური სალამი ყველას

ქართველი ემიგრაცია იბრძოდა და იბრძვის სამშობლოსათვის მრავალგვარი გზებითა და მოკაზმულობით. დღემდე, რა გზაზედაც არ ვხვდებოდი მას, იმ გზაზე ვესალმებოდი; დღეიდან მხოლოდ ეროვნული ერთობის გზაზე ფაშისტური სალამი ყველას!

მე მრწამს, შორს არ არის ის დრო, როდესაც ყველა, გაფანტული შეგნების სხივები ქართველ ახალგაზრდობისა თავს ერთად მოიყრიან, ჩამოყალიბდებიან და შეჰქმნიან შუქმფენ მომავალს. ეს მომავალი აწმყოს ალღოს აულებს და საქართველოს ბედ-იღბალს მისი საუკუნოებრივი ისტორიის საფუძველზე აღადგენს. — ჩვენს დროში მხოლოდ ფაშისტურ სიბრძნეს, მის რეალურ მსოფლმხედველობას შეუძლია დააკმაყოფილოს თანამედროვე ერთა ნაციონალური მისწრაფებანი და მისცეს ქვეყანას ის ღირსება და სახელი, სიდიადე, რომლითაც იამაყებს მომავალი. დღეს მხოლოდ ფაშიზმი ქადაგებს მუდმივ ჭეშმარიტებას. მიწყობილოთ და შეგუებულოთ ჩვენი ეპოქის საჭიროებებთან და კაცობრიობის ევოლუციის იმ საფეხურებთან, რომელთა სახსნელად მოცემულ იქმნა ეს მოძრაობა.

ცხადია, რომ ქართველი ემიგრაცია ძლიერ რთული ქმნილებაა და მისი შეგნების ასპარეზშიც ზოგი რამ ბამალური სიბრიყვეც კი ბუდობს, მაგრამ ამასაც ბოლო მოეღება. ფაშისტური ეროვნული ერთობა და მომავალი გაასწორებს უცხოობაში გამრუდებულ ბუნებას ქართველიასას, აღამაღლებს მის სულს დ შესაძლებელს გახდის დამოუკიდებელი საქართველოს აღდგენას...

ეროვნული სულის შეტანით ცხოვრების ყოველდღიურ საქმიანობაში, ქართველი ახალგაზრდა მიაღწევს იმ ჭეშმარიტების გაგებას, რომელიც მასშივე ცხოვრობს და რომელიც არის ერთიდაიგივე, რაც უშრეტი წყარო არსებობისა.

თანამედროვე მსოფლიო სოციალისტურმა დოქტრინებმა დაჰკარგეს თავისი ძალაგავლენა ხალხის გულზე და ჭკუაგონებაზე — სოციალისტური იდეალი აღიარებულ არის მხოლოდ სიტყვით მრავალთა მიერ, მაგრამ არსებითად არსად არ არის ის შესისხლხორცებული. როდესაც ვხედავთ წინააღმდეგობებს და ბრძოლებს ერების შორის, როდესაც სწარმოებს დაუნდობელი და შეურიგებელი ბრძოლა არსებობისათვის, განა შეიძლება ეჭვი შევვეპაროს მასში, რომ ცხოვრება დაჟინებით მოითხოვს, რათა მთელი სიცოცხლე, როგორც ერისა, ისე ცალკე ინდივიდისა გამსჭვალული იყოს მხურვალე პატრიოტიზმით?!

ერი, სადაც ყოველი მისი ერთეული სამშობლოს მოგუშაგე არ არის, ის ერი დაიღუპება ადრე თუ გვიან. ემიგრანტულ უპასუხისმგებლობას და აღვირაწყვეტილობას ზოგიერთისას ბოლო უნდა მოეღოს... დრო მოდის... მალე საქართველო პასუხს მოითხოვს ყველასაგან. ვინც ქართულ პოლიტიკას დროს სატარებლად და საინტრიგოდ ხმარობს, მათ მომავალი გადააჯირგალებს. ვინც პირად გრძნობას ერს ანაცვალებს, ის ქართველ დედათა წყევლას ვერ გადაურჩება...

ეროვნული ერთობის გზაზე ფაშისტური სალამი ყველას!

ლადო რუხაძე

**ჩვენი ყიჟინაა: — საქართველო უწინარეს ყოვლისა!**

**საქართველოს იდეით განისაზღვრება ჩვენი მსოფლმხედველობა და ჩვენი მოღვაწეობაც. სიტყვისაგან: — საქართველო უწინარეს ყოვლისა! გამომდინარეობს ჩვენი დარაზმულობა და ამ დარაზმულობის ბრძოლაც.**

**სოფლისა და ქალაქის მუშა, მრეწველი და ვაჭარი, კალმით მოღვაწე, ხელოვანი, ხელოსანი, მოხელე, მოსამსახურე, ყველა სათანადო ამქარში, თემ-ერობაში შეკავშირებული წარგზავნის თავის წარმომადგენელს დარბაზში და ამით თვით ერი დაჯდება ქვეყნის მომვლელად. ამიტომ იქნება საქართველო შრომის სამეფო.**

**ქართველი ერის სიმდიდრე და მისი მასაზრდოებელი — მიწაა; მიწა უნდა მიეკუთვნოს მიწისმომქმედს; მიწაზე კერძო საკუთრების უფლება შეკავშირებულია ერის წინაშე მოვალეობასთან. ქართველებსა და აფხაზებს გარდა, სხვას მიწის ყიდვა აკრძალული ექნება; საქართველოს საზღვრები უნდა გაქართულდეს.**

**საქართველომ უნდა დაიბრუნოს დაკარგული მიწ**

# კაპიტალიზმიდან კორპორატიულ სახელმწიფომდე*)

## შესავალი

ეკონომიური ლიბერალიზმი არის, მისი იდეის მიხედვით, სამეურნეო სისტემა, რაც იმ შეხედულებას ემყარება, რომ ნორმალ მდგომარეობაში არსებობს ეკონომიურ ძალთა შორის წონასწორობა. რომელიც თუ რომელიმე მხარედან დაირღვა, ავტომატიურად, თავისთავად ისევ აღსდგება.

ყოველ შემთხვევაში უნდა არსებულიყვენ ზოგი წინასწარი პირობანი პოლიტიკური, ეკონომიური და უფლებრივი რიგის, რათა დარღვეული წონასწორობის უმტკივნეულო აღდგენა შესაძლებელი გამხდარიყო. ამ პირობათა შორის იყო არა მარტო უფლებრივი წესრიგი, რომელიც საკუთრებას აღასტურებდა და ეკონომიურ პიროვნებათა შორის ხელშეკრულების თავისუფლებას აღიარებდა; არა ნაკლებ მნიშვნელოვანი იყო, რომ ყველანი, ვინც საქონელთა და სამსახურთა გაცვლაში მონაწილეობას ღებულობდენ, განურჩევლად, თავიანთი მოგების მისწრაფებით ხელმძღვანელობდენ. როგორც მოგებისაკენ ლტოლვას წინასწარ პირობად უნდა ჰქონდეს საკუთრების თავისუფლება, ისე გაცვლის პროცესი თავისუფლად, ყოველგვარ ბორკილთა გარეშე უნდა შესრულებულიყო, და ამასთან თვითეული მხოლოდ თავის სარგებლობას მისდევდა.

სახელმწიფოს ამოცანა ამ სამეურნეო სისტემის მიმართ ვიწროდ შეზღუდული იყო; იგი კმაყოფილდებოდა მხოლოდ თამაშის წესების დაცვით, რომ გამცვლელ მხარეთა შორის მეტოქეობით ბრძოლაში თავისი კანონებით „არა-ლეგალური" საშუალებანი მოესპო; ამას აქეთ სახელმწიფო მეურნეობიდან უნდა გაბრუნებულიყო, ვინაიდან ყოველი ჩარევა მისი მხრივ, — წარმოებაში, განაწილებაში ან ფასების აღნაგობაში (სტრუქტურაში) — ლიბერალური შეხედულების მიხედვით, მეურნეობის ბუნებრივ გამათანასწორებელ ძალებს დააზიანებდა და მისაღწევ წონასწორობას ხელს შეუშლიდა.

ევროპის ეკონომიურმა ისტორიამ ლიბერალური სისტემის წინასწარი პირობანი, ინგლისის გარედ, მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის მეორე მესამედში — პირველად ყოვლისა ფრანგულ ივლისის მონარქიის დროს — დაახლოებით განახორციელა. გადამწყვეტი მისწრაფებანი, რომელთაც კონტინენტზე ნამდვილი ლიბერალური მეურნეობის ელემენტები თანდათანობით გარდაქმნეს, ნაწილობრივ ტეხნიკიდან, ნაწილობრივ პოლიტიკიდან გამომდინარეობენ.

თუ მართალია, რომ სამეურნეო ლიბერალიზმი თავისუფალი მეტოქეობის ბაზარს ეყრდნობა, მაშინ წინმავალმა ტეხნიკამ ეს წინასწარი პირობა თანდათან უნდა დაშალოს. ვინაიდან ეკონომიური საზრისით „მაშინიზმი" სხვა არა არის-რა, გარდა უფროდაუფრო დიდი კაპიტალის მასსათა შეგროვება; იმ საჭიროებამ, რომ ესენი პერიოდულ, კონიუნქტურულ დაცემისაგან უზრუნველყოფილ იქმნენ, საწარმონი იძულებული გახადა თავიანთი ბაზრებზე მონოპოლური ბატონობა ეძებნათ. ეს სვლა მონოპოლიისაკენ, როგორც იგი მე-19 საუკუნის უკანასკნელ მესამედში დაიწყო, ხმარობდა სულ სხვა და სხვა მეთოდს: მან მიიღო მტკიცე სახე პატრონთა გაერთიანებით კარტელებში და კარტელების-მაგვარ კავშირებში, „შერეულ წარმოებათა" შექმნით და დაბოლოს ფართო სამეურნეო ასპარეზთა შეერთებაში ტრესტებისა და კონცერნების სახით. თავდაპირველი თავისუფალი გაცვლის ურთიერთობანი დროსთან ერთად ამგვარად იცვლიდენ თავიანთ ხასიათს; დამოუკიდებელ მრეწველთა მრავალრიცხოვნობის მაგიერად შეიქმნენ სამრეწველო უზარმაზარი საწარმონი. მრეწველთა ბევრად თუ ნაკლებად მკაცრად აგებული კავშირები, პირველად ყოვლისა კლიტე-მრეწველობაში (კიი-ინდუსტრი); და დაბოლოს შორს განშტოებული ორგანიზაციები, რომელნიც სამეურნეო დარგის ყველა ნაწილს ერთიანი წესით მართავდენ. თავისუფალი მეტოქეობის ბაზარი საგრძნობლად შევიწროვდა; მრავალნაირად დახარისხებული აღნაგობისა და მოღვაწეობის ძალის მონოპოლიამ დაიჭირა მისი ადგილი. ის ავტომატიურად მომქმედი ძალები, რომელნიც, ლიბერალური შეხედულების მიხედვით, თავისუფალი მეტოქეობის „სრულ-ყოფილი ბაზრის" («perfect market«) მეურნეობას წონასწორობაში აყენებდენ, ამგვარად სამუდამოდ მოიშალენ.

ამ აღნიშნულმა ცვლილებამ, რომელიც მრეწველობისა და კრედიტის მეურნეობაში შესრულდა და პირიქით, ხელუხლებლად დასტოვა სასოფლო მეურნეობის დარგი, მე-19 საუკუნის უკანასკნელ მესამედში პოლიტიკის მეოხებით უფრო და უფრო მეტი გასაქანი მიიღო. თანამედროვე აღებმიცემობის, საქონლის ბირჟების, საერთაშორისო ოქროს ვალიუტის, მოკლედ მსოფლიო მეურნეობის შექმნის გარდა, დავიწყებულ არ უნდა იქმნეს როგორც წარსული საუკუნის უმტკიცესი პოლიტიკური მისწრაფება, რომ ეროვნული გაერთიანებისკენ სვლა ეკონომიურ დარგში სხვა და სხვა ოდენობით განხორციელდა. სავაჭრო პოლიტიკა მხარს უჭერდა შინაურ მრეწველობას საგარეო მეტოქეობის წინააღმდეგ: იგი იცავდა სადაც საჭიროება მოითხოვდა, სასოფლო-მეურნეობას დამუქრებული განადგურებისაგან; რკინისგზები ცდილობდენ თავიანთი ტარიფის პოლიტიკით მეტოქეობის პირობები სამრეწველო ადგილებისა შესაძლებისამებრ გაეთანაბრებიათ; სოციალურ პოლიტიკას, რომელმაც შრომის პირობები შესცვალა და ცხოვრების სიდუხჭირის წინააღმდეგ მუშის არსებობის დაცვას ეძებდა, სურდა ერისათვის ისევ მიეცა ის შინაგანი სიმკვრივე, რომელიც ყოველდღიურ სამეურნეო ბრძოლებში დაკარგვით იმუქრებოდა. ასე რომ ეკონომიური ლიბერალიზმის ძირითადი დებულებანი არ უარეყოთ, თეორია და პრაქტიკა ევროპიულ კონტინენტზე მიდრეკილებას იჩენდენ სახელმწიფოს შეზღუდული ჩარევის მიზანშეწონილებისადმი; ეს ჩარევა მრავალგვარად — გავიხსენოთ თუნდა საბაჟოს დაცვის და კარტელების ურთიერთობა — ეკავშირებოდა მონოპოლურ კაპიტალიზმს, რომელიც დადგინების პროცესში იყო. იძულების და თავისუფლების შერევა ლოღიკურად არა-სრული იყო; მაგრამ მან შეეძლო საცოდავი ნაყოფი მოეღო, სანამ ევროპა დანარჩენ მსოფლიოზე ეკონომიურად ბატონობდა და მთავრობათა რელატიური სიმტკიცე ერთიან ხაზს სახელმწიფოებრივ ჩარევაში ერთგვარად მაინც უზრუნველყოფდა.

მსოფლიო ომს სამეურნეო ასპარეზზე ახალი არაფერი მოუტანია, უფრო კი, მხოლოდ არსებული დასაწყისი განვითარებისა მან სწრაფად დაამწიფა. ომის საჭიროებამ სახელმწიფოები აიძულა სამრეწველო სხეულები განევითარებინათ და გადაეხალისებინათ; შემდეგ სურსათ-სანოვაგეზე ზრუნვა, ნედლ მასალათა განაწილება და ფასების შექმნა ადმინისტრატიულ დაწესებულებათა ქსელი-

---

ქართველი მკითხველისათვის ჩვენ გადმოვიღეთ ცნობილი გერმანული შრომა:

**Vom Kapitalismus zum korporativen Staat. Benito Mussolini, Reden und Gesetze, eingeleitet, uebertragen und lrlaeutert von Efvin von Geckerath, Erich Roehrlein, Ervin Ed. Berger. Petrarka - Haus, Koeln, 1936.**

აღნიშნული შრომის შესავალი ეკუთვნის პროფესორ დრ. ბეკერათს; იურიდიული მხარე და კანონების რედაქცია დრ. ერიხ როერბაინს, ხოლო კორპორატიული წესწყობილების ისტორია დრ. ერნესტ ბერგერს. შრომის სიდიდის გამო ჩვენ კანონები და სიტყვები არ გვითარგმნია, რადგან მათი არსებითი შინაარსი თვით ისტორიაშია მოცემული და თან ზოგი წვრილმანი და არა-არსებითიც გამოვსტოვეთ ადგილის დაზოგვის მოსაზრებით. აუცილებელი იყო „შრომის ხარტიის" თარგმნა, რის შესრულებასაც სიზუსტით შევეცადეთ.

მთარგ.

სათვის დაემორჩილებინათ, მოკლედ: შეექმნათ იმპროვიზაცია„ მმართველობის მეურნეობისა“, რომელსაც ომის გათავების შემდეგ ყველგან ისევ ჩამოშორდენ. ის წინასწარმეტყველნი, რომელნიც ომის მეურნეობის საჩქარო ექსპერიმენტებში მომავალი სოციალიზაციის წინამორბედს ხედავდენ, მოვლენათა შედეგად მწარედ მოსტყუვდენ.

ომის შემდეგ ხანაში სამეურნეო მოვლენათა ძლიერ მოძრავი მიმდინარეობა სულ სხვა და სხვა, ხან ერთი, ხან მეორე მდინარების ბატონობაში ჩავარდენ. შეუძლებელია სახელმწიფოსა და მეურნეობის ურთიერთობა ევროპის სხვადასხვა სახლმწიფოში ერთიან კალაპოტში მოვათავსოთ; მხოლოდ ეხლა, როცა მსოფლიო კრიზისი გამოტყვრა (1929 წ.), გერმანული კრედიტის შენობა დაილეწა, იტალიურ ბანკთა და წარმოების სისტემა უნდა გაჯამრთელდეს, დაისახა ევროპიულ ჰორიზონტზე უფრო და უფრო გარკვეულად ერთიანი მიდრეკილება: სახელმწიფოს გავლენა მეურნეობაზე ძლიერად გაამაგრონ. მუსოლინმა 1933 წელში ასეთი წინადადება გამოკვეთა: „ევროპის ყველა ერში რომ სახელმწიფომ 24 საათით დაიძინოს, საკმაო იქნებოდა ეს შესვენება კატასტროფის გამოსაწვევად“-ო. ომის წინ სახელმწიფოს ჩარევა ეხებოდა იმ სამრეწველო სხეულებს, რომელნიც სრულ განვითარებაში იმყოფებოდენ; ომის განმავლობაში სახელმწიფოებრივმა ჩარევამ მრეწველობა ომის წარმოების მიზნებს შეუფარდა; მსოფლიო კრიზისის დროს სახელმწიფო გაეშურა მეურნეობის დასახმარებლად, რათა იგი დაქცევისაგან გადაერჩინა და ასეთი პროცესის სოციალურ და პოლიტიკურად წარმოუდგენელი შედეგებისათვის ხელი შეეშალა.

ჩარევა (ინტერვენციონიზმი) მეურნეობის მიმართ ზოგიერთ სახელმწიფოში უზადოთ და სავსებით განხორციელებულია. იგი შეიცავს როგორც შინაურ ბაზარს მთელი თავისი განვრცობით, ისე სხვა ქვეყნებთან სამეურნეო ურთიერთობას; ბაჟების აწევის სიმძიმით, შემოზიდვის განსაზღვრით და ვალიუტის მართველობით მსოფლიო ვაჭრობა შეიკუმშა თავისი უწინდელი სივრცის მხოლოდ მცირე ნაწილზე. მეურნეობაში სახელმწიფოს ჩარევანი თუნდაც ისეთ ზომებს შეიცავდენ, რაც მომავალში სახელმწიფოსა და მეურნეობის შორის ურთიერთობის ძირითად მოსაწესრიგებლად ნაყოფიერი იქნებოდენ, მაინც საერთოდ ეს ჩარევანი წარმოადგენდენ მწარე გაჭირვების მიერ გამოწვეულ აუცილებელ შედეგებს და არავითარ მოფიქრებულ პროგრამას არ შეეფერებოდენ. ძველი სახის სახელმწიფო სოციალიზმს რომ ასე საფუძვლიანად პოლიტიკურად და მორალურად თავი არ წაეგო, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა მისი დასაწყისები დღევანდელ განვითარებაში მრავალი გვეპოვნა; მაგრამ მისი დრო, სჩანს, ევროპისათვის გაჰქრა. სინამდვილის უკან, რომლის მოკლე აღწერას ჩვენ შევეცადეთ, სწარმოებს ბრძოლა სახელმწიფოსა და მეურნეობის ახალი ძირითადი წესრიგის გულისათვის; ამ ბრძოლის შედეგები დღევანდელი იტალიის კორპორატიულ სისტემაში ჩამოყალიბდა. თუ ყურადღებით გაეცნობით მუსოლინის სიტყვებს, გარკვევით დაინახავთ, კორპორატიზმის სივრცე და ამოცანათა წრე რაოდენ გაფართოვდა. სინდიკალურ-კორპორატიულ წესრიგს პირველად ჰქონდა ამოცანად, პატრონთა და მუშათა ახალი ორგანიზაციების შემწეობით ტარიფის ხელშეკრულებათა, შემათანხმებელ ორგანოთა და შრომის სამსჯავროს გზით ანარქიული ბრძოლა ქირის (ხელფასის) გამო დაძლეული ყოფილიყო: შრომის ბაზარზე წონასწორობა სახელმწიფოს სახელით უნდა აღდგენილიყო. სინდიკალურ-კორპორატიული წესრიგის ფუნქცია დასაწყისში იყო ამგვარად უმთავრესად სოციალური; მუშათა ბრძოლებმა 1919 — 1921 წწ. იტალია მართლაც მძიმედ დააზარალეს. მაგრამ დროს განმავლობაში კი ფართოვდებოდენ კორპორატიული ფუნქციის ასპარეზის ჩარჩონი. კორპორაცია გახდა „მწარმოებელ ძალთა ორგანოს“ წარმომადგენლებად იმ დავალებით, რომ გამოემუშავებინა „სამეურნეო ურთიერთობათა კოლექტიური მოწესრიგების და წარმოების ერთიანი დისციპლინის ნორმები“. ამასთან კერძო მოღვაწეობის თაოსნობა არსებითად უნდა დარჩენილიყო; ვინაიდან ამ კერძო თაოსნობაში სახელმწიფო ხედავს სახალხო მეურნეობის მამოძრავებელ ძალას, მაგრამ ისე, რომ იგი მთელი სამეურნეო სისტემის ღერძად არ შექმნილიყო, როგორც ეს სურდა ორთოდოქსალურ ლიბერალიზმს. კორპორაციის ამოცანა არის სახელმწიფოს შემწეობით და მისი უმაღლესი ინტერესების გულისათვის დაიცვას წონასწორობა ყველა — საქონლისა და მსახურეულობის ბაზარზე, და ამას გარდა, როგორც გერპარდ დობერტმა მკვეთრად შენიშნა, აღადგინოს სწორი პროპორცია ინდუსტრიულ ზემოიტალიასა და სოფლური ნაწილის შორის. რამდენად უფრო იზრდებოდა დაბრკოლება საკუთარი ნაწარმოების მსოფლიო ბაზარზე გასაღების, უფრო და უფრო მეტად ცხადი ხდებოდა, რომ კორპორაციებს აგრეთვე არა-მეურნული ამოცანებიც ექნებოდა. სახალხო მეურნეობას, რომელიც თავის თავში ჰარმონიზებულია, შეთანხმებულია, უფრო ნაყოფიერად შეეძლება გამოვიდეს მსოფლიო ბაზარზე, ვინემ მას, რომელსაც შინაურ ინტერესთა შეთანხმება ვერ მოუპოვებია.

კორპორაცია არის „თანამშრომლობის“ იარაღი. მის ამოცანათა წრე არის იმდენად ფართო, როგორც ძნელი. მხოლოდ თანდათან და ნაწილნაწილ შეეძლება მას გახდეს „დაგეგმვის ალაგად“ ესე იგი წარმოების მოწესრიგება შინა-მეურნულ ურთიერთობათა დაწყობა და გარედ შედეგიანად მოქმედება. მაგრამ კორპორატიული წესწყობილების სახე, რომელიც იქმნება, დარჩებოდა ნაკლოვანი, თუ უყურადღებოდ დავსტოვებდით იმ გადამჭრელ გავლენას, რომელიც სახელმწიფოს მიეკუთვნება. ამ თვალსაზრისით თუ განვიხილავთ ახალი სისტემის მბრძანებელ მწვერვალებს, ვნახავთ, რომ ყველგან სახელმწიფო წარმომადგენლობას უკავია გადამწყვეტი ალაგი.

კორპორაციული სისტემა იგივეა, რაც სამეურნეო თვითმართველობა ეროვნულ მწარმოებელ ძალთა სახელმწიფოს მეთვალყურეობისა და ხელმძღვანელობის ქვეშ. ამით იგი მკაცრად და გარკვევით განსხვავდება ლიბერალური კაპიტალიზმისაგან, რომელიც თავის წონასწორობას თავის თავში ჰპოვებდა. განსხვავებაა აგრეთვე მისი განვითარების მეორე საფეხურზე მყოფ მონოპოლიურ ქმნილებათა მიერ გადახალისებულ კაპიტალიზმისაგანაც, რომელსაც თავისთავში უნარი არ გააჩნდა თავისი ძალების შინაგან გათანაბრებამდე, შეთანხმებამდე მიეღწია. უწესრიგო ჩარევის მაგიერად, რომელიც პარლამენტარულ დემოკრატიაში პარლამენტის სხვადასხვა უმრავლესობის სხვადასხვა ინტერესებს გამოხატავდა, დაიწყო სახელმწიფოს ხელმძღვანელობა და კონტროლი მთელ ბაზზე — სახელმწიფოსი, რომელმაც პარტიათა ხლართისაგან თავი იხსნა და თავისი ორგანოებით სამეურნეო გამოხატულებასთან რაც შეიძლება ახლო დგომას ცდილობს.

### ფაშისტურ პროფესიულ კავშირთა წარმოშობა

ომის წინ იტალიაში სამრეწველო მუშათა მასსები თითქმის სავსებით სოციალისტური პროფესიული კავშირის ხელში იმყოფებოდენ. ქრისტიანული და ნაციონალისტური კავშირები და აგრეთვე სინდიკალისტური კავშირები მხოლოდ მცირე და ქვემდებარე როლს ასრულებდენ. მაგრამ მაინც აღსანიშნავია შემდეგი განვითარების მომავალ ნიშნად 1908 წელს წარმოშობილი ნაციონალისტური სინდიკატის პროგრამიდან ერთი მუხლი:

„ჩვენ იმის მომხრე ვართ, რომ კლასთა ბრძოლა უნდა ხდებოდეს ეროვნული სოლიდარობის ფარგლებში, და გვსურს ერის მწარმოებელი ორივე კლასის, მრეწველთა და მუშათა კავშირს მივაღწიოთ“.

პატრონთა მხარეზე ორი დიდი კავშირი არსებობდა: — იტალიური მრეწველობის საერთო კონფედერაცია (დაარსებული 1910 წ.) და სასოფლო სამეურნეო კავშირი, რომელშიც მცირე გლეხები და მცირე მოიჯარადრენი მრავლად წევრებად იყვნენ ჩარიცხული; ასე რომ მისი თვისება როგორც დამქირავებელთა კავშირისა სავსებით ნათლად არ მოსჩანდა. მაშინ როცა მრეწველობის კონ-

ფედერაციამ ფაშისტური რევოლუციის შემდეგაც იცოცხლა, სასოფლო-სამეურნეო კავშირი დაიშალა.

დიდმა სოციალისტურმა დაჯგუფებამ, რომელიც სხვა და სხვა მიმართულებას თავისთავში აერთიანებდა, განიცადა პირველი დიდი კრიზისი მსოფლიო ომის დასაწყისში, როცა მთელი იტალია ორ ბანაკად გაიყო ამ საკითხის გამო: „ინტერვენცია თუ ნეიტრალიტეტი" — ომში ჩარევა თუ გაჩერება! ეს განხეთქილება შეიჭრა აგრეთვე სოციალისტურ პარტიაშიც და გამოიწვია იქიდან ბენიტო მუსოლინის წასვლა, რომელმაც 1914 წლის ნოემბერში დააარსა ერთი სოციალისტური ჯგუფის გაზეთი „პოპოლო დ,იტალია", რომელიც იყო ომში ჩარევის მომხრე, ვინაიდან იგი ომისაგან მოელოდა იტალიური რევოლუციის დაჩქარებას.

მუსოლინის წრეს მიემატენ როგორც ცალკეული სინდიკალური ჯგუფები, რომელნიც უწინ სოციალისტური პარტიის მემარცხენე ფრთას ჰქმნიდენ, აგრეთვე ცალკეული ნაციონალისტურ-ფუტურისტული პიროვნებანი.

შრომის საერთო კონფედერაცია, რომელიც გარეგნულად პარტიულ-სოციალისტური არ იყო, მაგრამ რომელსაც სავსებით სოციალისტური ელემენტები ხელმძღვანელობდენ, გამოვიდა ომის სასტიკ მოწინააღმდეგედ. ამის მოპირდაპირე გახდა იტალიური სინდიკალური კომიტეტი, რომელიც 1906 წელში სოციალისტების ერთი პირველი განხეთქილებიდან წარმოიშვა და ეროვნულ ნიადაგზე იყო შემდგარი; იგი ეხლა კონფედერაციას უკიჟინებდა და უყვედრიდა, რომ იგი მუშათა ორგანიზაციებს ინტერნაციონალის სოციალისტურ მიზნებს ამსახურებსო.

ომში ჩარევის მომხრეებმა, რომელთა მხარეზე იყვნენ აქტიური ელემენტები, მათ შორის მუსოლინი და დ,ანუნციო, გაიმარჯვეს: იტალია შევბა მსოფლიო ომში, მაგრამ ამით შიგნით არ შეწყვეტილა ბრძოლა ომის მომხრეთა და ომის მტერთა შორის. ომის შემდეგ, უძლურ პარლამენტარულ მთავრობათა მიმართულების დაბნევამ, აუარებელი მსხვერპლის გაღებით მიღწეული გამარჯვების მცირე შედეგების მოტანის გამო შექმნილმა მწარე უკმაყოფილებამ, შრომის ბაზრის ქაოტიურმა უწესრიგობამ, პირველად ყოვლისა გამოიწვია ახალი გაფურჩქვნა სოციალიზმისა, რომელმაც დაუდგრომელ პროლეტარულ მასსებს რუსული მაგალითი „პროლეტარიატის დიქტატურისა" როგორც კერპი და მიზანი დაუსახა. ამავე დროს ჩნდებოდენ ყოველნაირი მრავალი დაჯგუფებანი სხვა და სხვა მიზნებითა და პროგრამებით.

1919 წელში მაინც შესაძლებელი გახდა პირველი შეერთება ნაციონალურ ელემენტთა, როცა 23 მარტს მუსოლინის ხელმძღვანელობით „ფასჩი დი კომბატიმენტო" წარმოიშვენ და „იტალიურ კავშირს შრომისას" (1918 წ. მაისის შემდეგ იტალიური სინდიკალ-კომიტეტის მემკვიდრეს) დაუახლოვდენ.

რიცხობრივად ეს ჯგუფი იყო მცირე, მაგრამ მისი ხელმძღვანელი პიროვნებით და დისციპლინით, რომელიც აერთებდა ფრონტიდან დაბრუნებულ რაზმებს, მტკიცე და მაგარი. სანამ გამორკვეული არ იყო, თუ რა გზას უნდა დადგომოდენ, ერთი პრინციპი კი უეჭველად მაინც არსებობდა, — ეს იყო ნაციონალურ ნიადაგზე თავმოყრა ეროვნული ინტერესებისათვის. აქედან გამომდინარეობს სულიერი მოყვრობა მუსოლინსა და დ,ანუნციოს შორის. 1920 წელს დ,ანუნციომ მის მიერ აღებულ ქალაქ ფიუმეს დაუწესა კონსტიტუცია, რომელშიც გამოთქმული იყო ისეთი აზრები, რაც კორპორატიული სახელმწიფოს განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობის უნდა ყოფილიყვნენ:

„შრომა არის ერთადერთი უფლებრივი საფუძველი და მორალური წინასწარი პირობა სახელმწიფო მოქალაქეობისათვის; მან, შრომამ, დიდი ზომით მონაწილეობა უნდა მიიღოს სახელმწიფოს ხელმძღვანელობაში; ყველა შემომქმედნი უნდა განაწილდენ ამქრებში (კორპორაციები საშუალო საუკუნეთა აზრით). და სახელდობრ, ერთი წარმოების დარგის პატრონები და მუშები, ათიდან, ერთ ამქარში; ამქრები ირჩევენ კოლეგიის წევრებს, რომელნიც სხვებთან ერთად, საყოველთაო, პირდაპირი არჩევნებით მოწვეულ ყრილობას (კორპორაციის) სახელმწიფო საქმეთა ხელმძღვანელობას ანიჭებენ"...

ფაშისტურ მოძრაობაში (პირველ წლებში იგი მნიშვნელობას იმას აძლევდა, რომ იგი „პარტია" კი არა, არამედ „ანტი-პარტია" იყო), ორი მიმართულება წარმოსდგა: ერთი წმინდა პოლიტიკური და მეორე გარკვეულად სინდიკალისტური. მაგრამ ორივე თანახმა იყო, რომ სოციალისტურ პარტიას მტერად სახავდენ: არა მარტო იმიტომ, რომ ეს პარტია ინტერნაციონალისტურად იყო განწყობილი, არამედ იმიტომ კიდევ, რომ იგი გაბატონებული იყო შრომის კამერებში, დამხმარე კასსებში, დაზღვევის კასსებში და სხ. და ამით მას ძლიერი იარაღი ჰქონდა პროლეტარიატზე ბატონობისა და ხელმძღვანელობისათვის. მის წინააღმდეგ სწარმოებდა უხეში, დაუზოგავი ბრძოლა ყველა საშუალებით.

სოციალიზმისათვის კი იტალიაში ამავე დროს სასიკვდილო კრიზისის საათმა დაჰკრა: მუშების მიერ ქარხნების დაკავების ჩაშლა, მრავალი გაფიცვის და „ზევაფიცვის" უნაყოფობა და წაგება, რუსულ-ბოლშევიკური მაგალითის კატასტროფიული განვითარების გაგების დასაწყისი. — ყველაფერმა ამან გამოიწვია მშრომელი ხალხის ჯანსაღი ძალების მიერ სოციალიზმზე თანდათანი ზურგის შექცევა და მოწესრიგებული მდგომარეობის შექმნისა და კარგი ხელმძღვანელობის წადილი.

1921 წლის დასაწყისში სოციალისტური პარტიის წევრთა რიცხვი უდრიდა 250.000 და შეკავშირებულ მუშათა რიცხვი კი სამ მილიონს; მაგრამ უკვე იშლებოდენ. განსაკუთრებით შუა - იტალიის სასოფლო ადგილებში ეს წითელი მუშათა ორგანიზაციები ფაშისტურ მებრძოლი ორგანიზაციათა სასტიკ თავდასხმითა და აგრეთვე ზოგ სოციალისტ ხელმძღვანელთა გაქცევის გამო. იბადებიან ახალი. გარეგნულად წმინდა ეკონომიური სინდიკატები, მაგრამ რომელნიც სინამდვილეში ფაშიზმის შექმნილი იყვნენ და მალე თავისთავს ფაშისტურიც უწოდეს. „შრომის იტალიური კავშირის" და „ფასჩი დი კომბატიმენტოს" დაახლოვება კიდევ უფრო მჭიდროვდება. 1921 წ. ოქტომბერში შესდგა პირველი მათი საერთო ყრილობა ფერარა-ში.

ფაშისტურ და ნაციონალ - სინდიკალურ ორგანიზაციათა მნიშვნელობა უფრო მეტად ადგილობრივი ბუნების იყო. მათი შეერთება მოხდა 1922 წლის 24 იანვარს, მას შემდეგ რაც 1921 წლის ნოემბერში ფაშისტური მოძრაობა ჩამოყალიბდა პარტიად; ამ გვარად მას მიეცა საშუალება საკუთარი სინდიკალური ორგანიზაციის ძირითადი საფუძვლები შეექმნა. ფაშისტურ მოძრაობაში დიდი იყო წინააღმდეგობა ფართო სინდიკალურ ორგანიზაციათა შეწევრების, შემოყვანის შესახებ. თვით მუსოლინი ყოყმანობდა, პარტიული ორგნიზაციები, რომელნიც ასე მოძრავი და ამიტომ დამკვრელი იყვნენ, დაეტვირთა მასსების ორგანიზაციის ასეთი მძიმე აპარატით. მაგრამ გაერთიანების საჭიროება პოზიტიურად განწყობილ ძალთა უეჭვო იყო. ასე წარმოსდგა „სინდიკალურ კორპორაციათა ნაციონალური კონფედერაცია" ედმონდო როსონის ხელმძღვანელობით.

კონფედერაციის წესდება გვიჩვენებს გზის გამკაფველ აზრებს:

„ადამიანი მხოლოდ შრომით ხდება წევრი საზოგადოებისა; პიროვნებანი, წოდებანი და კლასები არიან მხოლოდ ერის იარაღები, რომელთა ინტერესებს მხოლოდ იმდენად აქვთ ღირებულება, რამდენად ისინი ზემდგომ ეროვნულ ინტერესთა ჩარჩოებში თავსდებიან; კლასთა ბრძოლის პრინციპი ურყოფილია, ერის ყველა მწარმოებელ ძალთა გაერთიანება უნდა მოხდეს ერის ინტერესებისათვის; ამიტომ სინდიკალიზმი აღარ არის, როგორიც გსურთ ისეთი ორგანიზაციის ფორმა, არამედ ყველა მწარმოებელ ძალთა გაერთიანება, მაშასადამე, ერის ერთი ნაწილი".

1922 წლის ივნისში შესდგა „სინდიკალურ კორპორაციათა ნაციონალური კონფედერაციის" პირველი ყრილობა. 1920 წელში რიცხობრივად სავსებით უმნიშვნელო, ყრილობის დროს უკვე 453.000 წევრი ჰყავდათ ამ

ქვეორგანიზაციებს. აქ მუსოლინმა დასახა მათი ამოცანა: „ნაციონალურმა სინდიკალიზმმა შემდეგი სამი ელემენტი უნდა ერთმანეთთან შეარიგოს: ერი, წარმოება, შემომქმედ კატეგორიათა ინტერესები“.

ამავე დროს პოლიტიკური განვითარება აგრეთვე შეუჩერებლივ წინ მიდის: პარლამენტარული ქაოსი, ყველას რომ მობეზრდა, ნიადაგს ამზადებს დიქტატურისათვის. ფასჩი დი კომბატიმენტოს („კონა მებრძოლთა“) მეთაური, რომელმაც 1919 წლის ნოემბერში უნაყოფოდ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო, 1922 წლის ოქტომბერში ხელთ იღებს მთავრობას (მარჩია სუ რომა — რომზე წასვლა).

ორი თვის შემდეგ „სინდიკალური კორპორაციების ნაციონალური კონფედერაცია“ პარტიულ ორგანიზმში შედის: 1922 წლის 21 დეკემბრიდან არსებობს „ფაშისტური სინდიკალურ კორპორაციათა კონფედერაცია“. ყველა პროვინციაში არსდებიან სპეციალური სინდიკატები, რომელნიც პროვინციების მიხედვით, ფაშისტურ სინდიკალურ კორპორაციათა ფედერაციას ექვემდებარებიან. ჯერ კიდევ ყველაფერი წესრიგზე არაა, ბევრი რამ აკლია წყობის მიხედვით: ყველაფერი მოძრაობის, ძალთა შემოკრების საფეხურზეა. 1923 წელს ივნისში დაარსდენ პირველი ინსტიტუტები: შრომის მიმწოდებელი დაწესებულება, სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები და სხ. ორგანიზაციას გადაწყვეტილი აქვს ყოველი საშუალებით მშრომელთა ხელმძღვანელობა ხელთ იგდოს.

როსონი მომხრე იყო იმისა, რომ პატრონები და მუშები მხოლოდ ერთ ორგანიზაციაში გაერთიანებულიყვნენ და დამორჩილებოდენ ერთ სავალდებულო სამსჯავროს, რომლის მეოხებით სახელმწიფოს მიეკუთვნებოდა გადაწყვეტილების უმაღლესი ავტორიტეტი. მაგრამ „მრეწველობის საერთო კონფედერაციას“ როსონი ვერ მოერია და ვერ გასტეხა იგი, ხოლო „სასოფლო-სამეურნეო კონფედერაციამ“ ამგვარ მისწრაფებას დიდხანს ვერ გაუძლო.

ამ აზრთა სხვადასხვაობის გარკვევა აგრე ადვილი არ იყო და მოწინააღმდეგეთა შეთანხმება არც ისე იოლი, და ვინაიდან ცალკეულთა და ჯგუფთა ინტერესების დაზავება ქვემოდან შეუძლებელი გახდა, ამიტომ მწარმოებელთა ჯგუფების შორის უნდა მომხდარიყო შეთანხმება. ამგვარად 1923 წლის ოქტომბერში მოხდა მუსოლინის თავჯდომარეობით ფაშისტურ კორპორაციათა და მრეწველთა კონფედერაციის ხელმძღვანელების შეხვედრა. მუსოლინმა თავის სიტყვაში გაარკვია ის მთავარი დებულებანი, რომელნიც შეთანხმებას საფუძვლად უნდა დასდებოდა. აქ მიღებულ იქმნა საიანადო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით არჩეულ იქმნა თითოული მხარისაგან ხუთ წევრიანი მუდმივი კომისია. ამ კომისიათა მოვალეობა იყო წარმოების გაძლიერება ერისა და თითოულის (მრეწველობის და შრომის) საკეთილდღეოდ. მუსოლინის მიერ აქ წარმოთქმული სიტყვა იყო პირველი პროგრამული განცხადება მეურნეობის კორპორატიული წესწყობილების შესახებ. მაგრამ ჯერ კიდევ დრო იყო საჭირო, რათა ამ პროგრამის პირველი ნაბიჯები განხორციელებულიყო.

### შრომის ბრძოლიდან შრომის წესრიგამდე

მაშინ, როცა უკვე შეიქმნა ნდობისა და თანამშრომლობის ჰავა, მთავრობის მუდმივი აღმშენებლობითი მუშაობა შეფერხდა იმ უკანასკნელი, გაერთიანებული ოპოზიციის მიერ, რომელმაც მოინდომა მთავრობიდან ფაშიზმის გაძევება: ეს იყო 1924 წლის კრიზისი; ინტრიგა ჩაიშალა; მუსოლინმა ეს თავდასხმა უკუაგდო და ქვეყანას კვლავ სიწყნარე და მშვიდობიანობა მიანიჭა.

მრეწველთა კონფედერაცია ცუდი თვალით უყურებდა ფაშისტურ ამბავს და ფაშისტურ სინდიკატებთან დამოკიდებულებაში გულგრილად იქცეოდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სატარიფო ხელშეკრულებები უნდა დადებულიყო, რაც სამეურნეო ცხოვრებისათვის უდიდესი მნიშვნელობისა იყო. აი ამ დროს მოხდა სწორედ ფაშისტური გაფიცვა, ვინაიდან აუცილებელი შეიქმნა მრეწველთა წინააღმდეგობის გატეხა. ამავე დროს ეს გაფიცვები მაჩვენებელი იყვნენ ფაშისტურ მუშათა ორგანიზაციების ძალისა წითელ და თეთრ ორგანიზაციების წინაშე.

როცა ამგვარად სამეურნეო ასპარეზზე აშკარა ბრძოლა სწარმოებდა, გადადგმულ იქმნენ პირველი გადამწყვეტი ნაბიჯები საკითხის პოლიტიკურად გადაწყვეტისათვის. 1924 წლის 24 იანვარს სამეფო დეკრეტით დაწესებულ იქმნა სახელმწიფოს მოხელეთა პოლიტიკური მეთვალყურეობა მუშათა ორგანიზაციებზე და ამით შესაძლებელი გახდა კოალიციათა თავისუფლებაში ჩარევა.

1925 წლის 31 იანვრის მინისტერიალ-დეკრეტით შესდგა კომისია ფაშიზმის მიერ წამოყენებულ უფლებათა საკითხის შესასწავლად. კორპორატიულ დარგში კომისიის-მუშაობამ ზოგი მნიშვნელოვანი წინადადება შეიმუშავა. ხოლო როსონის წინადადება, რომ მხოლოდ ფაშისტურ სინდიკატებს ჰქონოდათ მუშათა წარმომადგენლობის სრული უფლება, მონოპოლური, უარყოფილ იქმნა და დავა ორგანიზაციათა წყობისა და უფლების შესახებ გაგრძელდა, სანამ 1925 წლის 2 ოქტომბერს სასახლე ვიდონიში არ დაიდო „იტალიურ წარმოების კონფედერაციასა“ და „ფაშისტურ კორპორაციათა კონფედერაციის“ შორის ხელშეკრულება, რომლის შინაარსი მოკლედ ასეთია:

იტალიური მრეწველობის კონფედერაცია და ფაშისტურ კორპორაციათა კონფედერაცია აღიარებენ ურთიერთს, როგორც პატრონთა და მშრომელთა ერთადერთ წარმომადგენლებს; სხვა არც ერთ ორგანოს არა აქვს უფლება ურთიერთობისა დამქირავებელთა და დაქირავებულთა შორის; მხოლოდ აქ დასახელებულ ორ ორგანიზაციას და მათ ადგილობრივ ორგანოებს აქვთ უფლება ორივე მხარისათვის სავალდებულო ხელშეკრულებანი დასდვან, რომელნიც შრომას შეეხებიან.

ამგვარად, თუმცა სახელმწიფოს მხრივ თითქმის განუსაზღვრელი თავისუფლება კოალიციისა არსებობდა, ორივე მნიშვნელოვან, პატრონთა და მუშათა ორგანიზაციებს შორის ამ კერძო შეთანხმებით, ფაშისტურ სინდიკატებს და კორპორაციებს პრაქტიკულად მონოპოლია მიენიჭათ: ის, რაც სახელმწიფომ ჯერ ვერ განახორციელა, პარტიამ თავისი მუშათა ორგანიზაციებით უკვე ცხოვრებაში გაატარა. ორი წლის განმავლობაში, მას შემდეგ რაც მრეწველთა და მუშათა პირველი ხელშეკრულება დაიდო, არა ერთხელ დარღვეულა იგი მრეწველების მხრივ და იმჟამად ფაშიზმმა მიიღო მაინც ყოველთვის სრული დაკმაყოფილება.

ამნაირად, როსონის მოთხოვნილება მონოპოლიის შესახებ განხორციელდა, თუმცა კანონით არა, მაგრამ პრაქტიკულად მაინც; ხოლო მისი სხვა მოთხოვნილება, რომ ერთი და იმავე კატეგორიის პატრონები და მუშები მხოლოდ ერთ სინდიკატში გაერთებულიყვნენ, შეუსრულებელი დარჩა: სასახლე ვიდონიში დადებული, ზემო-აღნიშნული ხელშეკრულებით „იტალიური წარმოების კონფედერაცია“ კვლავ იქმნა აღიარებული. სასახლე ვიდონის ხელშეკრულება არის უკანასკნელი გადამწყვეტი, კერძო ნიადაგზე წარმოშობილი ახალი სახე ურთიერთობისა კაპიტალსა და შრომას შორის. ფაშიზმის გამარჯვების მეოთხე წელს (1925/26) იწყება სინდიკალურ - კორპორაციული კანონმდებლობის მუშაობა.

პირველი ნაბიჯი — 1926 წლის 3 აპრილის კანონი და მისი კუთვნილი განმარტება - ბრძანებულებანი 1926 წ. 1 ივლისისა — პროფესიულ კავშირთა არსს უფლებრივად აწესრიგებს და ამით ჰქმნის საძირკველს შრომის კოლექტიურ ურთიერთობათა ახალი შენობისათვის.

კანონი ხელუხლებლად სტოვებს კოალიციის თავისუფლების საძირკველს. არც ფაშისტურ სინდიკატებს ენიჭებათ მონოპოლია და არც რომელიმე პროფესიის ცალკე პირებს ევალებათ (იძულებით) სინდიკატებში ჩაწერა.

მაგრამ სახელმწიფო აღიარებს რომელიმე პროფესიული ჯგუფის როგორც წარმომადგენლობას მხოლოდ ისეთ კავშირს, რომელიც კანონით დამტკიცებულ პირობებს აკმაყოფილებს. იმ კავშირში, რომელიც კანონიერად შეიძლება იქმნეს ცნობილი, უნდა იყვნენ ნებაყოფლობით წევრების განსაზღვრული უმცირესობა მაინც ანუ ერთი მეათედი მრეწველებისა თუ მუშებისა. ეს კავშირი უნდა

იყოს ეროვნული, არ უნდა ეკუთვნოდეს რომელიმე ინტერნაციონალურ ორგანიზაციას და მისი შეხედულება უნდა შეეფერებოდეს ფაშისტურ ეთიურ შეხედულებას შრომაზე; ეს კავშირი არ უნდა ზრუნავდეს მარტო თავისი პროფესიული ჯგუფის მატერიალური სარგებლობაზე, არამედ უნდა ისახავდეს აგრეთვე პატრიოტულ და მორალურ ამოცანებს და სოციალური უზრუნველყოფის საკითხებს. კავშირის როგორც ხელმძღვანელები, ისე წევრები პოლიტიკურად ეროვნული და მორალურად სანდონი უნდა იყვნენ. მხოლოდ ასეთი კავშირები შეიძლება აღიარებულ იქმნენ კანონიერად.

სახელმწიფოებრივი აღიარება ანიჭებს პროფესიულ კავშირებს (როგორც მეპატრონეთა, ისე მუშათა კავშირებს) განსაკუთრებულ, საპროფესიო მნიშვნელობის წარმომადგენლობისათვის გადამწყვეტ უფლებებს. მხოლოდ აღიარებული კავშირები არიან მოწოდებული, პროფესიის ყველა წევრები, სულ ერთია ისინი მისი წევრები არიან, თუ არა, სახელმწიფოსა და სხვა ორგანიზაციების წინაშე წარმომადგენლობა გასწიონ. მხოლოდ მათ ეკუთვნით უფლება დადონ სატარიფო ხელშეკრულებანი. მხოლოდ მათ შეუძლიათ იყოლიონ და საჯარო წარმომადგენლობის ორგანოებში თავისი პროფესიის წევრები წარგზავნონ. მათი (არ დაგვავიწყდეს: სახელმწიფოს მიერ აღიარებული კავშირების) საერთო განკარგულებანი ყველა წევრთათვის სავალდებულო არიან, აგრეთვე ამავე კავშირის არა-წევრთათვისაც. ამ უფლებიან კავშირს შეუძლია ასეთ წევრებს საწევრო გადასახადიც დაადოს.

საყურადღებოა, რომ შრომის ერთობის იდეა, კავშირთა არსების აშენებაში განგებ გამოტოვებულია. თუმცა ფაშიზმის მთავარ იდეას ეკუთვნის ის შეხედულება, რომ საწარმოში პატრონი და მუშა უნდა ჰქმნიდენ შრომის ერთობას. პროფესიულ კავშირებში პატრონები და მუშები ერთმანეთს დაცილებული არიან; როგორც პატრონებს, ისე მუშებს ცალცალკე პროფესიული კავშირები აქვთ. ეს განცალკევება არსებობს აგრეთვე ზემო, მაღალი პროფესიული ორგანიზაციებისათვისაც, ფედერაციისა და კონფედერაციისათვისაც. პატრონთა და მუშათა კავშირები ერთმანეთს ხვდებიან განსაკუთრებულ ჰორიზონტალურ რიგში, სახელდობრ, კორპორაციებში, რომელნიც როგორც სახელმწიფო ორგანო შეიცავს ყველა, ცალკე სამეურნეო დარგში მომქმედ ძალებს.

ჩვენი მკითხველისათვის რომ ეს გასაგები გახდეს, ამ მიზნით ჩვენ გადავთარგმნეთ კანონის და განკარგულებათა ის მუხლები, რომელნიც ამ საკითხს ეხებიან.

1926 წლის 3 აპრილის კანონის მესამე მუხლი შეიცავს: „პატრონთა და მუშათა კავშირები შეიძლება გაერთიანებულ იქმნენ ცენტრალური შემაკავშირებელი ორგანოს საშუალებით უმაღლესი რიგის საერთო ორგანიზაციაში, იმ პირობით, რომ როგორც პატრონთა ისე მუშათა წარმომადგენლობა ცალცალკე რჩება. თუ კავშირები მუშათა რამოდენიმე პროფესიულ ჯგუფს შეიცავენ, მაშინ თითოული ჯგუფის წარმომადგენლობა ცალცალკეა".

გადაწყვეტილებანი ზემოაღნიშნული კანონის განხორციელებისათვის, მუხლი 42: „ზემოდ, მესამე მუხლში აღნიშნული შემაკავშირებელი ორგანოები კანონიერი არიან მთელი სახელმწიფოს სივრცეზე. ისინი შეიცავენ სხვა და სხვა წარმოების ფაქტორთა პროფესიულ გაერთიანებებს: პატრონებს, თავითა და ხელით მომუშავეებს, მეურნეობის ერთი განსაზღვრული დარგისათვის ან საწარმოთა ერთ ან რამდენიმე ჯგუფს. ამგვარად შეკავშირებული გაერთიანებანი ჰქმნიან კორპორაციას. კორპორაცია არსდება კორპორაციის მინისტრის განკარგულებით.

მუხლი 43: კორპორაცია არ არის იურიდიული პიროვნება, არამედ წარმოადგენს იგი სახელმწიფოს მმართველობის ორგანოს".

მუშათა და პატრონთა ინტერესების ბრძოლაში თვითდახმარება მოსპობილია. გაფიცვა და მუშათა გამოყრა (ლოკაუტი), როგორც დანაშაული საყოველთაო კეთილყოფის წინაღმდეგი, აკრძალულია. პროფესიულმა კავშირებმა და კორპორაციებმა უნდა მშვიდობიანად მოაგვარონ შრომის დავანი.

პატრონთა და მუშათა უფლებრივად აღიარებული კავშირები ვალდებული არიან სატარიფო ხელშეკრულების დადების დროს კანონით განსაზღვრული მინიმუმი დაიცვან, განსაკუთრებით ხელფასისა და სამუშაო დროის შესახებ და სხ. დავის მოსაგვარებლად, რომელიც შეიძლება ხელშეკრულების გამო წამოიჭრას, დაარსებულია განსაკუთრებული, შრომის სამსჯავრო. შესაძლებელია კოლექტიური ხელშეკრულების შეცვლა ვადის გასვლამდე, თუ პირობები საგრძნობლად შეიცვალენ. ამის უფლება ამ სამსჯავროს აქვს.

ასეთია მოკლედ 1926 წლის კანონი და მისი განმარტებანი.

(გაგრძელება იქნება)

რ. ბეთანელი

## კორპორატიული სახელმწიფო *).

### სინდიკატები

სინდიკატი წარმოადგენს კორპორატიული ორგანიზაციის უჯრედს. ამ პირველად პროფესიულ ანუ ხელობითი კავშირის წევრები არიან დაქირავებულნი ან დამქირავებელნი ანუ პატრონები და მუშები. მათი კავშირი ცალცალკეა. რომელიმე სამეურნეო დარგის მუშებს თავისი კავშირი აქვთ, — ამავე დროსაც ამავე დარგის პატრონებსაც თავისი კავშირი აქვთ.

სინდიკატთა მოვალეობაა პროფესიულ ინტერესთა დაცვა. თითოული სინდიკატის ორგანოებია: კრება, დირექტორია (გამგეობა) და ხელმძღვანელი (თავჯდომარე). იმის მიხედვით, თუ სამეურნეო დარგი, რომლისათვისაც სინდიკატები შექმნილი არიან, — რაოდენ ფართოდ არის გაშლილი, განშტოებული, სინდიკატები შეიძლება იყონ ადგილობრივი (თემური), ოლქობრივი (ერობული) და მთელი ქვეყნის ანუ ეროვნული. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მუშებს ცალკე აქვთ სინდიკატი; პატრონებს ცალკე. იტალიური კანონი არა სცნობს შერეულ სინდიკატს. ხელოვნებათა და ლიბერალურ პროფესიათა სინდიკატები კიდევ ცალკე არსებობენ.

რომელიმე ეკონომიური დარგის სინდიკატები მუშებისა და პატრონებისა ერთდებიან ზემო ორგანიზაციაში, რომელსაც ეწოდება ნაციონალური ფედერაცია. ნაციონალური ფედერაციები რომელიმე ეკონომიური დარგისა თავის მხრივ ერთდებიან მაღალ ორგანიზაციაში, რომელსაც ჰქვია ნაციონალური კონფედერაცია. მაშასადამე, არსებობს პროფესიულ ორგანიზაციათა შემდეგი წყობა: სინდიკატები, — ძირეული ორგანიზაცია, — შემდეგ მათი გაერთიანება: ნაციონალური ფედერაცია (მეორე რიგის ორგანიზაცია) და ბოლოს მათი გაერთიანება: ეროვნული კონფედერაცია (მესამე რიგის ორგანიზაცია).

ქვეყნის მთელი ეკონომიური ცხოვრება განაწილებულია ხუთ დიდ დარგში 1: სასოფლო-მეურნეობა (აგრიკულტურა), 2) მრეწველობა (ინდუსტრია), 3) ვაჭრობა (კომერცია), 4) კრედიტი და დაზღვევა და 5) ხელოვნებანი და ლიბერალური პროფესიები.

პირველი ოთხი დარგი ჰქმნის რვა კონფედერაციას:— ოთხი კონფედერაცია პატრონებისა და ოთხი მუშებისა. ხოლო მეხუთე დარგი, ვინაიდან მისი დანაწილება პატ-

*) Benito Mussolini: L'Etat Corporative, Vallecchi Editore, Firenze, 1936.

რონებად და მუშებად ძნელია, — რჩება ცალკე კონფედერაციად.

მრეწველობის დარგში შემდეგი ფედერაციებია: — მუშების პროფესიულ კავშირთა ანუ სინდიკატთა ფედერაციები: —

1. ფედერაცია მუშებისა ტანთსაცმელის დამამზადებელი დარგისა, 2. წყალის, გაზის, ელექტრონის მრეწველობის მუშებისა, 3 სურსათსანოვაგის დარგის მუშებისა, 4. ავეჯეულობის დარგის მუშებისა, 5. ქაღალდისა და სტამბის მუშებისა, 6. ქიმიური მრეწველობის მუშებისა... და სხვა და სხვა — სულ: 20 ფედერაცია მუშებისა სამრეწველო დარგში.

ეს ოცი ფედერაცია ჰქმნის მრეწველობის დარგის მუშების ეროვნულ კონფედერაციას.

მეორე მხრივ არსებობენ მრეწველობის დარგის პატრონთა ფედერაციები: 1. მრეწველები ტანთსაცმელთა, 2. მრეწველები ტყავეულობისა, 3. მრეწველები ბამბისა, 4. წყლაის, გაზის, ელექტრონისა, 6. სურსათსანოვაგისა და სხვა და სხვა — სულ 45 ფედერაცია.

ეს 45 ფედერაცია ჰქმნის მრეწველთა ეროვნულ კონფედერაციას.

სასოფლო მეურნეობაში: ეროვნული ფედერაციები მუშებისა: 1. სოფლისა და ტყის ტექნიკური და ადმინისტრატიული მოხელენი, 2. ფერმერების და მოიჯარადრეების, 3. მოჯამაგირეთა და დღიურად დაქირავებულთა, 4. სოფლის მეურნეების სპეციალისტებისა, ზოოტეხნიკოსებისა, მეტყევების და სხვა. სულ — ოთხი ეროვნული ფედერაცია სასოფლო-სამეურნეო დარგის მუშებისა. ეს ოთხი ფედერაცია ჰქმნის სასოფლო-მეურნეობის ეროვნულ კონფედერაციას.

მეორე მხრივ არსებობენ დამქირავებელთა ანუ პატრონთა ოთხი ეროვნული ფედერაცია. ეს ოთხი ფედერაცია შეადგენს სასოფლო მეურნეობის კონფედერაციას.

ვაჭრობაში არის ხუთი ფედერაცია მუშათა, რომელნიც შეადგენენ ვაჭრობის დარგში მუშათა კონფედერაციას.

მეორე მხრივ, ვაჭრობის დარგში მყოფი პატრონები შეადგენენ 37 ფედერაციას ვაჭრებისას. ვაჭრების ეს 37 ფედერაცია შეადგენს ვაჭრების ეროვნულ კონფედერაციას.

კრედიტისა და დაზღვევის დარგში არსებობს მუშათა ოთხი ფედერაცია, თავისი კონფედერაციით, და 12 ფედერაცია პატრონთა, თავისი კონფედერაციით.

ამ რვა კონფედერაციის გარდა, რომელიც შესდგება მუშათა ოთხ და პატრონთა ოთხ ფედერაციისაგან, არსებობს ცალკე, მეცხრეც, რომელსაც ეწოდება: ლიბერალურ პროფესიათა და არტისტთა კონფედერაცია ,რომელშიაც შედის 21 სინდიკატი: ექიმებისა, ინჟენრებისა, ეკონომისტებისა, ჟურნალისტებისა, მხატვრებისა, მწერალთა, მუსიკოსებისა და სხ.

კოოპერატიული დაწესებულებანი დამოუკიდებელი, ავტონომიური არიან. კატეგორიებად დანაწილებული კოოპერაციები დაბოლოს ჰქმნიან კოოპერაციის ეროვნულ ინსტიტუტს, რომელიც მთელს კოოპერაციას ხელმძღვანელობს.

1926 წლის 3 აპრილის კანონმა, რომელმაც შექმნა სინდიკალური შენობის საფუძვლები, წარმოადგინა პრინციპი, რომლის მიხედვით იურიდიულად იქმნა აღიარებული თითოული პროფესიული კატეგორიის კავშირი. ამ იურიდიული აღიარებით კავშირებს უფლება აქვთ თავისი დარგის ფარგლებში, რომლისთვისაც ისინი შედგენილი არიან, კანონიერი წარმომადგენლობა გასწიონ ყველა მუშისა, ყველა პატრონისა, ყველა ხელოვანისა თუ ლიბერალური პროფესიის პირისა, სულ ერთია, კავშირში ჩაწერილი არიან ისინი თუ არა.

კანონიერად შეიძლება აღიარებულ იქმნან ის სინდიკატები, რომელნიც შემდეგ პირობებში იმყოფებიან: 1) თუ ეს ეხება დამქირავებელთა კავშირს, — მაშინ კავშირთა წევრები, რომელნიც ნებაყოფლობით არიან ჩაწერილნი, უნდა ამუშავებდენ, განსაზღვრულ ტერიტორიაზე იმ განსაზღვრული ეკონომიური დარგის მუშათა რიცხვის ერთ მეათედს, რომელი დარგისათვისაც ეს კავშირი არის შექმნილი. თუ ეს ეხება მუშათა კავშირებს, რომელთა ნებაყოფლობით ჩაწერილ წევრთა რიცხვი წარმოადგენს იმავე განსაზღვრულ ტერიტორიაზე განსაზღვრულ ეკონომიურ დარგში მომუშავეთა ერთ მეათედს. 2) პროფესიულ კავშირებს მიზნად უნდა ჰქონდეთ: თავის წევრთა ეკონომიურ და მორალურ ინტერესთა დაცვა; ამას გარდა: ურთიერთ შემწეობის, მორალური და ცივილური აღზრდისა და განათლებისათვის მოღვაწეობანი. 3) კავშირთა ხელმძღვანელები უნდა იყვნენ უნარიანი, მორალური და მტკიცე ეროვნული რწმენის.

კანონიერად არ შეიძლება აღიარებულ იქმნენ ა) შერეული კავშირები, ერთი და იმავე დარგის დაქირავებულთა და დამქირავებელთა, ბ) სახელმწიფოს მოხელეთა კავშირები ან სახელმწიფოსაგან დამოკიდებული ადმინისტრაციები.

**კოლექტიური ხელშეკრულება.** კანონით აღიარებულ კავშირების ამოცანაა: დაიცვან თავისი ინტერესები თავის დარგში და ამ მიზნით დასდონ კოლექტიური ხელშეკრულობანი, რომელნიც შრომის მოწესრიგებას ეხებიან. კოლექტიური ხელშეკრულებანი მკაცრად უნდა იქმნენ განხორციელებული ყველა მწარმოებელის მიერ, სულ ერთია, ჩაწერილია იგი წევრად კანონით ცნობილ კავშირში თუ არა. ყველა კოლექტიურ ხელშეკრულებას აქვს ბრძანებითი ხასიათი. კერძო შეთანხმებანი, რომელნიც განირებიან კოლექტიური ხელშეკრულებისაგან, კანონის წინააღმდეგ ითვლებიან და სინამდვილეს მოკლებული არიან. მაგრამ კერძო შეთანხმებანი, თუ ისინი კოლექტიურ ხელშეკრულებათა დებულებებს ეთანხმებიან, ან მუშების სასარგებლოდ უფრო მეტ შედეგებს იძლევიან, ჩაითვლებიან კანონიერად.

კოლექტიური ხელშეკრულებანი არ შეიძლება გამოქვეყნდენ და განხორციელდენ, თუ ისინი არ შეიცავენ შრომის სრულ მოწესრიგებას, როგორც ეკონომიური თვალსაზრისით (ხელფასი-ჯამაგირი, შვებულება ჯამაგირიანი, დათხოვნისათვის ანაზღაურება და სხ.), ისე ზნეობრივი თუ დისციპლინური თვალსაზრისით. ყოველი დარღვევა კოლექტიური ხელშეკრულებისა იწვევს სამოქალაქო პასუხისმგებლობას (ზიანის მიყენებისა), აგრეთვე სისხლის სამართლისას. კოლექტიური ხელშეკრულების დარღვევა არის დანაშაული და ისჯება.

თუ დაინტერესებული კავშირები ვერ აღწევენ შეთანხმებას კოლექტიური ხელშეკრულების შესახებ, მაშინ მათ შეუძლიათ მიმართონ სათანადო კორპორაციას, რომელიც შეეცდება მოპირდაპირე ინტერესები შეათანხმოს.

განსხვავებათა მიუხედავად, დაინტერესებულ კავშირებს შეუძლიათ, შეთანხმებით, მიმართონ სათანადო კორპორაციას მოაგვაროს შრომის საკითხი. კორპორაცია ამ შემთხვევაში აფუძნებს წესებს, ეგრედ წოდებულ კორპორატიულ წესებს, მაგრამ აქ არ შედის ჯამაგირის საკითხი. ჯამაგირი თუ ხელფასი კანონიერად შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ კოლექტიური ხელშეკრულებით ან შრომის სამსჯავროს განაჩენით.

**შრომის სამსჯავრო.** მას შემდეგ რაც დაფუძნებულ იქმნენ ორგანოები, რომელთაც ევალებათ წარმოებია სხვა და სხვა კატეგორიების წარმომადგენლობა და დაცვა (სინდიკატები); მას შემდეგ რაც დამტკიცებულ იქმნენ წესები შრომის კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების შესახებ; მას შემდეგ რაც აკრძალულ იქმნა სოციალურ კლასთა მიერ თავისი თავის ინტერესების თვითნებითი დაცვა გაფიცვის თუ გადარაზვის (ლოკაუტის) საშუალებით. — საჭირო იყო ისეთი დაწესებულების შექმნა, რომელსაც დაევალებოდა შრომის შესახები სადავო საკითხების გადაწყვეტა; რომელსაც შეეძლებოდა განმარტება მიეცა ხელშეკრულებათა მუხლების განხორციელების გამო ატეხილ დავაში ან შრომის საერთო წესის შემოღების გამო, და აიძულებინა დაინტერესებული კავშირები დაეცვათ მათ ხელშეკრულების დებულებანი. ეს დაწესებულება არის შრომის სამსჯავრო.

ორ დაინტერესებულ კავშირის შორის ხანგრძლივი დავის შემთხვევაში, კოლექტიური ხელშეკრულების გამო, და როცა კანონის მიერ გათვალისწინებული ცდა მორი-

გების შესახებ აღარ ხერხდება, მაშინ ერთი მხარეთაგანი ან თვით სამინისტრო, თუ ამას საჯარო ინტერესები მოითხოვენ, მიმართავს შრომის სამსჯავროს.

შრომის სამსჯავრო დაარსებულია თითოულ სასამართლოსთან; სამსჯავრო შესდგება სამი მსაჯულისაგან და ორი ექსპერტისაგან, რომელთაც არც პირდაპირი და არც ირიბული ინტერესი არა აქვთ მათ წინ წარმოდგენილ სადავო საკითხებში. ეს ორი ექსპერტი არჩეულ იქნება იმ სიიდან, რომელსაც არდგენენ კანონიერი პროფესიული კავშირების მითითების თანახმად.

შრომის სამსჯავრო სწყვეტს დავას ერის უმაღლეს ინტერესებთან კერძო ინტერესების შეთანხმებით. მას გამოაქვს განაჩენი, რომელსაც აქვს კოლექტიური ხელშეკრულების ღირებულება და რომელიც საბოლოოდ აწესრიგებს, ისევე როგორც კოლექტიური ხელშეკრულება, შრომის ურთიერთობას.

როდესაც ცხოვრების პირობების შესამჩნევი ცვლილებანი ხდებიან, რომელნიც აუცილებლად იწვევენ თვით ამ განაჩენის გადასინჯვას, მაშინ დაინტერესებული კავშირი ან სამინისტრო მიმართავს შრომის სამსჯავროს, რათა მან ხელახლა განიხილოს ის თვით ვადის გასვლამდე. შრომის სამსჯავროს განაჩენის გასაჩივრება შეიძლება, — მაშინ უნდა მოხდეს კასსაცია.

შემდეგი წერილი ეხება კორპორაციის წყობას.

(დასასრული შემდეგ)

დ მარჯანიშვილი

---

პროფ. გვიდო ბორტოლოტო:

# ფ ა შ ი ზ მ ი  დ ა  ე რ ი

## კორპორატიული წესწყობილების სული

### ნაწილი პირველი

### ფაშისტური სახელმწიფოს არსი

#### 1. ფაშიზმი

მარჯვნივ თუ მარცხნივ? — ასე წარმოსდგა საკითხი თავიდანვე და პასუხიც ასეთივე იყო: მარჯვნივაც და მარცხნივაც. ნაციონალიზმთან — მარჯვნივ; სინდიკალიზმთან — მარცხნივ. ნაციონალიზმისა და სინდიკალიზმის გაერთიანება , — ახალი ეროვნული ერთობა, ახალი ერთიანი ერი — ესაა ფაშიზმი; ფაშიზმის უმაღლესი იდეალი და მისი ძირითადი სინამდვილეა — ერი. მისთვის ცხოვრობს ხალხი, მასში ითქვიფებიან კლასები; იგია საფუძველი, რომელზეც სახელმწიფო მყარდება.

1927 წელს, აპრილის 21-ს გამოცხადებული **კარტა დელ ლავორო**, (შრომის ხარტია, შრომის დებულებანი) თავის პირველ მუხლში ამბობს: „იტალიური ერი არის ორგანიზმი, რომლის მიზნები, ყოფაცხოვრება და საშუალებები, როგორც თავისი ძლიერებით, ისე ხანგრძლივობით, მის შემადგენელ ცალკე პირთა ან მათ კავშირთა მიზნებზე, ყოფაცხოვრებაზე და საშუალებებზე უმაღლესია. იგი ჰქმნის ზნეობრივ, ეკონომიურ და პოლიტიკურ ერთიანობას, რომელიც ფაშისტურ სახელმწიფოში სრულიენად განხორციელებულია“.

ამით გამორკვეული არიან, როგორც რეალობა და იდეალი, მცნებანი: ერი, ეროვნული ერთობა, ეროვნული ერთიანობა და სახელმწიფო.

სახელმწიფო იურიდიული თვალსაზრისით არის „უფლებრივი პიროვნება, რომელსაც განსაზღვრულ მიწაწყალზე და მისი სოციალური ცხოვრების ყველა მოვლენაზე პოლიტიკური ძალაუფლება აქვს“ ანუ „უფლების სუბიექტი უზენაესობითურთ ყველა, მის მიწაწყალზე მცხოვრებ ხალხზე“, ანუ „ტერიტორიული და სუვერენული იურიდიული პიროვნება“. სახელმწიფო ყოველთვის წარმოსდგება, როგორც ერთიანობა, როგორც პიროვნება და როგორც ხელისუფლება. მისი არსებითი უპირატესობაა: ძალა და უფლება. ძალა არის სუვერენული ხელისუფლების დამახასიათებელი; უფლება არის მისი იურიდიული პიროვნების თვისება.

ხელისუფლების განხორციელებით სახელმწიფო ასრულებს მოვალეობას ყველას წინაშე. სახელმწიფო დატვირთულია მოვალეობითი უფლებებით, — სახელმწიფო სამსახურს გვიწევს; მაგრამ უნდა უბრძანოს თავის ორგანოებს და ქვეშევრდომთ, რათა საყოველთაოდ იმსახურონ. ამის გარეშე მას არ შეეძლებოდა ერის მრავალნაირი მოქმედება მოეგვარებინა, წარემართა და იურიდიულად გაედისციპლინებინა.

უფლებრივი დისციპლინა ამართლებს ძალას, რომლის მიხედვით სახელმწიფო დადგენილებასა და აკრძალვას აცხადებს და მის განხორციელებას ბრძანების სახით მოითხოვს. ამითი ცხადდება სახელმწიფოს დანიშნულება. მაგრამ ამასთან ერთად, რათა ემსახუროს საყოველთაოს, მთლიანობის კეთილყოფასა და ინტერესებს, მან უნდა გააცხოველოს სოციალური ძალების მეტოქეობა, — ყველა ენერგია სახელმწიფოს უნდა დაექვემდებაროს და ყველა სოციალური ქმნილება თავის მიზნების შესრულებით თანამომქმედი გახდეს. ამგვარად, სრულოვანი, ტოტალური სახელმწიფო ნამდვილი ხალხური სახელმწიფო არის პირდაპირ და თვით ხალხური ერთობა, რომელიც უბრალო ყოფნიდან ნებისყოფამდე, ისტორიის შემქნელ მოქმედებამდე, ძალამდე და პოლიტიკამდე მიდის.

ფაშისტურმა სახელმწიფომ ყველა სოციალური ძალა, როგორც მარჯვენიდან, ისე მარცხენიდან და შუადან, რომელნიც ერთი მეორეს მოწინააღმდეგენი და უცხონი იყვნენ, სახელმწიფოს ფარგლებში შეიყვანა და როგორც მოქმედი და პასუხისმგებელი საყოველთაოს სამსახურში დააყენა. აქ ცხადდება კორპორატიზმი. ფაშიზმი და კორპორატიზმი დაუშორებელი ცნებაა ერთი და იგივე სახელმწიფო მოძღვრებისა.

ფაშიზმი არის განსაზღვრული შეხედულება სულიერი და პოლიტიკური ერთობის შესახებ; კორპორატიზმი არის იგივე შეხედულება, გადატანილი ეკონომიურ და სოციალურ ასპარეზზე. ამგვარად, ფაშიზმი და კორპორატიზმი განუცილებელია: სულიერი პრინციპი ფაშისტური ერთობისა მოქმედებს აგრეთვე კორპორატიულ დარგში, და ეკონომიური პრინციპი კორპორატიზმისა მჟღავნდება სახელმწიფოს კონსტიტუციურ შენობაში და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ფაშიზმი არის მემარჯვენე და მემარცხენე მოძრაობა, კონსერვატორული და წინმსრბოლი, ერთიანი და სრულოვანი. სახელმწიფოს შესახები მოძღვრება, ამჟამად რომ იტალიაში ბატონობს, არის ტრადიციული და ახალი. ტრადიციული არის მცნება სახელმწიფოს შესახებ, რომლის მიხედვით სახელმწიფო არის პოლიტიკურად მოწყობილი საზოგადოების გამოსახულება და სინტეზი, როგორც ეთიური სიდიდე. ახალია მცნება სახელმწიფოს შესახებ, რომლის მიხედვით იგია სოციალური აგრეგატი, როგორც სინამდვილის აქტიურ და მწარმოებელ ძალთა, რომელნიც უფლებრივ წესწყობილებაში შედიან და დისციპლინის კალაპოტში თავსდებიან. ანუ სხვაგვარად რომ ვსთქვათ: ფაშიზმით იქმნება 1) კოლექტიური ფორმები, რომელნიც აღიარებული არიან როგორც მოწესრიგებული და მუდმივი სოციალური შენობა, 2) ერთიანობა (უნიტარიზმი) ეროვნულ საფუძველზე, როგორც საძირკველი მწარმოებელ ძალთა თანხმობრივი ურთიერთყო-

---

Prof. Guido Bortolotoê Faschismus und Nation. Der Geist der korporativen Verfassung. Hanseatische Verlagsanstalt. Hamburg.

ფისა, 3) აღიარება ავტორიტეტისა, როგორც პრინციპის და როგორც საშუალებისა პოლიტიკური ნებისყოფის წესიერი განვითარებისათვის.

## 2. სახელმწიფო და ერი

### ა. მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ

სახელმწიფოებრივი წყობანი ემყარებიან ორ მთავარ დებულებას: 1) ინდივიდუალისტურს, 2) უნივერსალისტურს ანუ ეტატისტურს. ფაშისტური სახელმწიფო კი ემყარება: კორპორატიულ დებულებას.

ამ დებულებათა შორის განსხვავება შემდეგია: 1. ინდივიდუალიზმის მიხედვით პიროვნება არის მთავარი მოქმედი ძალა (ფაქტორი), კიდევ მეტი: ერთადერთი სინამდვილე ისტორიული და სოციალური ცხოვრებისა. პიროვნება იმტკიცებს თავის პირველად თავისუფლებას და ამაგრებს საზოგადოებრივი ცხოვრების და უფლების ასპარეზზე თავის დამოუკიდებლობას, ავტონომიას, ან როგორც იტყვიან კიდევ, „ინდივიდუალურ ავტარკიას". საზოგადოებრივი ჯგუფები არიან ჯამები (სუმმები) პიროვნებათა, ატომისტური მრავლობანი; ყოველი იდეა პირველადი ერთეულისა, იქნება იგი სოციოლოგიური თვალსაზრისით (როგორც შესობა), თუ იურიდიული თვალსაზრისით (როგორც პერსონები), განდევნილია. საზოგადოება უპირდაპირდება, ეწინააღმდეგება სახელმწიფოს და ჰქმნის თავის საკუთარ სოციალურ და ეკონომიურ სინამდვილეს. თვით სახელმწიფო კი ხდება მხოლოდ უფლების სახელმწიფოდ და თუმცა იგი იურიდიული პიროვნებაა, უყურებენ მას, როგორც ცალცალკე ნებისყოფათა ჯამს, რომელიც თავის გამოხატულებას პოლიტიკურ პარტიებში ჰპოვებს. ესაა სახელმწიფო წმინდათ მხოლოდ იმ მიზნისათვის, რომ ინდივიდუალური უფლებანი უზრუნველჰყოს; უფლებას უცქერიან როგორც გარანტიას; მან უნდა უზრუნველჰყოს ინდივიდუალური უფლებანი და თავისუფლებანი; მან უნდა მოაწესრიგოს ურთიერთი დამოკიდებულებანი, რომელთა მთავარი პერსონა ყოველთვის ინდივიდუმი (პიროვნება) არის. ამის მიხედვით, უფლებრივი დამოკიდებულებანი ექვემდებარებიან პიროვნებათა უზენაესობას და სახელმწიფოს უზენაესი უფლება რჩება მხოლოდ ხალას თეორიულ მტკიცებად. ამისი გამომხატველი პოლიტიკური მოძღვრება არის მოძღვრება დემოკრატიული - ლიბერალური სახელმწიფოს შესახებ.

2. უნივერსალიზმის ანუ ეტატიზმის მიხედვით პიროვნება საერთოდ არ არსებობს; იგი მასსაში ითქვიფება. მართალი ძირითადი ერთეული არის ჯამი, აგრეგატი, რომელიც სოციოლოგიურად, ჯგუფი ან კოლექტივია. ნამდვილი უპირატესი ერთეული კი არის საზოგადოება. მათ შორის, ჯამსა, აგრეგატსა და პიროვნებას შორის არსებობს მხოლოდ ზნეობრივი დამოკიდებულება; სახელმწიფო წარმოადგენს განუსაზღვრელ უზენაესობას; იგი ახორციელებს თავის ნებისყოფას, როგორც სრულყოფილს, აბსოლუტურს და დამკვიდრებულია თავის თავში. თაეის დინამიკურ განვითარებაში სახელმწიფოს ყველა გამოსახულებანი არიან ავტორიტეტური; უფლება არის მხოლოდ გამოვლენა და არა გარანტია ავტორიტეტის, — უფლებრივი დმოკიდებულებანი გამოიხატებიან განუსაზღვრელი სახელმწიფოებრივი უზენაესობით და პიროვნების სრული დამორჩილებით. ამის შესახები პოლიტიკური მოძღვრება არის მოძღვრება ბატონ (პატრონ)-სახელმწიფოს შესახებ.

3. კორპორატიული პრინციპის მიხედვით, პიროვნება არის საჭირო და არსებითი ერთეული სოციალური ცხოვრებისა, მაგრამ იგი არ არის ერთადერთი და აბსოლუტი ერთეული. პირიქით, იგი მკვიდრდება სწორედ მაშინ, როცა იგი საზოგადოებაში ცხოვრობს და როგორც სოციალური ღირებულება უფლებრივ - პიროვნებად არის აღიარებული. აგრეთვე ჯამი, აგრეგატი, კოლექტივი არის არსებითი, მაგრამ იგი ინდივიდუალურ ერთეულს არ უნდა სპობდეს; იგი არის კოლექტიური სოციალური ღირებულება, რომელსაც, ისე რომ ინდივიდუალურ ფაქტორს არ ეწინააღმდეგოს, საყოველთაო კეთილდღეობაში თავისი წვლილი შეაქვს. აგრეგატს აქვს აგრეთვე უფლებრივი პიროვნობა; იგი ისწრაფვის კოლექტიური ინტერესებისკენ, რომელიც აგრეთვე ჯამია და არსება ინდივიდუალურ ინტერესებისა ისე, რომ ეს უკანასკნელნი კოლექტიურ ინტერესთა წიაღში განაგრძობენ არსებობას და იქ არიან წარმოდგენილნი. საზოგადოება სოციოლოგიურ ასპარეზზე არის იგივე, რაც სახელმწიფოებრიობის ასპარეზზე. სახელმწიფოს და საზოგადოების გაყოფა და დაპირისპირება აქ არ არსებობს, ვინაიდან სახელმწიფო არის განხორციელება ეროვნული საზოგადოებისა უფლების ფორმაში. სახელმწიფო არის უზენაესი, სუვერენული უფლებრივი პიროვნება; იგი ჰქმნის თავის საკუთარ ნებისყოფას, როგორც სინტეზს ყველა ცალკეულ ნებისყოფათა და როგორც შედეგს მის მიერ შექმნილ პირობებისა. იგი წარმოადგენს აგრეთვე თავის საკუთარ ინტერესებსაც, სახელდობრ, საყოველთაო ინტერესებს, რომელნიც ყველა ცალკე და კოლექტიურ ინტერესებს შეიცავენ და ყველას მათ უზრუნველჰყოფს და იცავს. ასეთი სახელმწიფო მოძღვრება არის ფაშისტური და კორპორატიული სახელმწიფოს მოძღვრება.

უფლება არის ყველა ინტერესების გარანტია; მას საფუძვლად უძევს პრინციპი ცალკე ნებისყოფათა განწესრიგებისა და დაქვემდებარებისა, შუა მდგომლობისა და შეთანხმებისა სხვადასხვაგვარ სოციალურ ინტერესებს შორის და აგრეთვე დაქვემდებარება სახელმწიფოს საყოველთაო ინტერესებზე. უფლებრივი ურთიერთობანი არიან იერარქიული და კორპორატიული ხასიათის. ამის შესაბები პოლიტიკური მოძღვრება არის მოძღვრება სუვერენული სახელმწიფოს შესახებ, რომელიც თავისუფლებას განსაზღვრავს და უფლებრივ წესრიგს ჰქმნის.

როგორც ვხედავთ, ინდივიდუალიზმის დროს ცალკეული ბატონობს მთელზე; უნივერსალიზმში — მთელი ბატონობს ცალკეზე; მათ შორის დგას კორპორატიზმი, რომელშიაც პიროვნება (ცალკეული) და მთელი (საყოველთაო) თანხმობას, ჰარმონიას ჰქმნიან, სათანადო ურთიერთ დამოკიდებულებათა ერთობაში იმყოფებიან. ფაშისტური დოქტრინის მიხედვით, წინააღმდეგობა პიროვნებასა და სახელმწიფოს ან საზოგადოების შორის მოშლილია და სახელმწიფო შენდება როგორც უფლებრივ - პოლიტიკური არსება კორპორატიული გვარისა.

ფაშისტური სახელმწიფო არის განხორციელება ერისა უფლებრივ ფორმაში. — არის ნაციონალური, უნიტარული (ერთიანი) უფლებრივი სახელმწიფო, იერარქიული და კორპორატიული აღნაგობით.

ეს დებულება გამოთქმულია „შრომის დებულებაში", რომელიც ზემოდ მოვიხსენიეთ, და ამბობს, რომ სახელმწიფო ასახიერებს ერს უფლების ფორმებში. რაც შეეხება უნიტარულ სახელმწიფოს, აღსანიშნავია, რომ იგი ასახიერებს ერს ზნეობრივ, ეკონომიურ და პოლიტიკურ ერთიანობაში. ეს მარტო იმას კი არ ნიშნავს, რომ ესაა ერთიანობა სახელმწიფოს კონსტიტუციური ელემენტებისა ანუ აქაა არა მარტოდ ერთი ხალხი, ერთი ტერიტორია და ერთი საჯარო ხელისუფლება, არამედ შეეხება იმასაც, რომ ყველა ელემენტი და ძალები საზოგადოებრივი მთელისა სახელმწიფოში სავსებით ითქვიფებიან.

როდესაც ვლაპარაკობთ უფლებრივ სახელმწიფოზე, ამით მარტო იმას კი არ ვგულისხმობთ, რომ სახელმწიფო იურიდიული პიროვნებაა და კანონსა და უფლებრივ წესრიგს ადგენს, არამედ იმასაც, რომ სოციალური ცხოვრების ყოველგვარი დამოკიდებულება იურიდიულად არის მოვვარებული და ცხოვრება ჯგუფთა, კავშირთა და პროფესიულ ორგანიზაციათა, აგრეთვე პიროვნებათა და სახელმწიფოსი ზუსტი უფლებრივი დამოკიდებულებით არის განმტკიცებული საყოველთაო სარგებლიანობისა და საზოგადოებრივი სოლიდარობის წარსამატებლად.

იერარქიული აღნაგობა (სტრუქტურა) და მოძღვრება იერარქიის შესახებ ნიშნავს არა მარტო უპირატესობას მაღალი ძალისას დაბალზე ავტორიტეტისა და მორჩილების სხვადასხვა საფეხურზე, არამედ იმასაც, რომ უფლე-

ბრივი წესრიგი დისციპლინის მეშვეობით ყველა არსებულ საზოგადოებრივ ელემენტებს იზიდავს და ყველა ძალებს სახელმწიფოს უმაღლეს მიზნებისაკენ მიმართავს.

კორპორატიული წესრიგი, კორპორატიული პრინციპი და კორპორატიული დოქტრინა არის არა მარტო სინტეტიური და უმაღლესი ორგანიზმი თავისი მეთოდებით და წესებით დამქირავებელთა და დაქირავებულთა, პატრონებსა და მუშებს შორის უთანხმოებათა მოსაგვარებლად, არამედ იგი არის ნამდვილი კონსტიტუციონალიზმი, რომელსაც საჯარო ხელისუფლება განსაზღვრავს და აწესრიგებს მოქალაქეთა და ჯგუფთა ხანგრძლივი მონაწილეობით საჯარო ცხოვრების ფუნქციებში და ამით უზრუნველჰყოფს ერთობასა და თანამშრომლობას საერთო მთლიანობისათვის.

ფაშისტური დოქტრინა განიხილავს სახელმწიფოს, როგორც გამოსახულებას (ფორმას), როგორც დაწესებულებას (ინსტიტუციას) და როგორც სინამდვილეს (რეალობას): იგი განიხილავს სახელმწიფოს, ამის მიხედვით, სამი თვალსაზრისით: მისი არსის, მისი ამოცანის, მისი ქმედობის თვალსაზრისით. სახელმწიფოს არსია ერთიანობა, მისი ამოცანაა ბატონობა, და იგი მოქმედებს იურიდიული პიროვნების ფორმებში.

ა) სახელმწიფოს არსია ერთიანობა. არ შეიძლება სახელმწიფო გაუთანასწოროთ მის ელემენტებს: ტერიტორია, ხალხი, ხელისუფლება. ფაშისტური სახელმწიფო აერთიანებს ამ ელემენტებს და მიუჩენს მათ სათანადო ადგილს.

ბ) სახელმწიფოს ამოცანაა ბატონობა. სახელმწიფო თავის ხალხზე მაღლა დგას და მისგან დამოუკიდებელია. სახელმწიფოს ნებისყოფა უკვდავია, და გადაწყვეტილებანი განვლილ თაობათა განსაზღვრავენ აწმყოსა და მომავალს, სანამ მათ ახალი ნებისყოფის აქტი სავალდებულო ძალას არ გამოაცლის. ეს არ ნიშნავს არც აბსოლუტიზმს და არც თეოკრატიას, რადგან აქ ნაგულისხმები აბსოლუტობა სახელმწიფოს ქმედობის იურიდიული უფლება - გამართლებით შესწორებულია

გ) სახელმწიფო მოქმედებს იურიდიული პიროვნების ფორმებში. იგი მოქმედებს როგორც უფლებათა სუბიექტი, არის არა უბრალოდ მარტო ფაქტი, ყოფნის ან ქცევის ერთი გვარი სახე, არამედ დინამიური (მოძრავი) სინამდვილე უფლების დისციპლინის ქვეშ. ფაშისტურმა სახელმწიფო წესწყობილებამ, რომელმაც სახელმწიფო სოციალურ ჯგუფთა საძირკველზე ააგო, შეჰქმნა ნამდვილი ორგანიული და ნამდვილი იურიდიული სახელმწიფოებრივი მოძღვრება, რომელიც ერთსადაიმავე დროს სცნობს და აღიარებს სუვერენულ სახელმწიფოს, ცალკე პიროვნებას და კოლექტივს, მათ იურიდიულ პიროვნობაში. ფაშისტური მოძღვრების მიხედვით, სახელმწიფო სდგას დასაწყისში, დასაბამში და არა ბოლოში. სახელმწიფოს არსებითი ნიშნები არიან: აუცილებლობა, უპირატესობა, მთავრობიანობა (ავტორიტეტულობა). სახელმწიფო აუცილებელია თავისი დამოუკიდებელი პიროვნობით, რომელიც საკუთარი ნებისყოფით და საკუთარი მიზნებითაა აღჭურვილი; იგი აწესრიგებს და იქვემდებარებს ყველა ინდივიდუალურ ინტერესებს არა იმით, რომ სპობს იგი მათ, არამედ მით, რომ იგი აღიარებს მათ სწორედ, როგორც თავისი პიროვნების განხორციელებას. სახელმწიფო პიროვნებაზე მაღლა სდგას და აუცილებლად ავტორიტარულია. ვინაიდან მისი ნამდვილი სუვერენობიდან გამომდინარეობს ყველა პიროვნების პიროვნობა და მის მორჩილებაში უნდა დარჩეს ყველა.

სახელმწიფო არის სულიერი პრინციპი, მაგრამ იგია აგრეთვე სოციალური ქმნილება, ეკონომიური ძალა, ეროვნული ღირებულება, იურიდიული პიროვნობა და პოლიტიკური ძალაუფლება.

სახელმწიფოს სოციალური იდეალი არის სამართლიანობა კლასთა შორის. მისი ეკონომიური იდეალი არის კეთილყოფა ცალკეულთა და ძლიერება ერისა. მისი ნაციონალური იდეალი არის პატივი სამშობლოსი სხვა ხალხთა შორის. მისი იურიდიული ქმედობა მდგომარეობს უზენაეს უფლებათა განხორციელებაში პიროვნებათა და სოციალურ ჯგუფთა უფლებების დაცვით. მისი პოლიტიკური ხელისუფლება უზრუნველჰყოფს წესრიგს და ცხოვრებაში ატარებს კანონებს.

არ არსებობს ორგანიზაცია უფლებრივი ფორმის გარეშე ესე იგი უსახელმწიფოდ. არ არსებობს სახელმწიფო უზენაესი (სუვერენული) ავტორიტეტის გარეშე. სახელმწიფოს უზენაესობა ცარიელი სიტყვაა, თუ იქ არაა მთავრობა, რომელიც მას ახორციელებს. მაგრამ მთავრობა, ავტორიტეტი უნდა კანონიერი დარჩეს, ვინაიდან პოლიტიკური რეჟიმი სოციალურ აღნაგობაზე შენდება და პოლიტიკური ფაქტორები სოციალურ ფაქტორებს შეეტყვისებიან.

ადამიანთა თითოული კავშირი, იქნება იგი ოჯახური, სარწმუნოებრივი თუ მეურნული, აწესებს დისციპლინას ცალკე პირზე. ამგვარად ღებულობს იგი აღიარებულ უფლებრივ ძალას. ეს არის წარმოშობა და უფლებრივი გამართლება ავტორიტეტისა. მაგრამ პოლიტიკურ ენაზე, როცა სახელმწიფოს ავტორიტეტის შესახებ ლაპარაკობენ, ამით სახეში აქვთ ნამდვილი სუვერენობა. განსხვავება იმაშია, რომ სხვა ავტორიტეტის მქონე ორგანოები თავის ძალას არსებული უფლების წყალობით ღებულობენ, ხოლო სახელმწიფო კი უფლებას პირველადვე ჰქმნის და აწესებს და შემდეგ იძულების გზით ცხოვრებაში ატარებს.

სახელმწიფოს არსი მდგომარეობს სწორედ მის უნარში: ნებავდეს, მოქმედებდეს, ბრძანებლობდეს; აქ იგი სუვერენულია. მაგრამ იგი დაფუძნებული უნდა იყოს ყველა ძალთა ერთობაზე. ამიტომ სანამ ვილაპარაკებდეთ სახელმწიფოს ბატონობის ამოცანაზე და უფლებრივ ქმედობაზე, უნდა გავარჩიოთ მისი ერთიანი მოწყობილობა.

### ბ. ერი.

ფაშისტური სახელმწიფო თავის ერთიანობას არსებითად ერს უნდა უმადლოდეს. ერი არის ძალა, რომელიც ერთსადაიმავე დროს არის იდეალი და სინამდვილე, რომელიც სახელმწიფოს აგებისათვის და შენობისათვის საძირკველსა ჰქმნის. ერი არის გაბატონებული იდეა, როგორც მორალურ, ისე ეკონომიურ და პოლიტიკურ ასპარეზზე. ამ იდეალის საფუძველზე განვითარდენ არსებითი სტრუქტურანი სოციალური შენობისა. სამართლიანად არის ნათქვამი: ნამდვილი წუთი, როცა ფაშიზმმა გაიმარჯვა ლიბერალიზმზე, იყო მაშინ, ოდეს ფაშიზმში განხორციელდა კავშირი მემარჯვენეობისა და მემარცხენეობის შორის, როცა იგი გადაება და დაეკავშირა სოციოლოგიურ ძალებს, რომელთაც მას საბოლოოდ გაამარჯვებინეს. ამით წინდაწინვე პასუხი გაცემულია: პოლიტიკური წესწყობილებათა შექმნისა და რეფორმის დროს კლასი უნდა ბატონობდეს თუ ერი?

უფლების სუბიექტი არის სახელმწიფო. მაგრამ სახელმწიფო არის კანონიერი, ლეგიტიმური, ვინაიდან იგი არის ერის უფლებრივი ორგანიზაცია. ისტორიულ განვითარებაში ერის ბუნებრივი შემადგენელი ნაწილები არიან: სული, გრძნობა, შეგნება. შეგნება იქმნება ნებისყოფად, და ბუნებრივ და სულიერ ელემენტებისაგან შემდგარი გონების, ჭკუის და ნებისყოფის ხელმძღვანელობით იქმნება სახელმწიფოდ. ბუნებაზე, ადათზე და ინტერესებზე აგებული შენობა მოითხოვს ნებისყოფის თანამშრომლობას, რათა მარადიული იქნეს. მაგრამ მეორე მხრივ ნაბისყოფა საკმარისი არაა და ნაყოფიერი, თუ მას არ ასულიერებს ზნე-ჩვეულება, გრძნობა და შეგნება.

1921 წლის ფაშისტური პროგრამა შემდეგ დებულებას შეიცავდა: „ერი არის არა უბრალოდ ჯამი (სუმმა) მცხოვრებ პიროვნებათა, არამედ ორგანიზმი, რომელიც თაობათა დაუსრულებელ რიგებს შეიცავს და რომელშიც ცალკეული პიროვნებანი არიან მხოლოდ გარდამავალი ელემენტები. ერი არის რასის ყველა მატერიალური და იმმატერიალურ (არა-მატერიალური) ქონებათა უმაღლესი სინტეზი, სახელმწიფო არის ერის გამოსახულება უფლების ფორმაში".... თუ რა ღირებულება აქვს ერის უფლებრივ განსახიერებას სახელმწიფოში, მუსოლინმა დაეფასა ასე: „სახელმწიფო არის სულიერი და ზნეობრივი

ფაქტი, ვინაიდან იგი აწყობს ერს პოლიტიკურად, უფლებრივად და ეკონომიურად. ეს ორგანიზაცია არის დასაბამიდანვე და ყველა საფეხურზე სულის გამომჟღავნება. სახელმწიფო არის თავდები საშინაო და საგარეო უზრუნველყოფისა; მაგრამ იგი არის აგრეთვე გუშაგი და მცველი ხალხის სულისა, როგორც იგი საუკუნეთა მანძილზე გამოიჭედა ენით, ზნეჩვეულებით და რწმენით. სახელმწიფო არის არა მარტო აწმყო; იგი არის აგრეთვე წარსული და უწინარეს ყოვლისა მომავალი. ვინაიდან იგი წუთისოფელზე ხანგრძლივია, არის იგი ერის განუყოფელი შეგნება".

სახელმწიფოს ეს შენობა ერზე განიხილება, როგორც ისტორიული განვითარება, როგორც ცხოვრების აუცილებლობა და როგორც იდეალი სოციალური ერთობისა.

სოციოლოგიური ელემენტები, რომელნიც ერის შექმნაში მოქმედებენ, როგორიცაა რასსა, ენა, კულტურა, ინტერესთა ერთობა, თავის ღირებულებებით ფართოვდიან, ღრმავდებიან და მტკიცდებიან უფრო მეტად სახელმწიფოს არსებობის დროს.

სახელმწიფოს შენობის ელემენტები არიან უფლებრივი და პოლიტიკური ხასიათის: ხალხი, ტერიტორია და უზენაესი ხელისუფლება. დინამიური ელემენტები არიან: ორგანოები, ნახევრად - ორგანოები და პიროვნებები.

ერი არის სოციალური ერთიანობა (ერთობა); სახელმწიფო არის უფლებრივ - პოლიტიკური ერთიანობა (ერთობა). ერის წევრობა არის თანასწორი, სახელმწიფოსი კი იერარქიული. ერის ქვიტკირს ჰქმნის სოლიდარობა, მატარებელი თანხმობისა და სიყვარულის გრძნობებისა; სახელმიფოს ქვიტკირს ჰქმნის უმაღლესობა, დამყარებული ქვემდებარება - დამორჩილების გრძნობებზე. სოციოლოგიური ელემენტი ერისა ეხება სახელდობრ მის საკუთარ ისტორიულ, ტრადიციულ, კულტურულ და სულიერ შინაარსს, — იურიდიული მომენტი, პირიქით, არსებითად ეხება სახელმწიფოს შინაარსს.

ყოველივე ეს ასე მოკლედ ითქმება:

ა) ერი არის ისტორიული და სოციოლოგიური ცნება, იგი არის ერთობილი, მარადიული და განუყოფელი არსება სრულყოფილი ცხოვრებით, ნამდვილი ავტონომიური, სოციალური ანუ პოლიტიკური პერსონა.

ბ) სახელმწიფო არის განხორციელება ერისა უფლების ფორმაში; ამიტომ შეიცავს იგი ნიშნებს და ღირსებებს უფლებრივი პირისას და იქმნება ტერიტორიულ, სუვერენულ იურიდიულ პიროვნებად.

გ) ნაციონალურ სახელმწიფოში იურიდიული ცნება შეეტყვისება სოციოლოგიურ და ისტორიულ ცნებას: ორივე ჰქმნის მორალურ ,ეკონომიურ და პოლიტიკურ ერთიანობას (ერთობას).

დ) სახელმწიფო არის სუვერენული; ერის სუვერენობა ეროვნულ სახელმწიფოში გულისხმობს სახელმწიფოს სუ ვერენობას, რომელიც ჩვენს მოძღვრებაში განყენებული იდეოლოგიის ასპარეზიდან სინამდვილეში გადადის.

ე) ერი და სახელმწიფო სინამდვილენი არიან; ერია ისტორიული და მატერიალური; სახელმწიფო — უფლებრივი; ისინი არიან აქტიური სინამდვილენი მარად განვითარებაში; გაყინული (სტატიური) ერი ისევე წარმოუდგენელია, როგორც უმოძრაო, უმოქმედო და აგენსტიური (უცნობი და წარმოუდგენელი) სახელმწიფო.

სახელმწიფოს ეთიური ამოცანა არის ერისა და სახელმწიფოს ორგანიული კავშირი განახორციელოს. მორალური ერთობა შეესაბამება სახელმწიფოს პოლიტიკურ ერთიანობას; უფლების ნორმა აგრეთვე ეთიური ნორმაც არის. და სახელმწიფო არის იურიდიული პიროვნების გარდა იდეალური არსება, როგორც სულიერი ერთიანობა მის შემადგენელ ელემენტთა. ეს ეთიური ამოცანა არის მის ამოცანათა შორის უპირველესი. ვინაიდან იგი პიროვნებისა და კოლექტივის მრავალნაირ ურთიერთობაში ჰპოვებს თავის გამოსახულებას, პრაქტიკულად ხორციელდება იგი უფლების პიროვნობის და დაწესებულებათა ფორმაში, ესე იგი, პიროვნების, ჯგუფის, საზოგადოების და სახელმწიფოს უფლებრივ დამოკიდებულებაში.

როგორც ეთიური ორგანიზმი სახელმწიფო სდგას უფრო მაღლა ვინემ ყველა მატერიალური ელემენტი, რომელთაგან ის გამომდინარეობს. იგია უფრო მეტი ვინემ უფლების შენობა ან განყენებული ფორმულა. იგია თავის - თავად ღირებულება, აბსოლუტური ღირებულება, რომელშიაც ერის ცხოვრება უმაღლეს წერტილს აღწევს. რადგან სახელმწიფო ერის სისხლს ისრუტავს, იგი აღარ არის განყენებული ქმნილება. მეორე მხრივ იგი აძლევს ერის ცხოვრებას შეგნებული პიროვნების ისეთ ფორმას, რომელიც სწორედ მისი სახელმწიფოებრივი პიროვნება არის.

არსებობს მთელი რიგი მიმართულებისა, როგორც მაგალითად ნაციონალ - სოციალიზმი, რომელიც თუმცა ეროვნული არის, მაგრამ რომლისათვისაც ერი ერთგვარად მხოლოდ ჩივრცესა და საზღვრებს ნიშნავს. რომელთა შიგნით მიმართულებას გაფურჩქვნა შეეძლება. ფაშიზმისათვის, პირიქით, ერის არის ცხოვრებისა და მოქმედების ძირითადი შინაარსი, აუცილებელი პირობა მორალური, ეკონომიური, სოციალური და პოლიტიკური ერთობის, ერთიანობის შესაქმნელად. სხვა მიმართულებანი პირველ რიგში აყენებენ პროგრამისა და პარტიის პრინციპს, მეორე რიგში კი — ერს. ფაშიზმისათვის კი უკამათოდ ერს აქვს უპირატესობა და უწინარესობა; მისთვის, მისი ერთიანობისათვის და მარადიულობისათვის სცოცხლობს და იღწვის იგი. ნათქვამის გასაგებად მაგალითისათვის დაასახელებ ნაციონალ-სოციალიზმს: „ფართე მასსები იწამებენ ნაციონალ - სოციალიზმს მხოლოდ მაშინ, როცა იგი მათ მართლა მოუტანს სამართლიანობას. ამიტომ სოციალური სამართლიანობა, სოციალიზმი, არის პირველი. რომელმაც ერთობილ, ერთიან ერის შექმნის გზაზე უნდა შეგვაყენოს"-ო, სწერენ ისინი. აქ არის ძირითადი განსხვავება:

ნაციონალ - სოციალიზმი არის აღზრდა პარტიისათვის, — ფაშიზმი არის აღზრდა ერისათვის. როცა მუსოლინი ლაპარაკობდა ნამდვილი, ერთადერთი, ძლიერი ერის შექმნის შესახებ, იგი გულისხმობდა აბსოლუტურს, რომელიც ყოველგვარი მიმართულების, პიროვნების და კლასების ყოველნაირი განკერძოების მაღლა უნდა იქმნეს დაყენებული. ერი ფაშიზმისათვის არის თავისთავად უკვდავი და რწმენა, და სოციალური სამართლიანობა შეიძლება მიღწეულ იქმნეს მხოლოდ ამ ამაღლებული იდეალის მეოხებით, რომელიც ყველა სადავო საკითხსა და კამათს შლის და თავისთავს მიმართულებათა და პარტიათა დოქტრინამდე არ აქვეითებს. ამიტომ შეუძლია ერს შემეცნებაში, გრძნობაში და ნებისყოფაში ისეთი მაგარი და მტკიცე გახდეს, რომ არც ერთი სხვა პრინციპი და არც ერთი სხვა გრძნობა მის წინაალმდეგ ვერ აღიძვრება. სინამდვილე ერისა სახელმწიფოს სრულიადობაში (ტოტალობაში) შედის და სახელმწიფო კი ერში არსებულ ყოველ ელემენტს, ღირებულებას, ჯგუფს და ძალას განვითარებას აძლევს, დისციპლინაში აყენებს და აერთიანებს.

(გაგრძელება იქნება)

შენიშვნა: პროფესორ გვიდო ბორტოლოტოს ეს შრომა, რომლის გაგრძელებას ჩვენ შემდეგ ნომრებში მოვათავსებთ, იტალიურიდან არის გერმანულად ნათარგმნი; ჩვენ ეს თხუზულება (250 გვერდი ინ 8) შემოკლებულად ვთარგმნეთ; გამოვსტოვეთ უმთავრესად კრიტიკა სხვა მოძღვრებათა შესახებ; ხოლო მოძღვრება ფაშისტურ წესწყობილებაზე კი თითქმის სავსებით გადმოვიღეთ. **მთ.**

**ქართველი მეფე, ეროვნულ ერთობაზე ანუ ფაშიზმზე დაურდნობილი, ერის უზენაესი გამომხატველია.**

**ფაშიზმი ანუ ეროვნული ერთობა გულისხმობს, რომ საქართველოს ხელისუფლება იქნება ერთი, მტკიცე, ურყევი და ზეკლასობრივი. ყველა ქართველი თანასწორ - უფლებიანი და თანასწორ - მოვალეობიანია.**

**ქართლოსის მთავარი მიზანია: დიდი და დიადი საქართველო.**

# ნამყო და მყოფადი ქართველი ერისა

„მომეპყარენით საჩინონი ეგე სასმენელნი თქუენნი და უფროჲსღა საცნობელნი ეგე ყურნი გულისა და გონებისა თქუენისანი, განჰმარტენით სმენად და მასპინძელ ექმენით სიტყუათა ამათ ჩემთა“...

იოვანე საბანის-ძე (მერვე საუკუნის მეორე ნახ.)

## I

### ნათესავთ-მეტყველების საკითხი საერთოდ

სოფლისა და ადამიანის წარმოშობის საკითხი წამოიჭრა ალბათ მაშინვე, ოდეს ადამიანში სულიერი ცხოვრების ნაპერწკლები გამოკრთა. როგორ შეიქმნა ეს ქვეყანა, ეს მზე, ეს მთვარე, მთელი ბუნება: ვინ გააჩინა ასეთი მრავალფერი სიცოცხლე და საიდან წარმოსდგა თვით ადამიანი: სად არის დასაბამი ყოველი არსებისა — აი საკითხი, რომელიც პირველ შეგნებას აწვალებდა.

და ადამიანმა თვით შეჰქმნა მოძღვრება ქვეყნის გაჩენის შესახებ და მიზეზობრივ კავშირად დასახა ღმერთი და მისი სიტყვისაგან წარმომდინარა ყოველი არსი.

ქვეყნის წარმოშობის ეს მოძღვრება ერთ მთლიან თეორიად გარდმოცემულია „დაბადება“-ში და იგი, ბიბლია, შეიქმნა იმ წყაროდ, რომელიც ყოველი მოვლენის ამხსნელად იხმარებოდა.

„და შექმნა ღმერთმან კაცი, ხატად თჳსად შექმნა იგი ღმერთმან. მამაკაცად და დედაკაცად შექმნა იგინი და აკურთხა იგი ღმერთმან, მეტყუელმან მას: და მთავრობდით“... ამა ქვეყანასა ზედაო...

ადამი არის კაცი ქვეყნიერი, მიწა განკაცებული ღვთის მიერ. და ამით აღიარებულია ვალდებულება ღვთის სიტყვის დაჯერებისა და მიმდევრობის შესახებ. მაგრამ ოდეს ადამიანთა შემდეგმა მოდგმამ დაივიწყა ღვთის სიტყვა, მაშინ „თქუა ღმერთმან: ავხოცო კაცი რომელი შევქმნენ.. რამეთუ შევინანე, რამეთუ შევქმნენ იგინი“... და მოავლინა წარღვნა, რომლის დროს ღვთის დარიგების მიხედვით გადარჩა ღვთის მოყვარე ნოე.

ნოეს სამი შვილი ჰყავდა: სემი, ქამი და იაფეტი.... „და იშუნეს მათდა ძენი შემდგომად წყლის რღუნისა ძენი იაფეთისანი: ღამერ და მაგოგ, და მადაიმ, და იოავან, და ელისა და თობელ, და მოსოქ და თირას და ძენი ღამერისანი.... ხოლო ხუს შვა ნებროთ: ამან იწყო გმირ ყოფად ქუეყანასა ზედა... და იქმნა დასაბამ მეფობისა მისისა„... ამგვარად აქ სხარტულად დახატულია ადამიანის მოდგმათა წარმოშობის და პირველი მეფობის შექმნის ამბავი. ნოეს შვილების ჩამომავლობისაგან კაცობრიობა წარმოსდგა და პირველი მეფობის საპყრე ნებროთმა დაიკავა.

ნოეს შთამომავლობას, ამ ერთ ოჯახს, რასაკვირველია, ერთი ენა უნდა ჰქონოდა და მართლაც, დაბადება გვიამბობს, რომ „იყო ყოველი ქუეყანა ენა ერთ და ხმაჲ ერთ ყოველთა“, ხოლო როცა ადამიანებმა ღმერთი კვლავ დაივიწყეს და ცად მისაღწევად გოდოლის შენება დაიწყეს, ღმერთმა დაუნგრია მათ ეს უკეთური გოდოლი და „შეურივნენ მათ ენანი მუნ რათა არა ესმოდეს მუნ თჳთეულსა ხმაჲ მოყუსისა და განთესნა იგინი უფალმან მუნით ზედა ყოვლისა ქუეყანისასა“...

აღნიშნულ დებულებაში განმარტებულია, თუ როგორ შეიქმნა სხვა და სხვა ენა და რაგვარად განიფანტა ხალხი დედამიწის ზურგზე.

ეს ბიბლიური წერილობითი მოძღვრება ადამიანის წარმოშობის შესახებ ქვაკუთხედათ დაედო ქრისტიანულ მოძღვრებასაც და როცა წმიდა მამები ერებისა და ენათა წარმოშობის ანუ ნათესავთმეტყველების საკითხს ყურადღებას მიაპყრობდიან, ყოველთვის ამ ბიბლიურ თეორიას ემყარებოდენ და მისი მიხედვით მსჯელობდენ.

პალესტინის ეპისკოპოზი ევსევი († 340 წ.) აღწერს ტომთა ვინაობას და სხვათა შორის ნოეს მესამე შვილის იაფეტის შთამომავლობასაც გვაცნობს. მისი თეორიით: მიდიიდან სპერამდე — შემდეგ ქვეყნებში: მიდია, ალბანია, ამაძონია, არმენია, კოლხიდაში იაფეთის შთამომავალი ტომები ცხოვრობენო; ხოლო წმიდა ეპიფანე († 403 წ.) ნოეს შვილის სემის შთამომავლებად სთვლის ლაზებს, ხალდებს (ქართებს), იბერიელებს, არმენიელებს, ხალიბებს და სხ. ანტიოქელი ეპისკოპოზიც ევსტაფი († 360 წ.) ამტკიცებს, რომ ნოეს სამ შვილს: სიმ, ხამ და იაფეთისაგან წარმოიშვენ ერები და ისინი დასახლდენ ტაუროს და ამმანუს მთიდან დაწყებული მდინარე ტანაიდა-მდე, და ევროპაში გადაირონ-ამდეო; ეს ხალხები იყვნენ: გამერ, მამამთავარი გამერელთა (ახლანდელ (ე. ი. მისი დროის) გალატას-თა), აგოდ - მაგოდეისთა (ახლანიბერიელთა), ოსოხ - მესხინელთა (ახლანდელ კაპადოკიელთა (მესხთა?); ხოლო ლიბერ გენერაციონის-ში, რომელიც დაკარგული ბერძნული ქრონიკის ლათინურ თარგმანს წარმოადგენს და მიეწერება ეპისკოპოზ იპოლიტე პორტისას (მე-3 საუკ. პირველი ნახ.), ნათქვამია, რომ იაფეთის ტომები დასახლებული არიან მიდიიდან დასავლეთ ოკეანემდე და ვრცელდებიან ჩრდილოეთამდეო; ამ ტომთა შორის მას დასახელებული ჰყავს სხვათა შორის — ალბანი, არმენი, კორზეინი (ქორთუ?), ხალიბი, მოსინოეკი, კოლხი და სხ.

ამნაირად: ადამიანის ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება და მიზეზობრივ კავშირთა ახსნა მოპოებულია და დამტკიცებული „ბიბლიის“ ანუ „დაბადების“ მოძღვრების შექმნით. ადამი — ღვთის კაცი, ღვთის მიერ განკაცებული მიწა; ადამიანი — ადამის შთამომავალი; ღვთის სიტყვის უგულებელყოფნისა გამო, ღვთის დავიწყების შედეგად — ხდება ადამიანთა დასჯა წარღვნის მოვლინებით; ღმერთმა გადაარჩინა ნოე; ნოეს შვილებისაგან წარმოიშვა კაცობრიობა; ხოლო გოდოლის აგების გამო კვლავ ღვთის მიერ მოვლინებული სასჯელი — ენათ აღრევით და დედამიწის არეზე გაფანტვით: იქმნება მრავალი ენა და მრავალი ხალხი, რომელიც აქა-და-აქ არის დასახლებული.

საჭოჭმანოდ არ გაგვიხდება იმისი თქმა, რომ ეს ბიბლიურ - ქრისტიანული მოძღვრება ადამიანთა და ხალხთა წარმომავლობის შესახებ ქართულ აზროვნებაზეც თავის გავლენას მოიპოვებდა, როდესაც ამ უკანასკნელის წინაშე ქართველი ერის წარმოშობის საკითხი წამოიჭრიბოდა.

### 2. ქართველთა წარმოშობის საკითხი.

თითოეული ერის ცხოვრების წარმოშობის ისტორია მეტად რთული მიმდინარეობაა და მრავალ მოვლენის ურთიერთ გავლენათა გარკვევა თუ შეუძლებელი არა, მეტად ძნელი უსათუოდ მაინც არის. ეტნოგრაფიისა და ისტორიის მეცნიერება ამ შემთხვევაში დროდან დრომდე განსაზღვრული ჰიპოტეზით, ეგებისობით კმაყოფილდება და ამგვარად, მოსაზრებას ფართო ადგილი ეთმობა. მას ჯერ კიდევ ბევრი დაბრკოლება აქვს გადასალახი, რათა, მაგალითად, ქართველი ერის წარმოშობისა და მისი დადგინების საკითხი დაახლოებით გადაჭრილად მაინც აღიაროს.

ამჟამად ჩვენ არ გვაინტერესებს ქართველი ერის ვინაობისა, წარმოშობისა, ნათესაობისა და კავკასიაში დამკვიდრების საკითხთა განმარტება თანამედროვე ისტორიული მეცნიერების მოძღვრებათა მიხედვით; დღეს ჩვენს გულისყურს იპყრობს მხოლოდ ერთი მეცნიერი, რომელიც ქართველი ერის წარმოშობის შესახები კვლევა-ძიების დაწყების თარიღით და ამ მისწრაფების ბუნებრივი გამოხატულებით ყველა მეცნიერთა შორის პირველია. ეს თვით ქართველი ერი, მისი სულიერი ხელმძღვანელობა, მისი გონებრივი მეთაურობა, და ამ მეთაურობის მიერ შექმნილი უძვირფასესი წიგნური ძეგლი: — „ქართლის ცხოვრება“.

ერის ისტორიული მსვლელობა როდესაც ისეთ საფეხურამდე მიდის, სადაც იგი თავის თავში გრძნობს გარკვეულ სახეობასა და თავის რაობის განსხვავებას ამჩნევს,

მა: ბუნებრივად უჩნდება სულიერი მოთხოვნილება გაიგოს: ვინ არის, საიდან მოდის.

რამდენადაც ვიცით, ქართველთა წარმომავლობის საკითხს პირველად ექვთიმე ათონელი შეეხო; მეათე საუკუნის გასულს მან ბერძნულიდან სთარგმნა მაქსიმე აღმსარებელის თხუზულება: „ნეტარისა თალასეს მიმართ"; ამ თარგმანის დროს ქართველმა მთარგმნელმა, ექვთიმე ათონელმა თავის მხრივ ქართველთა მოდგმის საკითხიც აღძრა და თავისი შეხედულება ჩაუმატა თარგმანს; მისი აზრით: ქართველნი, მეხურელნი, სომეხნი, ჰერნი, ოსნი, ჯიქნი, აფხაზნი და მეგრელნი ითვლებიან სემის შთამომავლობად; ხოლო თობელ, მოსუქ, გარბანელნი, ლეკნი, სომეხნი ქუენანი, არაველნი, კოლხელნი და ქართველნი დასავლეთისა — სპანნი, აღნიშნული არიან იაფეთის მემკვიდრეებად.

როგორც ვხედავთ, აქ აშკარად გამოსჭვივის წმიდა მამათა მოძღვრების პირდაპირი გავლენა; მაგრამ აქ ქართველთა წარმოშობის სრული სურათი და ნათესავთმეტყველების მოძღვრება არ არის გადმოცემული. ამ ნაკლს ასწორებს მეთერთმეტე საუკუნის პირველი ნახევარის მოღვაწე ლეონტი მროველი, რომელმაც ქართველთა წარმოშობისა და ნათესავთმეტყველების სრული მოძღვრება დასახა და შექმნა.

ლეონტი მროველი თავის თხუზულებაში: „ცხოვრებაჲ ქართველთა მეფეთაჲ და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთაჲ", ამტკიცებს, რომ ქართველთა ტომები თავდაპირველად კავკასიაში არ ბინადრობდენ, არამედ სადღაც სამხრეთით (და ეს აზრი დღევანდელ ქართულ საისტორიო მეცნიერებაში გაბატონებულად ითვლება).

„ქართლის ცხოვრების" მეცნიერის შეხედულების თანახმად: „სომეხთა, ქართუჱლთა, რანთა და მოვაკანელთა, ჰერთა და ლეკთა, მეგრელთა და კავკასიანთა, ამათ ყოველთა ერთი იყო მამა, სახელით თარგამოსს: ესე თარგამოს იყო ძე თარშისა, ძისა ავანანისა, ძისა იაფეთისა, ძისა ნოესა: და იყო ესე თარგამოს კაცი გმირი: და შემდგომად განყოფისა ენათასა, ოდეს აღაშენა ნებროთ ბაბილონს გოდოლი და განეყუნეს მუნ ენანი, და განიბნიეს მუნნით ყოველსა ქუჱყანასა. წარვიდა ესე თარგამოს ნათესავითურთ მისით და დაემკვიდრა ორთა-მათ მთათა შორის კაცთა შეულსა, არარატსა მასისსა".

აქ აღნიშნული თარგამოსი არის სომხური გარდმოცემის თორგგომი და ბიბლიის თოგარმაჰ, იაფეტის შთამომავალი.

ამნაირად „ქართლის ცხოვრების" ისტორიკოსი, ლეონტი მროველი, ქართველი ერის წარმოშობას ბიბლიურ მოძღვრების მიხედვით, ნოეს ოჯახს უკავშირებს და ამით ისტორიულ ეთნოლოგიას არკვევს.

მაგრამ ეს საკმარისი არ იქნებოდა იმის გასაკვლევად, თუ თვით სიტყვა „ქართველი", „ლეკი" და სხვა და მისი მატარებელი ხალხი როგორ წარმოიშვა. ამისი განმარტება აუცილებელიც იყო და ამიტომ „ქართლის ცხოვრება" ამ საგანს ამგვარად ხსნის:

ხოლო შვილთაგან თარგამოსისთა, გამოჩნდეს კაცნი რვანი (8). გმირნი ძლიერნი და სახელოვანნი, რომელთა სახელები ესე არს: — ჰაოს, ქართლოს, ბარდოს, მოვაკან, ლეკოს, ჰეროს, კავკას და ეგროს... და ესე რვანივე ერთობით ჰმონებდეს ნებროთ გმირსა, რომელი იყო პირველი მეფე ყოვლისა ქუჱყანისა"..

„ქართლის ცხოვრების" ისტორიკოსი ყველა დასახელებულ პირს აძლევს სამფლობელო მხარეს, რომლის საზღვრებიც იქვეა აღნიშნული. ამ გმირთა სახელებით მონათლულია თითოული მხარე, და ამ გმირთა სახელის მატარებელია თითოული ხალხიც: ქართლოსი — ქართლი; ლეკოსი — ლეკეთი და სხ.

რასაკვირველია, ერის წარმოშობისა და შექმნის გამოსარკვევად მაშინ არც ისტორიული კვლევა-ძიება არსებობდა, არც არქეოლოგია, არც საბუთებრივი მასალა; არსებობდა ბიბლია, წმიდა მამათა მოძღვრება, დამყარებული ბიბლიაზე და ხალხური ზეპირსიტყვაობა, მითოსი, ზღაპარი, ამ უკანასკნელში ჩვენთვის მთავარი მნიშვნელობა აქვს ეტიოლოგიურსა და პოლიტიკურს მითოსს, რომელიც თავის მხრივ ეროვნულ მოგონებათა, გარდმოცემათა და პირველადი ძიების შედეგია. (ეტიოლოგიური მითოსი არის გარდმოცემა, რომელსაც მიზნად აქვს განმარტოს სახელის, ჩვეულების და სხ. წარმოშობა; ამგვარივეა პოლიტიკური მითოსიც, რომელიცაა გარდმოცემა პოლიტიკურ მოვლენების მიზეზთა და განმარტებათა შესახებ).

ჩვენი ისტორიკოსის წარმოდგენით, მაშასადამე, წარღვნის შემდეგ გადარჩენილ ნოეს ჩამომავალი კავკასიის ერები დაემკვიდრენ ორთა შუა ზღვასა — კავკასიაში; ოღონდ ისინი ითვლებოდენ ნებროთ გმირის ბატონობაში, მაგრამ ძალთა მომატების შემდეგ, ჰაოსმა (სომეხთა მამამ) შეჰკრიბა ყველა ძმა (კავკასიელი) და რქვა მათ: „მოგვცა ღმერთმან მაღალ-მან ძალი და სიმრავლე ნათესავისა (ანუ ტომისა) ჩუჱნისა. აწ შეწევნითა ღუთისა დამბადებელისათა ვიყუნეთ არა-ვისა მონა და არა-ვის ვმსახუროთ, თვინიერ ღუთისა დამბადებელისათა".... და აქედან იწყება წადილი დამოუკიდებლობისათვის, რომელიც მძაფრ ბრძოლათა შედეგად მიღწეულ იქმნა.

მუნ სრულდება ამ რვა ძმის შესახები მოთხრობა და იწყება თვით ქართველთა ამბავი: „ხოლო აქათ-გან ვიწყოთ და წარმოვთქუათ ჰამბავი ქართლისა და ნათესავისა მათისა"...

თარგამოსმა როცა თავის შვილებს ქვეყნები დაურიგა, მათ შორის ქართლოსს მიეცა ქვეყანა ქართლოსი და „ესე ქართლოს მოვიდა პირველად ადგილსა-მას სადა შეერთვის არაგვი მტკუარსა, და განვიდა მთასა ზედა, რომელსა ეწოდების არმაზი და პირველად შექმნა სიმაგრენი მას-ზედა და იშენა მუნ ზედა სახლი, და უწოდა მთასა-მას სახელი თჳსისა ქართლი, და ვიდრე აღმართებამდე მუნ ზედა არმაზისი ერქუა მთასა-მას ქართლი. და მის გამო ეწოდა ყოველსა ქართლსა ქართლი"....

ეს განმარტება საკმარისი არ იქნებოდა სხვა პოლიტიკურ თუ გეოგრაფიულ სახელთა ასახსნელად, და ამიტომ იგივე მოძღვრება განაგრძობს: რომ ქართლოსს ჰყავდა ხუთი შვილი: მცხეთოს, გარდაბანოს, კახოს, კუხოს; და ამ სახელებთან დაკავშირებულია გეოგრაფიულ-პოლიტიკური მცნებაც: მცხეთა, გარდაბანი, კახეთი, კუხეთი, გაჩიანი.

„ხოლო შვილთა შორის მცხეთოსისათა გამოჩნდეს სამნი გმირნი სახელოვანნი, რომელთა სახელები ესე არს. პირუჱლსა, უფლოს; მეორესა, ოძრხოს; მესამესა, ჯავახოს და სხვა.

ამგვარად: „ქართლის ცხოვრების" ნათესავთმეტყველების მოძღვრების მწერალი მოკლედ გვიხსნის მთელ იმ ისტორიულ გზას, რომელიც წარმოშობიდან ქართველთ უნდა განევლოთ და გვიხატავს, თუ როგორ გაჩნდა : ქართლი და ქართველ ნათესავთა (ტომთა) სხვა ნაწილებიც და მათი სამყოფელი: თუ როგორ გაჩნდა ქვეყანათა და ქალაქ-ციხე-სიმაგრეთა სახელები.

ეს ეტიოლოგიური და პოლიტიკური მითოსი არის ის პირველი ეროვნული თვით-შეგნება, რომლითაც ხასიათდება ერის მიერ თავისი თავის მონახვა და დამტკიცება: ჩვენ ესა და ეს ვართ!

მაგრამ აღნიშნული მოძღვრება მეტსაც გვეუბნება: იგი გვიმტკიცებს, რომ კავკასიელი ერები ერთი მამისაგან წარმოიშვებიან, ერთი შთამომავლობისა არიან, ძმები გახლავან. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ მოვლენას, რომ ეს მოძღვრება შედგენილია იმ ხანად, მეთერთმეტე საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც სომხეთის სამეფო შეიძლება უკვე დაცემული იყო (იგი დაემხო 1043 წელს) და საქართველოს საზღვრები კი ისე ფართოვდებოდა, რომ მალე სომხეთიც მის შემადგენელ ნაწილად გადაიქცა, და საერთოდ კი კავკასიის ასპარეზზე საქართველო უკვე ბატონობას იჩემებდა, ცხადი ხდება, თუ ქართველ ავტორს რატომ უნდა დაესაბუთებინა კავკასიელ ერების ერთ-წარმოშობა და მათი ძმობა. ეს იყო იდეოლოგიური საფუძველიც, რომელზედაც ქართული კავკასიური დიდი სახელმწიფო უნდა აგებულიყო. კავკასიური ერთიანობისა და მთლიანობის იდეა გადმოცემულია აქ კავკასიელი ერების ერთ-წარმოშობისა და ერთ-ძმობის მოძღვრებით; ხოლო ამ ერთიანობისა და მთლიანობის მებაირახტრედ, უფროსად ამ კავკასიელ ძმათა შორის,

დაყენებულია ქართლოსის შთამომავლობა, — საქართველო.

ამ ჩვენს მოსაზრებას ქვერს უკრავს ერთი საინტერესო ამბავიც, რომელიც სწორედ აღნიშნულ მოძღვრებას შეეხება:

აკადემიკოს მარი ბროსსეს მიერ გამოცემულ „ქართლის ცხოვრება“-ში ეს ცნობა ნათესავთმეტყველების შესახებ შემდეგნაირად არის მოტანილი:

„პირუელად ვახსენოთ ესრეთ, რამე-თუ **სომეხთა** და ქართუელთა ჰყავდათ ერთი მამა... შვიდთავე გმირთა ზედან იყო გამგებელ და უფალ **ჰაოს** და ესე ყოველნი იყვნეს მორჩილ **ჰაოსისა**“....

ამ ამონაწერში პირველად ნახსენებია **ჰაოსი - სომეხი**, და ნათქვამია,, რომ ჰაოსს ანუ სომეხს მორჩილებდა დანარჩენი შვიდი ძმაო, მათ შორის ქართლოსიც.

მაგრამ რუმიანცევის „ქართლის ცხოვრება“-ში-კი ეს ცნობა ამნაირად არის დაცული:

„პირველად ვახსენოთ ესერეთ, რამეთუ **ქართველთა** და სომეხთა ჰყავდათ ერთი მამა.... **ქართლოს** იყო ყოველთა ზედა უხუცეს და უმთავრეს და ესრეთ პატივს სცემდნენ ყოველნი ძმანი მისნი, ვითარცა მფლობელსა თვისსა“...

როგორც ვხედავთ: ამ ორ ამონაწერში დიდი განსხვავებაა. პირველ ტექსტში: სომეხია უფროსი და უპირატესი; მეორეში — სომხობის უფროსობისა და უპირატესობის აზრი უკუგდებულია და ქართველთა აღმატებულების აზრი კი განმტკიცებული.

რით აიხსნება ეს მოვლენა სხვადასხვაობისა აღძრული საკითხის შესახებ?

ცნობილია, „ქართლის ცხოვრება“ ითარგმნა სომხურად 1125 წელს. ზოგის აზრით, მარი ბროსსეს მიერ დაბეჭდილი ჩვენი მატიანე შეცვლილია უკვე მოხსენებული სომხურად ნათარგმნის ქართული ქრონიკის წყალობით; რაც ქართლოსზეა ნათქვამი რუმიანცევის ვარიანტში, იგი გადაუტანია სომხურად ნათარგმნს 1125 წ. ქართულ ქრონიკას ჰაოსზე. — ხოლო შემდეგ აკადემიკოს მარი ბროსეს მოუქცევია იგი დაბეჭდილ „ქართლის ცხოვრება“-ში; ესე იგი, სომხურად თარგმანის დროს მთელი ამბავი ქართლოსისა მიუწერიათ ჰაოსისათვის, ქართული ისტორია გაუსომხებიათ. ეს საკითხი თავისთავად საინტერესო და საგულისხმო (ასეთი შემთხვევა არა ერთია, — მაგალითად: ქრისტიანობის გავრცელების, ანბანის შემოღების ამბავი და სხ.) ჩვენთვის მეტად საყურადღებოა მხოლოდ ერთი თვალსაზრისით 1):

ექვს გარეშეა, ქართული ეროვნული სახელმწიფოებრივი შეგნების ზრდასთან ერთად, ქართული იარაღისა და მისი ბატონობის გავრცელებასთან ერთად. ქართლოსისა და ქართველის უპირატესობა უნდა განმტკიცებულიყო და აღმაღლებულიყო იდეოლოგიურადაც.

„ქართლოს იყო ყოველთა ზედა უხუცეს და უმთავრეს და ესრეთ პატივსსცემდნენ ყოველნი ძმანი მისნი, ვითარცა მფლობელსა თვისსა“.... აქ არის დამტკიცებული ქართლოსის უპირატესობა დანარჩენ ძმებზე, საქართველოს უმთავრესობა დანარჩენ კავკასიურ მხარეებზე.

ამ კავკასიელი ხალხების მამამთავარი თარგამოს უკვე აღარ არსებობდა, ხოლო მისი რვა შვილი სინამდვილე იყო; ამ რვა ძმათაგან ქართლოსი მაღლდება, ძლიერდება, ბატონდება დანარჩენ შვიდ ძმაზე: ჰაოს (სომეხი), ლეკოს, კავკას, ეგროს (მეგრელი) და სხვაზე. ეს მოძღვრება ნაკარნახევია ქართული ეროვნულ - პოლიტიკური შეგნების ზრდის და ქართული სახელმწიფოებრივი გაფართოების, საზღვართ გადაჭიმვის, ექსპანსიის წადილით, საქართველოს მიერ კავკასიური პოლიტიკის შექმნით და განხორციელებით. ქართველ ტომთა სახელმწიფოებრივად გაერთიანებისა და მით საქართველოს შექმნის შედეგად. როცა ქართული პოლიტიკა მიემართა კავკასიის დაპყრობისაკენ (მეთერთმეტე საუკუნიდან), რასაკვირველია. ქართველთა უპირატესობის განმტკიცება როგორც ისტორიულად, ისე პოლიტიკურად, როგორც რასიულად, ისე კულტურულად დღიურ წესრიგში იქნებოდა და მას თავისი გამოხატულება უნდა მოეძებნა რეალ პოლიტიკაში და იდეოლოგიაშიც.

ქართული რასის დაცვა მთელი ჩვენი ისტორიის დამახასიათებელი მოვლენაა და დაწყებული იოვანე საბანის-ძედან მე-19 საუკუნის დამდეგამდე, საამისო საბუთი მრავალი მოიპოვება. იოვანე საბანის-ძე, მერვე საუკუნის მეორე ნახევარის მოღვაწე, იმ ხანის, როდესაც ქართულ მიწაწყალზე ჯერ კიდევ არაბები ბატონობდენ და ამ ბატონობის დროს ზოგნი „შიშითა განილევიან და ირყევიან ვითარცა ლერწამნი ქარისაგან ძლიერისა“, — სწუხს და მოსთქვამს, „რამეთუ აღვერიენით ერსა, უცხოსა შჯულისა, განდგომილსა ქრისტჱსგან, ნათესავსა საწუთროჲსა ამის მოყვარისა, თესლსა ურწმუნოსა ძისა ღმრთისასა“ და მოუწოდებს ქართველთ: ნუ შეერევიან არაბთ. და ბოლოს, მე-18 საუკუნის დასასრულს, ამბროსი ნეკრესელი († 1808 წ.) ქადაგებდა: „შევიყვაროთ ჩვენ ქართველობა და დავიცვათ იგი!“.

ამგვარად: ქართლოსიანთა რასა წარმოდგენილია როგორც ქართული ეროვნულ - სახელმწიფოიბრივი ფუძე; როგორც გამოჩენილი და უმაღლესი დანარჩენ კავკასიელ ხალხთა შორის; როგორც მფლობელი და მპყრობი კავკასიისა.

ცხადია, ეს შეხედულება დაფუძნდა და განმტკიცდა საქართველოს სამეფოს გაერთიანება - გაძლიერება და კავკასიური პოლიტიკის შექმნასთან დაკავშირებით, მაშინ ბრწყინვალე ბაგრატიონთა ტახტის სიძლიერესთან ერთად.

### 3. ქართული ენის წარმოშობის საკითხი.

ნათესავთმეტყველების ანუ ერების წარმოშობის შესახებ მოძღვრებასთან ერთად ბუნებრივად ენების წარმოშობის საკითხიც წამოიჭრებოდა; თვით ბიბლია ენათა წარმოშობას უკავშირებს ბაბილონის გოდოლის დანგრევას, რომელთან ერთად, ღვთის დაწყევლით, „ენათა შერევა“ მოხდა და ერთი ენის მაგიერად სამოცდაათი ენა გაჩნდა. ამ რიცხვში ქართული ენა არ იყო მოხსენებული, მხოლოდ აღნიშნულია, რომ ასურული ენა გაბატონებულია სომხეთამდეო. მგონი, აქედან ჩვენი ისტორიკოსი ლეონტი მროველი დაასკვნის, რომ სომხეთს აქეთ

1) ამ საკითხის შესახებ ბ. ექვთიმე თაყაიშვილი შემდეგსა სწერს (იხ. ოპისანიე, ტ. მეორე, ვიპ. 1., გვ 93, თბილისი, 1906 წ.): — „ტექსტის შეცვლა და მასთან მეტად ტენდენციური, გვხვდება რუმიანცევის სიის დასაწყისში და მის კოპიოში, ჩუბინაშვილის სიაში... ვახტანგისეულამდე მარიამის სიაში და ვახტანგის რედაქციის ყველა სიაში, რუმიანცევის სიისა და მისი კოპიოს გარდა, კუთვნებული“. (ასევე სომხური ენის შესახებაც. ავტ.) თარგამოსის შვილთა შორის პირველობა ჰაოსს აქვს მი-„ამ განსხვავებამ რუმიანცევის ტექსტისა, რომელიც პირველად გადმოსცა ი. სერებრიაკოვმა და მერმე ა. ხახანაშვილმა, გამოიწვია ბროსსეს მიმართ უსაფუძვლო საყვედურები და მიიღო ქართულ ლიტერატურაში ყალბი ახსნა... სერებრიაკოვი და ხახანაშვილი ამტყუნებდენ ბროსსეს, რომ მან ქრონიკის ძველი ტექსტი დაამახინჯა ამ ადგილას, და ქართლის ცხოვრების ყველა ძველი სიის მიუხედავად, სომხური ქრონიკიდან შეიტანა ყალბი შესწორება, რომლის მიხედვით მამამთავარი სომეხთა ჰაოსი აიყვანა ქართველთა ეპონიმ, ქართლოსის უფროსი ძმის ხარისხამდე და პირველყოფილ ენად ქართლოსის შთამომავალთა აღიარა სომხური ენა; ქართული კი ითვლება შექმნილად საქართველოში შემოსახლებულ სხვა და სხვა ხალხთა ენების შერევიდანო; ამასთან ამ ადგილებს ხახანაშვილი სთვლის ორიგინალის დამახინჯებად სომეხი მთარგმნელის მიერ. ჩვენ უნდა აღვნიშნოთ ფაქტი, რომ არც ბროსსე, არც სომეხი მთარგმნელი აქ არაფერ შუაშია“... „... მაგრამ დასაწყისი მისი ტექსტისა, რომელიც იტყობინება ჰაოსზე ქართლოსის უფროსობის შესახებ, წარმოადგენს ტენდენციურ ცვლილებას ძველი ტექსტისას, და არის მეცხრამეტე საუკუნის დამატება; და ცალკე განსაკუთრებულ წინასიტყვაობასთან ერთად ალბათ ეკუთვნის მეფისწულ თეიმურაზს“. (გვ. 111). ბ-ნი თაყაიშვილის აზრს იზიარებს ბ-ნი ივ. ჯავახიშვილი.

მაშ სომხური ენა იქნებოდაო, ქართველებიც სომხურად ლაპარაკობდენ და თვით ქართული ენაც წარმოიშვა სხვა ენათა შერევითო: — ვიდრე ნაბუქოდონოსორ მეფე (ხალდეეს მეფე — 605 — 562 წ. ქრისტეს წინ) იერუსალიმს აიღებდა „აქამომდის ქართლოსიანთა ენა სომხური იყო, რომელსა ზრახვიდეს (ლაპარაკობდეს), ხოლო ოდეს შემოკრბეს ესე ურიცხვნი ნათესავნი (ტომნი) ქართლსა შინა, მაშინ ქართველთაც დაუტოვეს ენა სომხური და ამათ ყოველთა ნათევსათაგანთ შეიქმნა ენა ქართული“-ო.

პირველი შეხედვით უცნაურად გვეჩვენება ასეთი მოსაზრება ქართული ენის წარმოშობის შესახებ, , მაგრამ თუ გავიხსენებთ იმ ფაქტს, რომ ლეონტი მროველის ზემოაღნიშნული, ერების წარმოშობათა შესახები ამბავი სომეხ ისტორიკოს მოსე ხორენელის გავლენით აქვს დაწერილი და ქართველთა შთამომავლობის ნუსხაში თარგამოსის სახელი ამ შრომიდანაა ამოღებული და სხვა წყაროებში არ მოიპოვება, ცხადი ხდება ქართული ენის წარმოშობის საკითხიც, ისე როგორც ქართული ანბანის შექმნის ამბავიც, რომელსაც სომხები მაშთოც = მესროპს სრულიად უსაბუთოდ მიაწერენ, რადგან დღეს უკვე აშკარაა, რომ „ქართულსა და სომხურ ანბანებს შორის ასოთა მოხაზულობის მხრივ ისეთი არსებითი განსხვავებაა, რომ არას გზით არ შეიძლება, რომ ეს ორი დამწერლობა ერთი-და-იმავე პირის შექმნილი იყოს, რომ კორჟნის ნაშრომში ჩართული ცნობისდა საწინააღმდეგოდ, ქართული ანბანი თავისი პალეოგრაფიული თვისებებით სომხურზე გაცილებით უფრო ადრინდელია და ძველი“.

ქართული ენის წარმოშობის შესახებ, საკვირველია, ბატონიშვილი ვახუშტიც ლეონტი მროველის აზრს იზიარებს, თითქო თავდაპირველად „იყო ენა სომხური საქართველოსა შინა“ და ხაზართა, სპარსთა, თურქთა და ებრაელთა ენების შერევისაგან წარმომდგარიყოს ქართული ენაო.

ეს ზღაპარი არ შეიძლება სინამდვილედ გამოცხადებულიყო თუგინდ ლეონტი მროველის დროს, მეთერთმეტე საუკუნის პირველ ნახევარში, — ეს ის ხანაა, როდესაც საქართველო თავისი ძლიერების აღმავლობის გზაზეა შემდგარი არა მარტო პოლიტიკურ სივრცეში, არამედ კულტურულ ასპარეზზეც, როცა ეროვნული შეგნება ეროვნული სიამაყითა და თავმოწონებით არის გაჟღენთილი და კულტურული იმპერიალიზმის საფუძველია დადებული.

და მართლაც: ქართული ენის წარმოშობის საკითხის შესახებ ორნაირი დებულება არსებობს, ორივე „ქართლის ცხოვრება“-ში მოცემული: ერთია უკვე მოხსენებული რუმიანცევის, მეორე — აკადემიკოს მარი ბროსსეს მიერ დაბეჭდილი „ქართლის ცხოვრება“.

მოვიტანოთ ორივე დებულება და ერთმანეთს შევადაროთ. მარი ბროსსეს მიერ გამოცემულ „ქართლის ცხოვრება“-ში ნათქვამია:

„აქამომდის ქართლოსიანთა ენა **სომხური** იყო, რომელსა ზრახვიდეს, ხოლო ოდეს შემოკრბეს ესე ურიცხვნი ნათესავნი ქართლსა შინა, მაშინ ქართველთაც დაუტევეს ენა სომხური და ამათ ყოველთა ნათესავთაგან შეიქმნა ენა ქართული“-ო. ანუ: ქართველთა ენა იყო სომხური, შემდეგ ქართლში გაჩნდენ სხვა ტომებიც (ნათესავნი ყოველნი) და მათ ენათა შერევიდან ქართული წარმოიშვაო.

რუმიანცევის „ქართლის ცხოვრება“-ში კი ნათქვამია: „ქართლოსიანთა ენა იყო **მხოლოდ ქართული** აქამომდე, რომელსა ზრახვიდეს, ხოლო ოდეს შემოკრბეს ესე ურიცხვი ნათესავნი ქართლსა შინა, მაშინ ქართველთაცა გარყვნეს ენა თვისი და ამით ყოველთა ნათესავთაგან შეიქმნა ენა მორთული“-ო, ანუ: ქართველთა ენა თავიდანვე ქართული იყო, ხოლო სხვადასხვა ტომების შემოსვლის შემდეგ მას სხვა ენებიც შეერიენ და ქართული გაირყვნა, მოირთო სხვა ენებისაგანაცო.

აქაც, ვფიქრობთ, განმეორებული უნდა იყოს ის ამბავი, რაც ქართლოსის წარმოშობის შესახებ ზემოდ აღვნიშნეთ. მაგრამ თუ ლეონტი მროველის დანაწერი მართლაც მას ეკუთვნის და ვინმეს მიერ განზრახ არ არის შერყვნილი, რუმიანცევის „ქართლის ცხოვრებამ“ მასზე შური იძია და სომხურის ხსენება სავსებით ამოაგდო. ესეც რომ არ იყოს, მეტად სათაკილოდ უნდა ყოფილიყო მაშინ ლეონტი მროველის მოძღვრება, ვინაიდან უფრო ადრეც, ქართველები სომხებზე მეტად ცუდი წარმოდგენის იყვნენ.

ჯერ კიდევ სტეფანე მტბევარი, მეცხრე საუკუნის გასულს, როდესაც გვიამბობს აბულ ყასიმისაგან სომხეთის აოხრების ამბავს, 914 წ., დასძენს, რომ „მიწა იგი სომხეთისა ამპარტავან და მკვიდრნი მისნი ცუდად მზუაობრ (ამაყი), ანგარ-ლაღ (ხარბი) და ცოდვის მოყვარე, ამპარტავან, უწყალო, უყუარელი (უყვარელი) და ყოვლითა უკეთურებითა სავსე“-აო. ანუ როგორც ექვთიმე მთაწმიდელი († 1028 წ.) ახასიათებს: „არს ნათესავი იგი სომეხთაჲ არა წრფელ, არამედ მზაკუარი და გულარძნილი და ბოროტი“. (მზაკუარი — პირით სიყვარულს იჩემებდეს და გულითა ბოროტი დაიმარხოს; გულარძნილი — მრუდი, ოლრო-ჩოლრო; იხ. საბა.).

ქართველებს რომ სომხებზე ასე ეფიქრათ, გასაკვირი არ არის, თუ სხვა საბუთებს დავანებებთ თავს და თვით სომხურ საბუთს აღვნიშნავთ, რომელიც ქართველთათვის უცნობი არ იქნებოდა.

მეცხრე-მეათე საუკუნეში მოღვაწე სომეხთა მთავარ ეპისკოპოსმა, ნერსე დიდმა დასწყევლა სომხის ერი ასე წინასწარმეტყველურად:

„დამდაბლდეს სამეფოჲ თქუენი მსგავსად სამეფოთა ისრაილისათა და ქვეყანაჲ თქუენი მიეცეს ხელთა უცხოთა მტერთასა, მიეცნეთ შიმშილსა, მახვილსა და ტყუებასა (ტყვეობასა) მწარესა და აღარა იყოს თავისუფლებაჲ თქუენი უღლისაგან მძიმისა და ნათესავთა (ტომთა) მიერ უცხოთა, მოგებული ოფლითა თქუენითა შეიჭამოს წინაშე თუალთა თქუენთა. იქმნენით თქუენ მსგავსად ფურცელთა მიმოდაბნეულ და დავიწყებული, ვითარცა წყალი დათხეულ; მიგელოს (წაგერთვას) თქუენ მეფობაჲ და მღდელობაჲ და უუფლონი მიმოხვიდოდეთ ადგილითი ადგილად, ვითარცა ცხვარნი უმწყესონი; განხვიდეთ სარწმუნოებისაგან და მამათმთავარნი თქუენნი არღარა გესვის-ყე ჟამთა გრძელთა; აღიფხურათ ძირისაგან თქუენისა და კედელნი თქუენნი ძლიერნი დარღვეულ იქმნნეს კელთაგან წარმართთასა“...

ეს საშინელი დაწყევლა სომხებისა მეცხრე-მეათე საუკუნეში წარმოთქმული სომეხ მთავარეპისკოპოსის მიერ და შემდეგ საუკუნეებში მწარედ შესრულებული, ქართველთათვის ცნობილი იქნებოდა და რაღა გასაკვირია, თუ ლეონტი მროველის მოძღვრება ანუ დამახინჯებული მისი სწავლა ქართული ენის შესახებ არავისათვის მისაღები არ იქნებოდა და ქართული ენის წარმოშობას მარტო ქართული წყაროთი განსაზღვრავდენ.. ამიტომ ამბობს „ქართლის ცხოვრება“ რუმიანცევის ვარიანტისა, რომ თავიდანვე იყო ქართული ენაო. ასევეა თვით ქართული რასის წარმოშობის შესახებაც.

მაგრამ ეს ქართული ენა იმ ჟამად უკვე პოლიტიკურ იარაღად იყო გადაქცეული და ქართული ენის განვრცობა და გავლენის სივრცით თვით ქართველთა პოლიტიკური და ეროვნული ბატონობის სივრცეც ხასიათდებოდა. ეს მოვლენა შესანიშნავად არის გამოხატული გიორგი მერჩულის, მეათე საუკუნის თხუზულებაში გრიგოლ ხანძთელის († 861 წ.) ცხოვრების შესახებ, სადაც არის ნათქვამი:

„... ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ აღესრულების, კჳრიელეჲსონი ბერძულად ითქუმის, რომელ არს ქართულად: უფალო წყალობა ყავ, გინათუ: უფალო შეგჳწყალენ“.

ამნაირად: ქართლად ანუ საქართველოდ იწოდებოდა მთელი ის მხარე, სადაც ქართული ენა იყო გაბატონებული და ცხადია, ეს მხარე მარტო ქართულ მიწაწყალს არ შეიცავდა, ყოველ შემთხვევაში იმ დროს, მეათე საუკუნეში, უკვე მოსჩანს ქართული პოლიტიკის მიმართულება კავკასიის ხელში დაჭერისათვის.

რასაკვირველია, როდესაც ქართველები ხედავდენ ძლიერსა და ბრწყინვალე მეზობელს, როგორიც იყო მაშინ ბიზანტია = საბერძნეთი, ბუნებრივად აღეძვრებო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათ მათ სურვილი, საქართველოც გამხდარიყო დიდი, ძლიერი და ბრწყინვალე. ეს განცდა დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ქართველთათვის და მართლაც, იმავე მეათე საუკუნეში, იოანე - ზოსიმე თავის „ქებაჲ ქართული ენისაჲ“-ში მოსთქვამს და გოდებს, რომ „დამარხულ არს ენა ქართული დღემდე“, და მიუხედავად იმისა, რომ იგი ბერძნულთან შედარებით დღეს „მდაბალი და დაწუნებულია“, და „ესე ენა მძინარი არის დღესამომდე“, ის მაინც „შემკული და კურთხეულია“; ის ისეთივე „მეგობარია“ და თანასწორია ბერძნულისა, ვითარცა ნინო და ელენე „არიან ორნი დანი“; „ყოველი საიდუმლო ამას ენასა (ქართულსა) შინა დამარხულ არს“-ო. მაგრამ იოანე - ზოსიმე აქ არ ჩერდება, ქართულ ენას ბერძნულზედაც მაღლა აყენებს და იმედით აღსავსე ამბობს, რომ **მეორედ მოსვლისას ქრისტე ქართულ ენაზე** განიკითხავს და გაასამართლებს ხალხსო.

ეს შესანიშნავი „ქებაჲ ქართული ენისაჲ“ მეტად საგულისხმოა და მნიშვნელოვანი იმ სულიერი განწყობილების გასაგებად და დასახასიათებლად, რომელიც უკვე მეათე საუკუნეში სუფევდა. აქ ჩვენს თვალწინ იშლება ქართველი ერის სახელმწიფოებრივ ზრდასთან, მის მიზნებთან და გაქანებასთან ერთად ქართული კულტურული ბატონობისაკენ მისწრაფებაც.

ქართული ენა იყო არა მარტო ამ ენაზე მოლაპარაკე ერის ენა, არა მხოლოდ ქართული ეკლესიის იარაღი, არამედ ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური იმპერიალიზმისა და ქართული ეკლესიის კულტურული იმპერიალიზმის იარაღიც. და ეს იარაღი სწვდებოდა მთელს კავკასიას და ზოგ ხანაში მას სცილდებოდა კიდეც.

ერთი ქართული სახარების წარწერა გვიჩვენებს, რომ მთელს მთიულეთში ქრისტიანობა იყო გავრცელებული და კავკასიის მთის ხალხებისათვის ქართული საეკლესიო წიგნები განსაკუთრებული დავალებით გადაიწერებოდა ხოლმე, ხოლო მეორე წარწერა კი მოგვითხრობს: — „ღმერთმან წარუმართნეს უძლეველსა მეფესა გიორგი ბრწყინვალესა, რომლისა მეოხებითა უმეტესად განძლიერდა ქრისტიანობაჲ მთეულთა შორის და კუალად განმტკიცდა ერთობაჲ საქართველოსა შინა. ამინ“. (1333 წ.). ძლიერების გავლენის საბუთებია დღესაც ის ბევრი ეკლესია - ტაძარი, რომელიც კავკასიის მთებში ქართველ მეფეთ და საეკლესიო მოღვაწეთ აღუშენებიათ და რომელთა ნაშთი ან მეჩეთად გადაკეთებული, ან დანგრეული, დღესაც დაცულია. ამიტომ სიმართლეს უნდა შეიცავდეს თეიმურაზ ბატონიშვილის დებულება, რომ „ქისტნი, ღლიღვნი და ძურძუკნი პირველ იყვნეს ენითა ქართულითა (?) მომზრახნი და ქრისტიანენი.... ლეკნი იყვნენ ქრისტიანენი და სცვიდნენ ენასა ქართულსა ვიდრე თემურ - ლენგამდე (გამოჩნდა 1387 წ.), რომელმანცა დაიპყრნა იგინი, მიაქცივნა მრავლისა ტანჯვითა, ლიქნითა და წყალობითა; დაუდგინა არაბნი მოლანი და განუწესა მათ, რათა ასწავებდენ ყრმათა მათთა წერილსა არაბულისა ენითა. მისცა მათ ბრძანება ფიცხნი — არღარა კითხვად და არცაღა სწავლად ქართულისა წიგნისა და რათა არცაღა ქართული ეზრახებოდეს მათ შორის. მხოლოდ დაშთა ენა ქართული ლეკთა შორის ანწუხელთა, რომელიც დღეინდელად დღემდე ზრახვენ ქართულსა ენასა“...

ამგვარად ქართული ენა ხდება ქართული ეროვნულ - სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ფუძედ და ქართული სიტყვა ქართულ ხმალთან ერთად თავის ბატონობის ასპარეზს აფართოებს კავკასიის ფარგლებში.

ამასთან ერთად ქართული ენა კავკასიის ფარგლებში შეიქმნა საერთაშორისო ენად ანუ როგორც აკადემიკოსი ნიკო მარრი ამბობს: — ქართული ენა კავკასიური კულტურული ცხოვრების სინტეზია; რომ მის შექმნაში ყველა კვკასიურმა ერმა თავისი განძი შეიტანა და რომ ქართულ ენას აქვს ისეთი თვისებები, რომელიც ამართლებს დღეს მის მისწრაფებას, რათა იგი საერთო კავკასიურ ენად გადაიქცესო. „ვინც მისცემს კავკასიას ამ საერთო ენას, იგი და მხოლოდ იგი იქნება მართლა მისი კულტურული თავისუფლების შემომქმედი“-ო.

***

## ერეკლე მეფე და უცხოეთის პრესა

**Constantinople, le 17 Avril 1753.**

**Suivent les derniers avis pu'on a resus d'Ispahan, le Prince Heraclius y a été reconu et proclame Roi«.**

**Gazette du 21 avril 1753.**

ადვილი წარმოსადგენია, თუ რა დიდს დაბრკოლებას განიცდიდენ მეთვრამეტე საუკუნის ჟურნალ-გაზეთები, რომელნიც განათლებულ კაცობრიობაში თითო-ოროლა სახელმწიფოებს მოეპოვებოდათ, რომ თვალ-ყური ედევნებინათ მათზე შორი მანძილით დაშორებულ ქვეყნებში მომხდარ ამბებისათვის. ხოლო, თუ კი ეს მაინც ხდებოდა, ამისათვის საჭირო იყო განსაკუთრებული შემთხვევები, რომელნიც ადგილობრივ მნიშვნელობას სცილდებოდენ და საერთაშორისო ხასიათისა ხდებოდენ. მაგრამ, და მიუხედავად იმისა, რომ მაშინდელი საქართველო მრავალ სამთავროებად იყო დაყოფილი და უცხოელისათვის — საქართველოს — მარტო ქართლი და კახეთი წარმოადგენდა, ჩვენი სახელოვანი მეფე ერეკლის ყოველმხრივი სიდიდეს მთელი ქვეყნიერების ყურადღება მაინც მიუპყრია და მისი დროის საქართველოში მომხდარი, სულ მცირე მნიშვნელობის მატარებელი ამბებიც კი ევროპა და აზიის ფართე საინტერესო საგნად გაუხდია; მის სიძლიერეს, ჭკუა და გონებას უცხოეთის პრესა მისი და მისი ერის სასახელოდ და სასარგებლოდ აუხმაურებია. გარდა ამისა, ევროპიელები იძულებული შეუქმნია მაზე შრომებიც კი დაეწერათ.

ჩვენი განზრახვაა „ქართლოსის“ მკითხველთ გავაცნოთ ბ-ნ დეპესონელის შრომებიდან ამოღებული ზოგიერთი საინტერესო ადგილები და მასთან ერთად რამოდენიმე ცნობა იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებიდან ამოკრეფილი. [მე გადმოვთარგმნე და გამოსაცემად გამზადებულია დე - პესონელის ორი წიგნი და გაზეთებიდან ამოკრეფილი საყურადღებო ცნობები]. ამჟამად კი ჩვენ საჭიროდ მივიჩნიეთ თვალი გადავავლოთ იმდროინდელ სპარსეთში მომხდარ ამბების ვითარებას, რადგანაც ის ხანა, რომელსაც ჩვენ შევეხებით, ძლიერ მჭიდროთაა დაკავშირებული უკანასკნელთან.

როგორც ვიცით, მცირე აზიის დიდი ფაქტორი, სპარსეთი, რომლის გავლენას საქართველოც განიცდიდა, მეთვრამეტე საუკუნეში და განსაკუთრებით თამაზ-ყულიხანის (შაჰ-ნადირი) 1747 წ., მკვლელობის შემდეგ შინაურმა ხშირმა ომებმა ისე დააუძლურა, რომ დაჰკარგა ის უპირატესობანი, რომელნიც მას ჰქონდა. ამ მკვლელობის შემდეგ სპარსეთის სამეფო ტახტს ხანგრძლივი მპყრობელი დიდ ხანს არ ღირსებია, არამედ უზურპატორი მეფეები რამოდენიმე თვესაც კი ვერ ახერხებდენ გამაგრებას. ბოლოს სპარსეთის სამეფო ტახტზე ვინმე შაჰ როკი ან შაჰ დუბი ავიდა და სწორედ მისი მეფობის დროს ამ იმპერიაში ანარქიამ თავის უაღრეს განვითარებას მიაღწია. ამ ახალგაზრდა მეფის პირველ მერცხლად ასახელებენ ხორასნელების აჯანყებას, რომელმაც მისი ყურადღება მთლიანად მიიპყრო და მეამბოხეთა დასამშვიდებლად მისმა ხორასანში წასვლამ შინა სპარსეთი უპატრონოდ დასტოვა. პროვინციის ხანებმა ამ შემთხვევით ისარგებლეს და თავიანთ პროვინციებში თავი მთავრებად გამოაცხადეს. ამას დაერთო კიდევ სხვა ახალი უბედურება: სამხრეთ სპარსეთში ბაქტიარები აჯანყდენ დ შაჰ როკის საწინააღმდეგოდ ვიღაც ახალი პრინცი — ისმაილად წოდებული — წამოაყენეს. შაჰი კი ხორასანში მეამბოხეთა დამშვიდებამ და იქ მძვინვარე შიმშილობამ ამ შეთქმულთა საწინააღმდეგო გალაშქრების შეძლების გარეშე დასტოვა. კავკასიაში მობინადრე და სპარსეთის გავლენის ქვეშ მყოფ სხვა და სხვა ტომებმაც თავი აიშვეს და არემარის აწიოკება დაუწყეს. ერთი სიტყვით, მთელს იმპერიაში უწესრიგობა დამკვიდრდა, რომელმაც ხელი შეუწყო აჯანყებულ ბაქტიარების ღენერალს, ალი - მერდან

ხანს, მისი პროტექციის ქვეშ მყოფი პრინცი ისმაილი მეფად გამოეცხადებინა. საბრალო შაჰ რუხი კი ხორასანში დაატყვევეს და გახურებული შანთით თვალები ამოუთხრეს.

ისმაილმა გამეფებისთანავე ხალხთა სიძულვილი დაიმსახურა; დაბრმავებული შაჰ-რუხის ავტორიტეტმა ისევ ისე აიწია და ხელმეორედ ისიც მეფედ იქმნა აღიარებული.

ერთად ერთი ქვეყანა, სადაც წესიერება სუფევდა, უცხო წყაროების მიხედვითაც, გახლდა საქართველო, რომელიც იძულებული იყო წესრიგი დაეცვა არა მარტო შიგნით, არამედ ბოლო მოეღო მეზობლად მყოფი უცხო ტომების მიერ მაშინ წარმოებულ ცარცვა-გლეჯისათვის. და თვით სპარსეთის შინაურ საქმეებშიც კი ჩარეულიყო.

აქედან დავიწყოთ მოსმენა ბ-ნ დე-პეისონელის იმ მოთხრობისა, რომელიც ეხება თეიმურაზ მეფის და ერეკლეს მიერ მაშინ წარმოებულ დიდ საქმიანობას:

„... ამ მიზნით (სპარსეთის შინაურ საქმეებში ჩარევის მიზნით. ა. მ.) თეიმურაზმა და ერეკლემ ერევანი და ნახიჩევანი დაიპყრეს; თავრიზისაკენ წინ წაიწიეს და ამ მხარეზე მოწანწალე ავღანელი ბოგანოებიც (*) მიიმხრეს და ადერბაიჯანში დააბინავეს, რომელთა სათავეში დანიშნეს ერთი, ნდობით აღჭურვილი ღენერალი, რათა ისინი თავიანთი გავლენის ქვეშ დაეჭირათ.

ბევრ ხანს არ გაუვლია და ამ ავაზაკებს მოსწყინდათ წესიერი ცხოვრება, გააძევეს ერეკლეს მიერ დანიშნული წინამძღოლი და ისევ არემარის აწიოკება დაიწყეს. ერეკლე ამ შემთხვევამ ძლიერ შეაწუხა. თვისი ლაშქრით დაიძრა და ამ მოხეტიალეთა დიდი ნაწილი ნაკუწ-ნაჭრებად აჩეხ-დაჩეხა; თავრიზიც დაიპყრო. ამ ბრძოლის დროს, ვკითხულობთ ტექსტში, ერეკლემ გამოიჩინა ისეთი მხედრული ღირებულება, რომელიც შეედრება ყველა იმ სიგმირეთ, რაც კი ახსოვს ანტიურ ეპოქას... შემდეგ მან შეუტია ლეკებს და განჯა ურუმიის ხანებს, რომლებმაც ავღანელებს დახმარება აღმოუჩინეს. ყველა მათზე მან სავსებით გაიმარჯვა და განაცხადა, რომ ის **ამ შემთხვევაში მოქმედობდა როგორც დევლეთ შერიქი** ანუ იმპერიის (სპარსეთის) მოკავშირე. ლაპარაკობენ, რომ მან თავის თავს ასეთი კვალიფიკაცია მისცა იმ ხელშეკრულების ძალით, რომელიც მან სამეფოს (ალბათ სპარსეთის) დასაყოფად დასდო შაჰ-რუხთანო. ბოლოს, ავღანელები ლეკებთან შეკავშირდენ და გაორმაგებული ძალით ნახიჩევანის არე-მარე ააწიოკეს; აგულისაკენ წინ წაიწიეს. ქართველებმა მათ მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ ვერ გაუმკლავდენ და თბილისისაკენ დაიხიეს. ეს ავღანელები ყოველდღიურად უფრო და უფრო აუტანელი ხდებოდენ; ურუმის ციხე დაიპყრეს და ბოლოს თავრიზიც ხელში ჩაიგდეს. თუ დღემდე არა-ქრისტიანი მცხოვრებნი და მათი ხანები საქართველოსა და მისი მეფის საზარალოდ ამ ქურდ-ბაცაცებთან ხელჩართულნი მოქმედებდენ, ახლა კი ავღანელების სიმხეცემ და საუკეთესო ადგილების მათ ხელში გადასვლამ, ამათ პრინც ერეკლეს მფარველობის აუცილებლობა მოსთხოვა და შემახის ხანები თეიმურაზ და ერეკლეს შეუკავშირდენ. თავრიზის მოქალაქეებმა, თავის მხრივ, მათ შორის უხუცესებისაგან ამორჩეული ოციოდე დესპანი საქართველოს მეფეს აახლეს, რომ მისთვის ემხილებინათ თავიანთი უმწეო მდგომარეობა და ამავე დროს დახმარებაც ეთხოვათ. თეიმურაზმა და ერეკლემ მათი თხოვნა შეიწყნარეს და შეადგინეს ლიგა, რომელშიდაც შედიოდენ ზემოხსენებული ყველა ხანები. ამ ლიგის მიზანს შეიცავდა ჯერ ავღანელების საბოლოოდ დამარცხება და შემდეგ კი სპარსეთის დედაქალაქ ისპაჰანში შესვლა და იქ ტახტზე აყვანა ისეთი მეფისა, რომელიც სეფიელების ნამდვილი ჩამომავალი იქნებოდა. ამ უკანასკნელ შემთხვევისათვის, ვკითხულობთ დე-პესონელ-ში, ქართველებმა სცენაზე გამოიყვანეს ერთი ახალი პრინცი, რომელიც მათ განკარგულებაში გამოგზავნეს მოსკოველებმა. ლიგის წევრთა ერთმანეთთან შესაყრელ ადგილად შერჩეულ იქმნა ქალაქი თავრიზი, სადაც შესწავლილი იქნებოდა ზემოხსენებული პრინცის და ბახტიარების მიერ მეფედ აღიარებული ისმაილის უფლებები; წინასწარ თადარიგის შემდეგ თავრიზიდან ისპაჰანში უნდა შესულიყვენ, რომ იქ არჩევანი მოეხდინათ. ხოლო თუ ეს საშუალება საკითხს სასურველად მაინც ვერ გადასჭრიდა, იმ შემთხვევაში თვით ეს სამხედრო ძალა გადასწყვეტდა, თუ რომელი ამ ორი პრინცის შორის უნდა ყოფილიყო იმპერიის სათავეში. რაც შეეხება დაბრმავებულ მეფეს, შაჰ - რუხს, ის თეიმურაზის მიერ ყურადღების გარეშე იქმნა დატოვებულიო. და შემდეგ: — ეს ლიგა თავის მიზანს უთუოდ მიაღწევდა, რომ თეიმურაზის და ერეკლეს გულწრფელი და უანგარო საქმიანობისათვის ხელი შეეწყოთ მასში შემავალ ხანებს, რადგანაც ავღანელების ჯარი თითქმის განიავებული იყო ერეკლეს მიერ 1751 წელს ოდუარის ბრძოლაში და სხვა და სხვა შეტაკებების დროს. მაგრამ დახმარების მაგიერ მათ საქართველოს მეფე დაალალატიანეს. მოხუცმა თეიმურაზმა ეს ღალატი თავის საიდუმლო კავშირებიდან შეიტყო, მაგრამ მის მიერ შემუშავებულ გეგმაზე ხელი მაინც არ აიღო, ხოლო იმის ნაცვლად, რომ ჯერ თავრიზისაკენ გალაშქრნა, როგორც ეს გადაწყვეტილი იყო, მან პირველად განჯის დაპყრობა მოისურვა და ახალგაზრდა ...ლი თორმეტ ათასი კაცისაგან შემდგარი ჯარითურთ ხსენებული ქალაქის მიმართულებით გაემართა. ხოლო, რადგანაც ერეკლეს ჯარი წინ წყნარის ნაბიჯით მიიწევდა, მას გაუსწრო იმავე მიმართულებით მიმავალმა ავღანელების მოკავშირე, ლეკების ღენერალმა თავის მრავალრიცხოვანი ლაშქრით, მოწვეული ალბათ განჯის ხანის მიერ, რომელიც თვითონ ლიგის წევრი იყო და რომელმაც ბოლოს საქართველოს მეფეს უღალატა და დაბანაკდა განჯის მახლობლად. დაგვიანებით მისული ერეკლეს ჯარი კი ქალაქიდან კარგა მანძილით მოშორებული იყო. პირველი შეტაკების წამოწყება ერგოთ, ქართულ ჯარში შემავალ უცხო ტომებს, რომელთა დამარცხებამ ჯარში საერთო პანიკა გამოიწვია და პრინცი საგრძნობლად დაზიანებული, იძულებული შეიქმნა, უკან დაეხია. ამ მარცხმა ქართველების სიძლიერე თვალსაჩინოდ შეამცირა და ერეკლეს ოთხი ათასი ჩერქეზის დაქირავება და ხელმეორედ მტერზე გალაშქრება დასჭირდა. აქ თეიმურაზმაც თავის შვილთან წასვლა ინება და გაემართენ ბორჩალოს მიმართულებით, სადაც ბანაკად იმყოფებოდა პირველი გამარჯვებით გათამამებული მტერი. მტერთან მიახლოვებისათანავე ერეკლემ შენიშნა, რომ ის უფრო მრავალრიცხოვანი იყო, ვინემ თავისი ჯარი, მაგრამ სასოწარკვეთილებას მაინც არ მიეცა, მიწას პირქვე დაემხვა, კარგა ხანს ილოცა და შემდეგ ჯარს გასამხნევებელი სიტყვით მოუბრუნდა; ხოლო, სანამ ის თავის სიტყვას დაასრულებდა, ამ ახალგაზრდა და გულადი პრინცის მათ შორის ყოფნით გათამამებულმა და აღგზნებულმა ლაშქარმა ერთის ხმით იგრიალა, რომ ისინი მზად არიან უკანასკნელ ჯარისკაცამდე თავი შესწირონ იმ გმირს, რომელსაც ისინი გამარჯვებისაკენ არა ერთხელ წაუყვანია. მან ჯარი იქვე სამ ტანად დაჰყო და ერთდაიმავე დროს მტერს დააჯახა. ამ უკანასკნელმა — თურმე განგებ — პირი იბრუნა და ქართული ლაშქარი ჩიხში ჩაითრია. მაგარი ბრძოლის შემდეგ ერეკლეს ჯარი უკან მოიკეცა და თითქმის პანიკაც დაიწყო, მაგრამ პრინცმა თავი არც აქ დაჰკარგა, ჯარი მყისვე შემოაბრუნა და განმეორებით მტერს დაანარცხა ისე მარჯვეთ, რომ მოწინააღმდეგემ ეს დაჯახება ვერ აიტანა, დაიხია დ ცოტა ხნის შემდეგ მთლიანად მიმოიფანტა. ამ დღეს, სწერს ჩვენი ავტორი, ქართველებმა, რა თქმა უნდა, მტრის თავზე საშინელება დაატრიალეს. პირადათ ერეკლემ კალმით აუწერელი სიგმირე გამოიჩინა და ლეკების ღენერლის შვილი თავისი ხელით სასიკვდილოდ დასჭრა. ამ ბრძოლის დროს მტერმა დაჰკარგა 8.000 მეომარი, 500 კარავი, 1.500 ჯორი მთელი მათი ავლა-დიდებით და არტილერიით.

ამ გამარჯვების შემდეგ ლეკების მოკავშირე ავღანე-

*) ესენი წარმოადგენდენ შაჰ-ნადირის პრეტორიანულ ჯარის ნაშთებს, რომლებმაც მისი სიკვდილის შემდეგ თავიანთ სამშობლოში დაბრუნება ველარ გაჰბედეს და უნიადაგონი ძარცვა-გლეჯას ეწეოდენ. ა. მ.

ლებმა ერეკლესთან შერიგება და მის მიერ წამოყენებული ყოველგვარი პირობების ძიღება და შესრულება არჩიეს. ერეკლემ მათი თხოვნა შეისმინა და მათ საბინადროდ მიუჩინა მხოლოდ და მხოლოდ დურუჯის მიდამოები...

ამა წლის ზაფხულში თბილისში დიდს სამხედრო სამზადისს ჰქონდა ადგილი და ერეკლე გორის ციხის გასამაგრებლად გაემგზავრა. ამ დროს მთიელები კახეთში შეიჭრენ და რამოდენიმე სოფელი გაძარცვეს, რომელ შემთხვევამაც **პრინცს მოუმწიფდა ის აზრი, რომ სანამ ამ ხალხს ძირიან - ბუდიანად არ ამოფხვრიდა, ვერავითარ ფართე გეგმის შესრულებას ის ვერ შესძლებდა.** ამ საკითხის ირგვლივ თბილისში ბჭობა გაიმართა, სადაც გადასწყდა, რომ პრინცი 12.000 ჯარისკაცით განჯის მიმართულებით გაილაშქრებდა, ხოლო თეიმურაზი კი 4.000 მხედრით თბილისში დარჩებოდა და ქვეყანას ყოველგვარი შემოსევისაგან დაიცავდა. საერთოდ, მდგომარეობას ქართველების სასარგებლოდ კარგი პირი უჩანს: ყაზახელება (ყაზახის მაზრის მცხოვრებნი) და ბორჩალოელები თავიანთ ვალდებულების ასრულებას შეუდგენ და მორჩილების საწინდრად თბილისში წარმოგზავნეს 24 წარჩინებული ოჯახი. რაც შეეხება ავლანელებს, ისინი არ დაკმაყოფილდენ ერეკლესთან ზავის ჩამოგდებით, არამედ მათმა ღენერალმა — აზადმა — თავრიზი და ყველა მისი გავლენის ქვეშ მყოფი ადგილები ერეკლეს სიძლიერეს დაუმორჩილა და თან ნებართვა სთხოვა: განჯაში გასალაშქრებლად მას ჰხლებოდა.

სპარსეთის შინაური მდგომარეობა უცვლელია: ისმაილი ძლივს მთავრობს ისპაჰანში; თითოული ხანი თავის პროვინციაში ბატონ-პატრონობს და ეს უზარმაზარი იმპერია კანტონების შეჯგუფებას ძლიერ მოგაგონებთ. მოსკოველების მიერ ქართველების განკარგულებაში გადმოგზავნილი სეფიელების ჩამომავალი პრინცი სულ კახეთშია ამოკეტილი და, ალბათ, ერეკლე სპარსეთში შესასვლელად მის ტახტზე აყვანას მოიმიზეზებს-ო.

ამ ამბების მომთხრობი ფრანგი აი როგორ უსურათებს ევროპიელებს ჩვენს სახელოვანს ერეკლე მეფეს:

— „ყველა ისინი, ვინც მას იცნობენ, იზიარებენ იმ შეხედულებას, რომ ეს პრინცი უპირველესი, ყველაზე უფრო მძლავრი და ყოველ მხრივ უფრო ჩამოყალიბებულია არა მარტო ამ ორ სამეფოში (საქ.), არამედ ყველა მათზე, რომელნიც დღემდე აღმოსავლეთში გაჩენილან. ის 27 წლისაა, და მის ფართე გონიერებას თან ახლავს მის წლოვანებაზე გაცილებით უფრო მაღლა მდგარი ღრმა გამოცდილება, სიფრთხილე, შეუდარებელი მხედრული ღირებულება, სარწმუნოებისადმი უმაგალითო სიერთგულე, სწორი და მიუდგომელი სამართლიანობა და განუსაზღვრელი ლიბერალობა. ყველა ეს მშვენიერი თვისებები მას ჰხდიან თავის ხალხთა და ჯართა სათაყვანებლად, მეზობელ და მოყვარე ერებთა პატივსაცემად. ის საკმარისად დიდი ტანისა არის, შვენივრად ჩამოქანდაკებული აგებულობისა, ხოლო უმნიშვნელო სილამაზისა; ის უბრალოა თავის ერთ-ფეროვან ჩაცმა-დახურვაში, მანერა - მოხვრაში, მაგრამ მთელს მის პიროვნებაში სუფევს სიდიდე, რომელიც აშკარად ღაღადებს, რომ ღირსეული პრინცია თავის სასახლეში, ხოლო დიდი სარდალი თავის ლაშქარში... არაფერია გადაჭარბებული იმაში, დასძენს იგი, რაც მე ვთქვი პრინც ერეკლეზე. რა არ არის მოსალოდნელი ისეთი პრინცისაგან, რომელიც თავს უყრის ეგოდენ სამაგალითო თვისებებს და რომელიც უკვე მპყრობელია, და უპირატესობაც აქვს განაგოს აღმოსავლეთში ორი უმედგრესი სახელმწიფო — საქართველო და სომხეთი; რომელთა ამ პრინცისადმი სიყვარულს და მასთან ერთად ქრისტენს რჯულის გენიას შეუძლია იგი წაიყვანოს გაცილებით უფრო დიდ საქმიანობისაკენ-ო.

აი როგორ ახასიათებს უცხოელი ჩვენს იმ მეფეს, რომელსაც დღეს — განსაკუთრებით ემიგრაციაში —ზოგიერთნი, გუშინდელ ამბავთა უცოდინარნიც კი, ძლიერ ხშირად უდიერად იხსენიებენ.

იმ დროს ევროპაში ძლიერ ყოფილა გავრცელებული ის აზრი, თითქო ერეკლე მეფე სპარსეთის ტახტის მემკვიდრე ყოფილიყოს, რასაც პესონილი უარყოფს და აწერს იმ გაუგებრობას, რომელიც შეეძლო გამოეწვეია ნადირ - შაჰის იმ გვირგვინს, რომელიც თეიმურაზს თავის სიძემ — ადილ - შაჰმა — შესანახად გადმოუგზავნა. მაგრამ ბოლოს, როგორც დავინახეთ, ის ხაზგასმით ლაპარაკობს: „ერეკლე სპარსეთში შესასვლელად კახეთში ამოკეტილი სეფიელების ჩამომავალი პრინცის ტახტზე აყვანას მოიმიზეზებსო„-ო.

ეს ადგილი ძლიერ საგულისხმოა იმ მხრივ, რომ ის ეკუთვნის ფრანგის ცნობილ დიპლომატს, იმ დროს ოსმალეთში კონსულად მყოფს. შესაძლებელია, ის ჩვენს მეფეს სპარსეთის სამხედრო ოკუპაციის სურვილს აწერდეს ან სამეფო ტახტის ხელში ჩაგდებას, და არა რომელიმე სხვა პრინცის იქ გამეფებისათვის ზრუნვას? შესაძლებელია და ჩვენ გვგონია, რომ ის განგაში, რომელიც უცხოეთის პრესას აუტეხია, ამით უნდა იყოს გამოწვეული და არა ნადირ - შაჰის სიკვდილის შემდეგ მისი მუდამ ლტოლვილებაში მყოფი გვირგვინით. ამ შესაძლებლობას ისიც ამაგრებს, რომ თვით მეფე ამ ალიაქოთს უყურადღებოდ სტოვებს და ბოლომდე სდუმს. ამ საგანზე მოვისმინოთ სხვა და სხვა ფრანგულ ჟურნალ-გაზეთებიდან ამოღებული ზოგი ცნობა:

კონსტანტინეპოლი, 15 თებერვალი 1752 წ.

„როგორც სჩანს, მისი უმაღლესობა (ხონთქარი) თავის გადაწყვეტილებას ადგია და არჩევს არ ჩაერიოს სპარსეთის საქმეებში. საიდანაც იტყობინებიან, რომ საქართველოს პრინცი ერეკლე პირდაპირ ისპაჰანისაკენ მიელაშქრება და, რომ შაჰ დუხს, რომელიც იქ თავისი ლაშქრით ამომწყვდეულია, გადაუწყვეტია ქალაქს ცეცხლი წაუკიდოს ამ პრინცის მოახლოებისათანავე“-ო.

პეტერბურგი, 17 მარტი, 1752 წ.

„სპარსეთის საზღვრებიდან მოსული სხვა და სხვა წერილები ირწმუნებიან, რომ შაჰ დუხმა პრინცი ერეკლესა და მისი ლაშქრის მოახლოების გამო გადასწყვიტა ქ. ისპაჰანის დატოვება. მას ხსენებულ ქალაქისათვის ცეცხლი არ გაუჩენია, როგორც ეს მას აზრად ჰქონდა, არამედ დაკმაყოფილდა მისი ხელმეორედ გაძარცვით. თუ დავუჯერებთ იმავე წყაროებს, ის ერივანში (?) გადავიდა“-ო.

კონსტანტინეპოლი, 23 დეკემბერი, 1752 წ.

„აქ დიდს სიფრთხილეს განიცდიან სპარსეთში არეულობის გამო და უცდიან, თუ როგორ გადასწყვეტს მომავალი შაჰ დუხისა და პრინცი ერეკლეს ბედს. ხმას ავრცელებენ, რომ თავი უნდა წამოჰყოს ტახტის კიდევ ახალმა მოქიშპემ„-ო.

კონსტანტინეპოლი, 1 დეკემბერი, 1752 წ.

„ყოველ მხრიდან იტყობინებიან, რომ პრინცმა ერეკლემ შაჰ-დუხზე მრავალი გამარჯვების შემდეგ ის უკანასკნელი შეტაკების დროს სავსებით დაამარცხა. აგრეთვე დასძენენ, რომ შაჰი დაჭრილ იქმნა და რომ ის თავისი ჯარის გადარჩენილი ნაშთებითურთ ინდოსტანის მიმართულებით წავიდა„ო.

ასტრახანი, 4 თებერვალი, 1753 წ.

„სპარსეთიდან მოსული უკანასკნელი ცნობა გვატყობინებს, რომ პრინც ერეკლეს, რომელიც დღემდე **მფარველის სახელწოდებით კმაყოფილდებოდა, გადაუწყვეტია მეფის ხარისხი აიღოს და განუზრახავს ისპაჰანშივე მეფედ ეგვირგვინოს,,-ო.**

კონსტანტინეპოლი, 1მარტი, 1753 წ.

„ისპაჰანიდან მოსული უკანასკნელი ცნობით, ის პრინცი ერეკლე უცვნიათ და მეფედ ეღიარებიათ. ქრისტიანენი, რომელნიც სპარსეთში ცხოვრობენ, დიდს იმედებს ამყარებენ, რომ ახალი მპყრობელის მმართველობას ბედნიერი შედეგი ექნება მათ სავაჭრო ინტერესებზე“-ო.

კონსტანტინეპოლი, 24 აგვისტო, 1753 წ.

„იმ ახალი ცნობების მიხედვით, რომელიც ჩვენ სპარსეთიდან მივიღეთ, ეს სამეფო მუდამ სამოქალაქო ომის საშინელების ხანაში იმყოფება: სამი ახალი პრეტენდენტი სამეფო გვირგვინს ედავებიან პრინც ერეკლეს“-ო.

ზემოდ აღნიშნული ცნობები რომ, სამწუხაროდ, მთლიანად სიმართლეს არ შეეფერებიან, ეს ცხადია, მაგრამ სამაგიეროდ ისინი, ჩვენის აზრით, საკმარისადააშკარავებენ მეფე ერეკლეში სპარსეთის ტახტზე ასვლის სურ-

ვილების შესაძლებლობას, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, თუ რარიგ ილუზიებს უქმნიდა ევროპა და აზიის საზოგადოებრივ აზროვნებას ერეკლეს პიროვნების და ღირებულების სიდიდე კავკასიაში და სპარსეთის იმპერიაში. ჩვენ გვგონია, გაუგებარი იქნებოდა, რომ მეფეს თავი ემტვრია და სამოქალაქო ომში ჩაფლულ და მით დაუძლურებულ სპარსეთში ესა თუ ის კანონიერი მემკვიდრე ტახტზე დაესვა, გაემაგრებინა და ამრიგად ხელი შეეწყო მცირე აზიაში სპარსეთის ჰეგემონიის ხელმეორედ აღდგენისათვის. სპარსულად შეკრებილი წვერულვაში და მაჰმადიანური ჩალმის მის მიერ სიკვდილამდე ტარებაც არა გვგონია, რომ სპარსელების და მათი ადათისადმი განუსაზღვრელი სიყვარულით ჩაედინოს ამ უაღრესად ქრისტიანს და ერში ეროვნული ტრადიციების დამცველ მეფეს... უაღრესად ქრისტიანე... ვთქვი მე, და, თუ მის დიდს ღირებულებას შესაფერი და ფართო სარბიელი არ მიეცა — ამისი უმთავრესი მაზეზი სწორედ მისი და მისი უბედური ერის „ქრისტეს რჯულისადმი ემაგალითო ერთგულებაში უნდა ვეძიოთ. მას რომ, როგორც ზოგიერთ ჩვენს მეფეებს, მაჰომედის რჯული მიეღო, ვინ იცის, შეიძლება მისი ჭკუა და გონება, დიდი მხედრული ნიჭი ქართლ-კახეთის ვიწრო ფარგლებში არ ჩახშულიყო, არამედ მას აზიაში ეთამაშა ისეთი როლი, როგორიც ნაპოლეონმა ევროპაში; ამ მოსაზრების გასამაგრებლად მრავალი საბუთი მოიპოვება, რომელ ერთ მათგანს აქვე მოვიყვანთ:

მოსკოვი, 8 დეკემბერი, 1753 წ.

„ყველაფერი ის, რაც გამოქვეყნდა შესახებ იმ ზომებისა, რომელნიც თითქო ერეკლემ მიიღო სპარსეთის სამეფო ტახტზე ასასვლელად, უარყოფილია იმ ცნობის მიერ, რომელიც აქ რუსულად და გერმანულად დაიბეჭდა. ხსენებული ცნობა ირწმუნება, რომ ეს პრინცი სპარსეთის ტახტისაკენ კი არ მიილტოდა, არამედ მისი მოქმედების ერთად ერთი მიზანი საქართველოს დაცვა იყო. ამავე ცნობის მიხედვით, 1749 წელს, იმის შემდეგ, რაც ამ პრინცის საწინააღმდეგოდ მრავალმა ხანებმა ერთმანეთთან კავშირი შეჰკრეს, ერეკლემ მათი ლაშქრის დიდი ნაწილი დაამარცხა, მოჰკლა ამ ლიგის ერთ-ერთი წინამძღოლის, ძენა-ხანის, შვილი, ხოლო დანარჩენნი კი აიძულა მას დამორჩილებოდნენ. 1750 წ. მან ნაკუწ-ნაკუწად აჩეხა თურქმენების იმ ხანის ლაშქარი, რომელიც განჯას გარს შემორტყმოდა. ერეკლემ და მისმა მამამ თეიმურაზმა იმავე წელს გაილაშქრეს ავარიელების ხანის წინააღმდეგ, რომლის ქვეყანაში მათ სიმაგრე ააგეს და ის აიძულეს მათთვის მძევლები გამოეგზავნათ ნიშნად იმისა, რომ მომავალში მაინც საქართველოს ადგილებს ის არ შეესეოდა. 1751 წელი ერეკლესათვის ნაკლები სასარგებლო გამოდგა. მას ზოგიერთ შეტაკებებზე რამოდენიმე მარცხი მოუვიდა... მაგრამ ბოლოს, მან ჰაჯი ჩელები-ს შვილზე (ლეკების ღენერალი იყო. ა. მ.) სავსებით გაიმარჯვა. რამოდენიმე ხნით ამაზე წინ ერეკლემ განჯის, კაბალინის და შემახის ხანებს წინადადება მისცა მათ მასთან შეთანხმებით ემოქმედნათ სპარსეთის დასამშვიდებლად, მაგრამ ესენი ასეთს წინადადებას ზიზღით შეხვდენ და უპასუხეს: რომ ის ურჯულო იყო; რომ ის ეძებდა მათ შეცდომაში შეყვანას და ბოლოს, რომ მის ნამდვილ მიზანს შეიცავდა სპარსეთის სამეფო ტახტის ხელში ჩაგდება. ასეთი შეურაცყოფილი პასუხის მიღებით გაბრაზებულმა პრინცმა მათ ომი გაუმართა. ზემოხსენებული ხანები — რომ მისი გამკლავება შესძლებოდათ — სამხედრო კავშირით შეეკვრენ ღენერალ ჰაჯი ჩელებს, ყუბანის და ყარაყაიტაღის ხანებს. მართლაც, დასაწყისში მათ საქართველოს პრინცი დაამარცხეს და თითქმის მისი ბანაკიც კი გაძარცვეს. ერეკლე არც ამ მარცხს შეუშინდა, ხელმეორედ ჯარი შეჰყარა, მათ დაეჯახა და მტრის ჯარის შვიდი ათასი მეომარი ბრძოლის ველზე დაეცა. ერეკლეს კიდევ დასჭირდა ერთი ომის წაროება ავღანელების ხანის — აზადის საწინააღმდეგოდ, რომელიც მან დაათავა თავის სასახელოდ და ქვეშევრდომთა საბედნიეროდ“-ო....

ეს ცნობა, რომელზედაც ქართული დიპლომატიის ნიშან-წყალი ემჩნევა, ზემო მოყვანილს ყველა ცნობაზე უკანასკნელია, ხოლო მის გამოქვეყნებამდე, ერეკლე მეფის სპარსეთის ტახტისაკენ სრბოლის ამბავს, ევროპაში მაინც, ხუთიოდე წლის ისტორია აქვს და მსგავს დემანტებს ვერსად ვპოულობთ, რაც, ჩემის აზრით, ხაზ-გასასმელია. მოსკოვში აქ რუსულად და გერმანულად დასტამბულს ცნობაში აშკარად სჩანს, რომ „არა ქრისტიანე მეზობელი ერები“ პატარა კახის „ქრისტიანიზმის“ წინააღმდეგ დარაზმულად და ხშირად საქართველოს გარეშე მისი სამხედრო მოქმედების აღსაკვეთად მედგარი ბრძოლებიც უწარმოებიათ. გარდა ამისა, ოსმალეთიც „ერეკლეს მოძრაობაში“, როგორც ამას ჩემს მიერ შედგენილ კრებულში დაინახავთ, ჯვაროსანთა მოძრაობას ჰხედავს და მის საწინააღმდეგო ზომების მიღებასაც არა მალავს. ასე რომ, მთელი მაჰმადიანური აზია ერეკლეს და მისი პატარა ქართლ-კახეთის საწინააღმდეგო ბლოკშია, და ეს მაშინ, როდესაც დასავლეთი საქართველო ოსმალთა გავლენას განიცდის და მას საჭირო დახმარებას ვერ უწევს. ასეთს პირობებში რა გასაკვირია, რომ მას საზოგადოებრივი ყურადღებისათვის დროებით მაინც სხვა მიმართულება მიეცა: „ჩემი ერთადერთი მიზანი იყო საქართველოს დაცვა“-ო, ეთქვა. ეს გასაგებია, მაგრამ აქ უნდა აღინიშნოს ის, რომ იმ დროს მას საქართველოს საზღვრებს არავინ ედავებოდა — როგორც ამას გვიმტკიცებს ვენიდან მოსული ერთი ცნობა, არამედ თითქმის ყველა ბრძოლებს ის საქართველოს გარედ აწარმოებს: იპყრობს განჯას, ერევანს, თავრიზს და სხვა და სხვა ადგილებს. გარდა ამისა, ამ დემანტის გამოქვეყნების რვა წლის შემდეგაც პრესა კიდევ ხმაურობს, კიდევ სპარსეთის სამეფო გვირგვინზე და ერეკლეზეა ლაპარაკი:

ვენა, 15 ივლისი, 1761 წ.

კონსტანტინეპოლიდან მიღებული წერილების მიხედვით, პრინცმა ერეკლემ, სპარსეთის სამეფო გვირგვინის ერთ-ერთ პრეტენდენტთაგანმა, ამ მოკლე ხნის განმავლობაში თავის მოქიშპეებზე მრავალჯერ საგრძნობლად დაწინაურებას მიაღწია. ამ დაწინაურებას თან დაჰყვა ორი ციხე - ქალაქისს — განჯისა და ერევანის — აღება. პირველი სიმაგრე იერიშებით იქნა დაპყრობილი, ხოლო უკანასკნელი კი თავის ნებით ჩაბარდა დამპყრობელს, რომელიც დაკმაყოფილდა ამ ადგილის მცხოვრებნი დაეჯარიმებინებინა 10.000 სეხინით. აზად-ხანი და მისი ოჯახობა ამ პრინცის წინაშე გამოცხადდენ და ჩაბარდენ, რომელმაც ისინი მაგარი მცველების ქვეშ გადმოგზავნა თბილისის სასახლეებში. ყარაბაღის პროვინციის მცხოვრებთა დიდი ნაწილი ერეკლეს მხარეზე გადმოვიდა და მას მორჩილება გამოუცხადა. როდესაც ამ ამბავს ვგზავნი, მის ჯარებს ალყა შემორტყმული აქვთ ქალაქ ბერდა და შუშაზე, რომელნიც ალბათ უკვე მისი ძლევამოსილების ფეხქვეშ იმყოფებიან“-ო.

ალბათ ქართული დიპლომატიის შთაგონებით მოსკოვში გამოქვეყნებული ცნობის მიხედვით ზემო ჩამოთვლილი ადგილების დაპყრობას „საქართველოს ინტერესები მოითხოვდენ“. ჩვენ შეგვიძლია დავსძინოთ, რომ მეფე ერეკლეს მიერ ისპაჰანის დაპყრობის სურვილს და იქ მისი მეფედ გამოცხადების განზრახვას — მაშინდელი მდგომარეობის ვითარებაში მაინც — საქართველოს ინტერესები სავსებით ამართლებდენ.

აკ. მეუნარგია

**მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო იყო სამეფო. მე-19 საუკუნის დასაწყისს რუსეთის უხეში ძალადობით შეწყვეტილ იქმნა ქართველი ერის ისტორიის ბუნებრივი სვლა. კვლავ უნდა აღსდგეს საქართველოს სამეფო, რომლის მკვიდრი ტრადიცია ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან საძირკველზეა აგებული.**

**საქართველოს ფაშისტური დარაზმულობის მიზანია: ვანთავისუფლებული საქართველო შეიქმნას ეროვნულ სახელმწიფოდ, რომელიც დამყარებული იქნება ფაშიზმის ანუ ეროვნული ერთობის საფუძველზე და განმსჭვალული ქართული ეროვნული სულის ბრწყინვალე ტრადიციებითა და ქართული ისტორიის იდეალებით.**

## ილია ჭავჭავაძე და ქართველი ქალი

ქართველი ქალის საკითხის განვითარება და სრული გამოყოფა საქართველოს რაობის და არსებობის საკითხისაგან ილიას არა სწამდა... იგი იყო ორგანიული, განუკვეთელი ნაწილი იმ მთლიანი არსისა, რომელსაც ილიამ ნახევარი საუკუნე თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობისა შეალია. მისთვის ქართველი ქალი იყო მთავარი საძირკველი იმ დიდი ტაძარისა, რომელიც უკუღმართ დროთა ვითარებას და უწყალო ხელს ასე დაერღვია და დაესნეულებია. მგოსნის ეს სათაყვანებელი ტაძარი — მისი ერი, მისი განაწამები სამშობლო ქვეყანა იყო.

მაგრამ ჩვენი ამ დაშლილი და დარღვეული ცხოვრების ნუროთმოძღვარმა ილიამ კარგად იცოდა, რომ ყველაზე ადრე ამ საძირკველს სჭიროდა გამრთელება და განმტკიცება, თორემ უამისოდ „კედლის ასაშენებლად“ ყოველი ცდა ამაო უნდა ყოფილიყო...

ჩვენი მაშინდელი სინამდვილის მოჭირნახულეს ილიას ამ საკითხისადმი მიდგომა წმინდა მამულიშვილური იყო; მან არ იცოდა უნიადაგოდ ცრემლების ღვრა და ძველ დიდებათა საფლავებზე უნუგეშო ტირილი; ის დასტაქარის დანით მოევლინა ჩვენს დასნეულებულს სხეულს; მტკიცე და ამავე დროს სიყვარულით გამთბარ ანალიზში განავლო ჩვენი ეროვნული რაობა, მაგრამ უშიშრად განკვეთა ის ადგილი, რომელიც დაავადებულიყო...

ყველაზე უფრო საშინელი დაავადება, რაიც სასწრაფო მკურნალობას ითხოვდა, იყო ის, რომ ქართლის დედის ძუძუ გამშრალიყო...

ეს შეიქმნა მისთვის ყველაზე სავალაო, ნახა რა, რომ „დედის ძუძუს შვილი აღარ სწოვდა“...

საფუძველი ჩვენის ეროვნული ყოფისა იყო ქართული ოჯახი, რომელსაც ასე მტკიცედ შეენახა ჩვენი ინდივიდუალური რაობა და რომლის მადლიანი კალთა მრავალ საუკუნეთა მანძილზე ზრუნვით გადაფარებოდა ჩვენს მიწა-წყალს, ეროვნულ სულს, ტრადიციებს და ყოველი მხრიდან მოზღვავებულ მტერს მის დარღვევას არ ანებებდა.

***

1801 წლიდან სულ სხვა, უჩვეულო სიომ დაჰბერა საქართველოში; ძველი, ნაცადი გზები ერთბაშად მოიშალა; ის შინაარსი, რასაც ქართული ოჯახი — ეს სოციალური და ეროვნულ-ფსიქოლოგიური ერთეული — ემსახურებოდა, ერთიანად გამოეცალა მას; და ოჯახს, — ძველ, მადლიან და მტკიცე რჯულის მატარებელ ოჯახს — წყალი შეუდგა....

ქართულმა ოჯახმა თითქო თავისი მთავარი აზრი დაჰკარგა; ის უსულო და უშინაარსო ფორმად, შემთხვევით კრებულად იქცა.. აღარ იყო ის მთავარი, რაც მას აერთებდა, ერთ დუღაბში ქცევდა და ერთის რწმენით აყალიბებდა... აღარ იყო სახელმწიფო ქართული, ეროვნული უზენაესობა; განგვირგვინდა ქართული უმაღლესი ღირებულება, რომლის ყველა საფეხური და მასაზრდოებელი ქართული ზნე-ჩვეულების და გონების მატარებელი ეროვნული ოჯახი იყო... ამ ოჯახის წინ გაჰქრა და ჩაესვენა ნათელი სვეტი, რომელიც მას ერთობილად ხდიდა, გზას უნათებდა და ბრძოლის ძალას აძლევდა.

ახლა ის ძველი, ტკბილი ქართული ნანა, ის მამაპაპური აკვანი და მასთან დაკავშირებული საშვილიშვილოდ გადმოცემული ოჯახის ანდერძი უკვე უაზრო, თითქო შეუფერებელი და „დრო-მოჭმული“-ც გამხდარიყო.

გაჩნდა ახალი ბატონი; გამოისახა მასთან მისასვლელი ახალი გზები; და ამ გზაზე სვლას თითქმის ამძიმებდა კიდეც ეს ძველი, ქართულის რაობით გაპოხიერებული ოჯახი... საჭირო შეიქმნა ამ ძველი ნაანდერძევი ამაგის და მარაგის ჩქარა თავიდან მოცილება და ახალის ათვისება.

ამ ახალმა ვითარებამ ყველაფერ ქართულს ფასეულობა და გასავალი დაუკარგა და ქართულ ოჯახთან ერთად ქართული ენაც რღვევას და გადაგვარებას განიცდიდა... ახლა თითქო იმ მთელს, იმ წმინდათა-წმინდას, რაც ამ ოჯახებს და მის ყველა წევრს აერთებდა და ყველაზე წინ მამულის, სამშობლოს და ერის სამსახურს უყენებდა, რაღაც ბინდი გადაეფარა და ეროვნული, მთლიანი ორგანიზმი ნელ-ნელა დაიშალა...

აი, ამ რღვევას ყველაზე მწვავედ განიცდიდა ჩვენი მოჭირნახულე ილია და გულისტკივილით გვეუბნებოდა და გვისაყვედურებდა: „დავაქციეთ ჩვენი დიდი, ერთიანი სამშობლო ოჯახი, რომლის ბოძად იყო ერთიანი მხარი მთელის ქართველობისა და მის ნაშთის ნამტვრევებისაგან პატარ-პატარა ხუხულები ავაშენეთ, რომელშიც ჩვენც დავეტევენით და ჩვენი ამომშრალის ტვინის და გონების აზრიც დავტიეთ, დავაქციეთ მამათა ჩვენთა სამარე, შვილთა ჩვენთა აკვანი, დიდი მამული დავშალეთ, პატარები გავიკეთეთ“... და სხვა. (იხ. ილია, ტ. 4).

***

რა მდგომარეობაში იყო ნახევრად დარღვეული და დაავადებული ოჯახის მთავარი საძირკველი, ქართველი დედა, როცა ილია თავის დიდ მუშაობას შეუდგა? რამ შესცვალა აგრე-რიგად ქართველი ქალი? რამ მიიყვანა ის იქამდე, რომ ქართულ ოჯახს ეროვნული სული ვერ შეუნახა; რომ თაობათა ღირებულებანი, რომელნიც სისხლისაგან დაცლილ ერს დაუღალავი ბრძოლებით მოეტანა, ასე ადვილად დასთმო და გააჩუქა? — აი, კითხვები, რომლებიც დიდ ილიას სიყრმის ჟამიდან მოსვენებას არ აძლევდა და რის გამორკვევას ის თავისი ფხიზელი გონების და პოეტური ინტუიციის გზით ერთდროულად მიუდგა. ამ საკითხების გამორკვევა უკვე ნახევრად გამრთელება იყო დაავადებულისა და ჩვენ ვიცით, რომ ილიამ თავის ბელეტრისტულ ნაწარმოებთა სერიაში ნამდვილი რეალისტი ოსტატის ხერხით გახსნა ეს საიდუმლოება და ჩვენი ცხოვრების ამ მტკივნეულ ადგილს თავისი ყურადღება ერთი წუთითაც არ მოაშორა...

ჩვენი ცხოვრების მაშინდელი სინამდვილე უკვე დრომოჭმულ ფეოდალიზმის ნიშნის ქვეშ მიმდინარეობდა და ეს იყო სწორედ პირველი მიზეზი ქართული რაობის და მისი საფუძვლის — ოჯახის — რღვევისა; ხოლო მეორე მიზეზი კი იყო ქართული ეროვნული სახელმწიფოს მოშლა და იმ ძირების მოჭრა, რომელიც ჩვენს დიდ-ტანოვან, ძველი მუხის ყოველ ტოტს და ფოთოლს — მის ოჯახს — ასაზრდოებდა...

ამ ორმა მძიმე დასნეულებამ დაასუსტა და მოშალა ქართული სული, დააკარგვინა მას ძველებური სიმხნე, გამძლეობა და ქველობა; და საქართველოს მოჭირნახულე, ერთგულ მამულიშვილთა დასი აწმყოში სანუგეშოს ვეღარაფერს ხედავდა.

მართალი იყო, საქართველო გათათრება - გამაჰმადიანებას გადარჩენოდა, მისი მიწა - წყალი თითქო აღარ იყო დაქუცმაცებული მეზობელ სახელმწიფოთა შორის; აღარც ძველი სამეფო - სამთავროები ახდენდენ ურთი - ერთზე თავდასხმას და მიხტომ - მოხტომას, მაგრამ ახლა მტრის ძლიერი ტალღა უკვე მთლიან საქართველოზე იყო მოწოლილი; საშინელი საფრთხე ამჟამად წინ უდგა არა რომელსამე წოდებას, პროვინციას, ეკლესიას, ამა - თუ - იმ ძველ კულტურულ - ეროვნულ კერას, არამედ მთლიანად ქართველობას, მთელი საქართველოს არსებობას, მის გრძელ ისტორიულ ყოფას....

და თუმცა ეთნოგრაფიული მცნება ქართველისა ჯერ არ წაშლილიყო და ის მისს ძველს გეოგრაფიულს არეზე კიდევ ცხოვრობდა, მაგრამ ეს მისი სიცოცხლე ქართული და ეროვნული აღარ იყო. ცოტაც კიდევ და ქართველს მარტო სახელი თუ შერჩებოდა ქართული.

თითქო ყველაფერი ღრმა ძილს მისცემოდა და ყველას უცნაური ბურუსი გარდაკვროდა. წარსული რაღაც ტკბილი, შორეული სიზმარი იყო; და აი, ილიას წინათაობაც ამ ოქროს სიზმრებს დასტრიალებდა; აქ ეძებდენ დროებით შვებას ბარათაშვილი, ორბელიანები, ერისთავები და სხვა მრავალნი ერთგულნი თაყვანისმცემელნი წარსულის დიდებისა... დასტიროდენ ისინი სახელოვან მეფე ერეკლეს საფლავს და გულისტკივილით

მოსთქვამდენ: „რომ დიდება ივერიისა მასთან მარხია სამარეს“... მათი უკანასკნელი ცდა იყო 1832 წლის შეთქმულება; უწყალოდ გაცემული და მწვავედ დამარცხებული შეთქმულება; გიორგობისთვის ცივმა და ცრიატმა დღეებმა დააზრო საქართველოს აღდგომის ახლად - აყრილი კვირტები...

ქართული აზრის და მისი სახელმწიფოს აღდგენის ცენტრი დაილუპა; მისი რაზმები ახლა რუსულ მილიციებს ზურგს უმაგრებდენ და ურჩ მთას უტევდენ, რომ იმედ დაკარგულს ისტორიული ჟინი მაინც მოეკლა და თათართა და ლეკთა სისხლით დამთვრალიყო*), რომელთაც საქართველოს ძალა გამოხრეს, ღირსება ახადეს და დაუძლურებულ რუსეთის კარზე მიიყვანეს.

ეროვნული რაობის გასაქანი ახლა ძველი ყაბახის გმირთა მოგონება თუ იყო, და თამარის სათნო სახის დანახვაზე ბეთანიის ეკლესიაში — უიმედო ცრემლთა ღვრა. არსადა სჩანდა ამ უკუნეთ ღამეში ჩირაღდანი, რომელიც ერის აღდგომა - გამრთელებისაკენ მიიპყრობდა სასოწარკვეთილ შვილთა გულისყურს.

მეორე მხრივ ასეთივე უკუნეთი სიბნელე ბატონობდა ჩვენს სოციალურ და წოდებრივ ურთიერთობაში. თითქო ამ მძიმე უღელ ქვეშ უნდა ნელ-ნელა ჩაქცეულიყო ჩვენი ყოფა-ცხოვრების ნიადაგი; თითქო ბატონყმობის მძიმე კირთებ ქვეშ ქართველი ერის დიდი უმრავლესობაც ფიზიკურ და კულტურულ გადაგვარების მსხვერპლი უნდა გამხდარიყო. ვის შეეძლო ამ პირობებში ქართული სახელმწიფოებრივი აღდგენის დროშა აღემართა? ვინ უნდა დამდგარიყო ამ დროშის დამცველ რაზმში? განა ყოველი ასეთი ცდა წინასწარ განწირული არ უნდა ყოფილიყო?

და 1832 წლის შემდეგ ქართველმა მოწინავე წრემ დიდი ხნით დააგდო ეს აზრი, გამოეთხოვა ძველ ოცნებას და რუსეთის ერთგულ მეომართა და მოხელეთა კადრები შეავსო.

ამ ორ დიდ ჭირს არა მარტო გაძლება და მოთმენა უნდოდა, არამედ მოხერხებული მოვლა; მას ფხიზელი თვალ-ყური სჭიროდა; მიმქრალ ძალათა გამოღვიძება, დარაზმვა და სულის სიმტკიცის ნელი გაწრთვნა. თუ ღვთის მშობლის წილ-ხვედრი ქვეყანა ჯერ განწირული არ იყო, მას ერეკლეს შემდგომაც უნდა ახალი სარდალი გამოსჩენოდა, სარდალი ამ დროის და ვითარების ალღოს ამღები, ახალის იარაღით და სტრატეგიის ცოდნით აღჭურვილი... საჭირო იყო არა მარტო ძველ დროთა რომანტიკოსობა და წარსულ ეპოქათა იდეალიზაცია, არამედ იმის შეგნების განმტკიცება, რომ საქართველოს ისტორია ჯერ არ დამთავრებულიყო და რომ ახალ მტერს ახალის გზებით უნდოდა მოვლა და შეტევა. ჩვენ ცხოვრებას ეჭირვებოდა ახალი ძლიერი ხელმძღვანელი და საქართველოს ასეთად ილია ჭავჭავაძე მოევლინა; კაცი უშიშარი, გაუტეხელი, დაუღალავი და საკუთარ, ქრთულ ძალებისადმი იმედებით აღტყინებული.

და ჩვენი ცხოვრების ახალმა ბელადმა ერთბაშად აუღო ალღო „ჩვენის დაცემულობის“ ვინაობის მთავარ მიზეზებს და მყისვე გაშალა ბრძოლა ორსავე მიმართულებით: სოციალურისა და ეროვნულის.

⁂

ილია ჭავჭავაძისათვის თავიდანვე გარდაშლილი იყო მისი გრძელი ბრძოლების და დაბრკოლებების სიძნელე, მაგრამ იმდენად ძლიერი იყო მასში რწმენა ქართულისადმი, „ამ დაცემულ რაობის აღდგენისადმი“, რომ ეს დაბრკოლებანი მას ძალას თუ უასკეცებდენ...

ჯერ კიდევ სიყრმის ჟამს ელოლიავებოდა მგოსანი ამ აზრებს, ამ სიყვარულს მამულისადმი, მისთვის დაუღალავ სამსახურს. და ის, რაც ამ ყრმა მგოსანმა 1857 წ. „ყვარლის მთებს“, სიმბოლიურად კი საქართველოს აღუთქვა, ეს სამსახური მას, მისი მადლიანი შუბლის უწყალოდ განგმირამდე არ დაუგდია.

„და აჩრდილნი“, ეუბნებოდა ყრმა მაშინ საქართველოს, „საოცნებელთ წარსულთა წამთა, ჩემს სიკვდილამდე მემარხება გულშია ღრმადა“...

*) იხ. გრ. ორბელიანის წერილები ნ. ბარათაშვილისადმი.

სიმბოლიურია ისიც, რომ თავისი უცხოეთში ყოფნისას (ერთი წლის შემდგომ) პოეტმა უმაღლესი შედევრი შემოქმედებისა უძღვნა სწორედ „ქართვლის დედას“...

აი, იქ — ცივსა და ნესტიან პეტერბურღში, სადაც საქართველოს მომავალზე ფიქრით „ღამე თენდებოდა ეგრეთ მისთვის და დღე ღამდებოდა“, მგოსანმა თავის მრწამსს, საქართველოს მერმისისათვის სამსახურს საფუძვლად დაუდო ქართული ოჯახის, ქართველის დედის პრობლემა...

თითქო პოეტი ახლა შორიდან უფრო ცივის და ფხიზელის ანალიზით მიუდგა სამშობლო ქვეყნის დაცემის მიზეზების გარჩევას; და მან ნათლად დაინახა, რომ სწორედ საძირკველია დაზიანებული, დაქანებული და ყველაზე უწინ მას სჭირია განახლება და განმტკიცება.

ქართველი ქალი უნდა ეზიაროს ახალ იდეას, ახალი საქართველოს რწმენა ჩაიდგას სულში; უნდა ქართული რძით ალივსოს მისი „გამშრალი ძუძუ“ და ქართული ნანით დაარხიოს ძველებური ქართული აკვანი.

რა ვუყოთ, რომ დღეის სინამდვილე ქართველისათვის ეგრე-რიგად გულსაკლავია, რომ უცხო ძალის ბატონობის გახანგრძლივებამ ქართველ დედასაც მის შვილთან ერთად სახე შეუცვალა...

„დიდმა ნაღველმა, კირთების ქვეშე დაჩაგრულ ბედმა, სრულად მოგიკლა სიცოცხლის ძალა, და შენი შვილიც **ჩრდილად** შესცვალა“-ო,

ეუბნება ავტორი დედას; და ამ სინამდვილის კონტრასტი წარსულთან რომ უფრო მწვავედ დაუხატოს, ეკითხება:

„მითხარ, — სადღაა მამა - პაპური
მხნეობა, ხმალი, მკლავი ქველური?
სახელისათვის ამაყი თრთოლა,
მამულის მტერთან მედგარი ბრძოლა?“...

მეორე ადგილას (იხ. მგოსნის უკვდავი პოემა: „აჩრდილ“-ში) იგი უფრო გულსაკლავად გვიხატავს თანადროულ საქართველოს შვილის გადაგვარებას, დაუძლურებას და რწმენის ყოველი ნიშანწყალის დაკარგვას.

ჩვენს ქვეყანას მრავალი დევნა და აოხრება გადაუტანია თავის გრძელ და ეკლიან ისტორიულ გზაზე, მაგრამ სულიერი სიმტკიცე და რწმენა აღდგომისა მას მუდამ ფენიქსად ხდიდა და ახალ ბრძოლათა და იმედთა ძალას აძლევდა... ახლა კი, სწორედ ეს გულის ფიცარი, ეს ჯავშანი ეროვნული არსებისა შენგრეული იყო და სული კი შელახული, ხოლო ამის განკურნება მძიმე და გრძელ პროცესს ითხოვდა.

და ძესა შენსა“ ამბობს მგოსანი „აჩრდილ“-ში,

„დღეს არც კი სწამს შენი აღდგენა,
„განწირულების შთასდგომია მას გულში წყლული,
მას დაკარგვია ტანჯვათ შორის შენდამი რწმენა
და **დაუგდიხარ, ვით ტაძარი გაუქმებული**“.

ილია, რა თქმა უნდა, პირველი არ იყო, რომელიც ქართული სულის ასეთ შელახვას ხედავდა, მაგრამ განსხვავება წინა თაობისა და მის შორის სწორედ იმაშია, რომ: თუ ორბელიანთა თაობა ამ წარსულს მისტიროდა და ახალს გმობდა, ილია — ფხიზელი გონებით ეძიებდა ახალ გზებს ამ შელახულის გასამრთელებლად. აქ საკმაო არ იყო რომანტიკა და ცრემლთა ღვრა, პატრიოტული გოდება. საჭირო იყო რაციონალური მიდგომა სინამდვილესთან, **„ჭკვით ფხიზელი განჭვრეტა“** ახალი ვინაობისა; და ამ აწინდელი ვითარების სწორი შეფასებით მთელი თაობის აღზრდა. აი, აქ სტუდენტ ილიაში უკვე მოსჩანს მომავალი მოჭირნახულე ქართული ყოველდღიური სინამდვილისა: ილია — ქართული პრესის ხერხემალი, ქართული ბანკის ხელმძღვანელი, ქართული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, დრამატიული საზოგადოების, საეთნოგრაფიო, საისტორიო და სხვა მრავალ პრაქტიკულ დარგთა სულის ჩამდგმელი; აი, აქიდან უნდა დაწყებულიყო ახალი საქმიანობა ქართულ ნიადაგზე; უნდა გაღვივებულიყო მიმქრალი ქართული კერა და ამ მრავალ ნაკადთა შენაერთიდან უნდა ნელ-ნელ ფეხზე დამდგარიყო გალახული ქართული სული: „ვიდრე მე შენი“, განაგრძობს ილია სიმბოლიურ „დედისადმი“ გაფრთხილებას,

„არ გაიკვლევს ზოგადს ცხოვრებას,
და მცნების ნათლად ზე - აღზიდულ, ამაღლებული,
**ჰკვით არ განსჭვრიტავს** საზოგადო ცხოვრების დენას,
— იმ დრომდე იგი უიმედო, შეწუხებული,
უქმისა დრტვინვით, გულის წვითა მწარე ცრემლს
დაღვრის,
მაგრამ არ ირწმენს, წამებულო, შენს აღდგომასა,
და იგი **ცრემლი ურწმუნობის, ეჭვის და ტანჯვის,**
ღაღადებს მხოლოდ ძისა შენის **უძლურებასა**“...

აქ აშკარად დაგმობილია ის „ურწმუნოების, ეჭვის და ტანჯვის“ ცრემლი, რომელიც ერთიანად დაუფლებოდა ქართველთა მოწინავე თაობას, და რომლის გამო მას ყოველგვარი მოქმედების უნარი დაჰკარგოდა. ილია მთელის თავისი ბუნებით ხომ „აღტყინებულ, დაუძინებელ და მუდამ მშფოთარე თერგის“ მოტრფიალე იყო, მას არ იზიდავდა თუნდა თვალუწვდენელი, თეთრად ამართული, ცივი მყინვარი.... მის მშფოთარე, მოძრავ და ცოცხალ ბუნებაში დიახ რომ დაუღალავი თერგის ენერგია ნაკადობდა.

და აი, „თერგ დალეული“ აქედან, შორეული რუსეთიდან განსაზღვრულ სამოქმედო გეგმას აძლევს ქართველობას და ყველაზე უწინ ქართველ დედას, რომელმაც მოღლილ, ნახევრად მკვდარ თაობას შემცვლელი ძალები უნდა შეუქმნას და აღუზარდოს.

მგოსანმა სწორედ ქართველ დედას მოსთხოვა წარსულ დროზე უნიადაგო ოხვრისა და ცრემლთა დენის დაგმობა; ქართველ დედას ახლა მთელი გულისყური და ენერგია მომავლისაკენ უნდა მიემართა: „მას ნუღარ ვსტიროთ, რაც დამარხულა“-ო, ეტყოდა მგოსანი ქართველ ქალს,

„რაც უწყალოს დროს ხელით დანთქმულა:
მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი **ვშვათ მყობადი,**
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს“...

აი, ამ ახალ, საკუთარ ძალებზე დაყრდნობილ, რწმენით და შრომით შექმნილ მყობადში ხედავს ავტორი ქართველი „დედის დანიშნულებას“ და „მაღალ, საღმრთო ვალს“.

დარღვეული ოჯახის ახალი ქვაკუთხედი მარტო აქედან შეიძლება აშენდეს და დედამ ისე უნდა აღზარდოს ქართველი ახალი თაობა, რომ მას „სიკეთისათვის გული უთრთოდეს და მომავლისათვის ბედთანა ბრძოდეს“....

აი, ამ ბედთან მებრძოლმა, ამაყმა და უტეხმა ახალგაზრდობამ საქმე თავიდან უნდა დაიწყოს და შესცვალოს უნებო, ეჭვით და შიშით მოცული, ხერხემალ - გადატეხილი თაობა „მამათა“.

მაგრამ ეს აღზრდა ისეთი უნდა იყოს, რომ მისი ყველა ფესვი ძველს, თავისუფალ საქართველოს სხეულთან იქმნას გადასკვნილი... ძველი ქველობა, მამულისათვის თავდადება უნდა დაედოს საფუძვლად ამ ახლად ჩასახულ კერას; მისი აკვანი ძველი ტრადიციების, ქართული მიწის ნიადაგზე უნდა ირწეოდეს... ეს ძველი, მაგრამ მაღალი ზნეობის და ფასეულობის ხანა უნდა გაცოცხლდეს და ნელ-ნელა გაიშალოს, დაუპირდაპირდეს თანადროულ არარაობას და მოდუნებას და ამ წინააღმდეგობის დანახვა აღზრდის ბრძოლის უტეხ ძალას... და ილიას ქართველი დედა აკვანშივე აძლევს ამ უმაღლეს ანდერძს თავის ყრმას:

„ნახავ ჩვენს ბედშაობას,
ძველს ერთობას დაკარგულს,
ჩვენსა წამხდარ გმირობას
და მამულს დაობლებულს....
აინთე ცეცხლით გული, მტერსა დაეცი მეხად,
ან, ვით შვილი ერთგული, დააკვდი მამულს
მსხვერპლად“

ქართველი დედა ამ ანდერძთან ერთად ხომ თავის ძველს, ტრადიციულ ღირსებას იხსენებს და პირადი მაგალითით უფრო მეტად აკაჟებს შვილის ნორჩ არსებას:

„დედათა გული ჩვილი, მამულისთვის მაგრდება, —
ეუბნება იგი მას,
„რად მინდა იგი შვილი, თუ მისთვის არ მოკვდება!
ვისაც ძე არ შეუკლავს, როს მამულს სჭირვებია,
შვილო, იმ ვაგლახ დედას, შვილი არ ჰყვარებია“...

***

ილიას, როგორც დიდ რეალისტს და ნამდვილ ფსიქოლოგს ძალიან კარგად ესმოდა დედის გულის ძგერა; მან ზედმიწევნით იცოდა ქართველი დედის ამაგისა და სიყვარულის, განუსაზღვრელი თავგანწირვის გრძნობა შვილისადმი; და ამის კლასიკური ასახვა მან „ოთარაანთ ქვრივ“-ში მოგვცა; მაგრამ ეს გრძნობა შვილისათვის უანგარო თავდადებისა, მან მამულის სიყვარულის გრძნობის უკან დააყენა... პირველი ვალი შვილისაგან მაინც მამულს უნდა ხვდენოდა და დედის საკუთარი სიყვარული აქ უნდა მსხვერპლად მიტანილიყო. სწორედ ამან შეინახა დღემდე ეს ერთი მუჭა ერი საუკუნეთა დაუღალავი ბრძოლების მიუხედავად. და ეს ძველი ძალა და ტრადიცია ქართველი ქალისა, მისი წმინდა დედობრივი მოვალეობა უნდა სავსებით გაცოცხლებულიყო, თუ საქართველოს ხსნა ეწერა. და ილიას „დედაც“ სწორედ ამ მცნებას ჩასძახებდა შვილს:

„ჩემის მამულისათვის მე ჩემს ძუძუს გაწოვებ,
**მისის სიკეთისათვის გაგწირავ და გაბრძოლებ;**
მას დედის ძუძუ ტკბილი შხამადაც შერგებია,
მამულისთვის სიკვდილი ვისაც დაზარებია“....

არა, ქართველმა დედამ თავისი მშობლის სამსახურისათვის, პირად ნუგეშისათვის არ უნდა აღზარდოს, არც იმისათვის, რომ ამ შვილმა ცხოვრების გზა გაიკაფოს და თავისი ადგილი დაიმკვიდროს... ქართველი ყველაზე ადრე თავის სამშობლოს უნდა ეკუთვნოდეს და მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის უნდა აღზარდოს ის მშობელმა... და თავის ბედს „აცდენილი““ მამული, რომელმაც თავისი სახე და ადგილი ისტორიის გზაზე დაჰკარგა, მამული, რომელიც საწყლად და უპატრონოდ სხვის კალთას მიბარებია და მეობას ჰკარგავს, მალე უნდა თავის გზას დაუბრუნდეს და ძველი საპატიო ადგილი მოიპოვოს. ამიტომ დედამ, ილიას ანდერძით, ეს შვილი მამულს უნდა —დაუბრუნოს“:

„მამულს მიგცა ზეცამა და თუ ზედ დააკვდები,
ნუგეშ იცეს დედამა, რომ კაცი კაცად კვდები“....

ეს ანდერძი, ნანად დანამღერები, შვილისათვის მარტო მორალური კანონი და ეთიური ღირებულება კი არ უნდა იყოს, არამედ ყველაფერი ეს მან სინამდვილეში მართლაც უნდა აღასრულოს. მარტო მაშინ იქნება დედის გული დამშვიდებული და სამშობლოსადმი წმინდა ვალი მოხდილი... და ილიას „დედა“ თავის ანდერძს ასე ათავებს: „რაც მე სიტყვით გითხარი — შენ **საქმით აღასრულე**“-ო. და თუ ქართველი დედის ეს ატავისტური თვისება (სამშობლოსათვის შეურყევლად და უყოყმანოდ ყველაზე უფრო უძვირფასესის მსხვერპლად მიტანისა) ასე გაიღვიძებს, მაშინ მართლაც შეუძლია საქართველოს, რომ დამშვიდებით იყოს...

და როცა ქართველი ქალი თავის ამ წმინდა ვალს მოიხდის, მაშინ მგოსანი იმედით გაუღიმებს ტანჯულ სამშობლოს ამ თავდადებულთა თაობის დანახვაზე და ეტყვის: „თუმცა ძველნი დაგშორდენ, ახალნი ხომ შენია,
მათ ახალთ აღგიდგინონ შენ დიდების დღენია...
წვრილშვილნი წამოგესწრნენ, **ნაზარდი, გულმტკიცენი,**
მათი ზრუნვის საგანი შენ ხარ და შენ იქნები...
მათი გულთა ფიცარი შენი მტკიცე ზღუდეა...
მათ თვის მკერდით შეჰმუსრონ მტერთა სიმაგრენია“.

და თუ ქართველმა დედამ თავისი ვალი წმინდათ შეასრულა, თუ მან საქართველოს მომავალს ასეთი რაზმი აღუზარდა და მტკიცე ზღუდე შემოავლო, მაშ სათუო აღარ ყოფილა ერის ბრწყინვალე მომავალი; და მგოსანი იმედით აღტყინებული შეეკითხება სამშობლოს: მაშ, „ჩემო კარგო ქვეყანა, რაზედ მოგიწყენია“?...

დიახ, დიდი ილიას „ქართველმა დედამ“, მძლავრ ფრთებ ქვეშ ნაზარდი, ამაყი არწივები გადმოაფრინა ძველი ბუდიდან! საქართველოს მომავალი სათუოდან უკვე გამოსულია....

**თამარ პაპავასი**

1937 წ.

# „ნატვრის თვალი“

მოთხრობა (მოგონების მაგიერ)

(გაგრძელება) თავი V

საქართველოში დაბრუნების შემდეგ შალიკომ ქართველ საზოგადოებას დიდი რამ ცვლილება დაატყო: დიდი თუ პატარა, ქალი თუ ვაჟი, აღარ ფარავდა თავის გრძნობებსა და გაკილვას იმ პოლიტიკის შესახებ, რომელსაც რუსის მთავრობა ატარებდა საქართველოში. ადამიანს ეგონებოდა, მთელი საქართველო ერთ ძლიერ და მთლიან ოპოზიციურ ორგანიზმად არის ქცეული. თუმცა, ჯერჯერობით, კიდევ არ მოსჩანდა ძალების მწყობრად ჩამოყალიბება, მაგრამ შალიკოს თვალწინ რაღაც უფრო დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იშლებოდა, ვიდრე წარმოშობა რაიმე პოლიტიკური დაჯგუფებისა. აქ მთელი ერის სულისკვეთების დემონსტრაცია იყო, მისი აშკარა ოპოზიციაში გადასვლის სამზადისი. მყარდებოდა მდგომარეობა, რომელიც წინამორბედია წესიერად ჩამოყალიბებულის ძალების დარაზმულობისა. ყოველი ქართველი იმ პოლიტიკური ხერხების და ვერაგული ზომების გაკრიტიკებაში იყო, რუსის მთავრობა რომ ატარებდა ჩვენში, რათა შეევიწროვებინა, დაეჩაგრა და ჩაეკლა, როგორც ქართული ეროვნული გრძნობა, ისე ქართველური ღირსებაც. ამ საგნებზე ისეთებმაც დაიწყეს აღშფოთებით ლაპარაკი, რომელთა გულში თითქო სამუდამოდ ჩამქრალიყო ქართული კითხვებისა და კულტურისადმი ინტერესები. ქართველების გარეგნულად დამუნჯებამ ისე გაათამამა რუსის მთავრობა, რომ მისი აგენტები და ამყოლნი აღარაფერს ერიდებოდენ: არ ინდობდენ არც ქართულ ენას, არც ეკლესიას, არც ჩვენს წარსულს; ჩვენს მომავალზე ხომ ერთი უშველებელი შავი ჯვარი იყო მათგან დასმული. რუსეთის ძალაუფლების განკარგულებით ოფიციალურ და არა-ოფიციალურ მიწერ-მოწერაში, ქართველი ერის მთლიანობაც კი იყო ამოშლილი. მათთვის საქართველოს ერი აღარ არსებობდა, იყვნენ: კარტალინცები, იმერეტინე, კახეტინცი, მინგრელცი, გურიიცი და სხვა. . .

შალვა კაი ხანია გაეცნო ახალ ქართულ მწერლობას, რაც მესამოცე წლებიდან მოყოლებული დაგროვდა ჩვენში. მას კარგად ესმოდა, რომ ის, რასაც იგი ამჟამად ქართულს საზოგადოებაში ხედავდა, არ იყო შედეგი ერთი ან ორი დღის საქმიანობისა. თერგდალეულების თაობა დიდი მოღვაწის ილიას თაოსნობით, და მათი მომდევნონიც დაჟინებით აყენებდენ ახალ აზრებს, უნერგავდენ საზოგადოებას ახალ მისწრაფებებს, თანდათანობით უღვიძებდენ და უყენებდენ ახალ პოლიტიკურ მიზნებს. ყველა ამ თაობათა საქმიანობა იყო უალრესად არა-ლოიალური რუსეთისადმი, თუმცა, გარეგნულად და იძულებით, ლეგალურ ფორმებში ტარებული. რუსეთის ხელისუფლება ამით, რასაკვირველია, არა სტყუვდებოდა, მას კარგად ესმოდა საით მიდიოდა ქართული „დასების“ მისწრაფებანი. ამის გამოისობით ხდებოდა, რომ რუსებმა უფრო და უფრო მოუხშირეს ქართველი ერის საარსებო ინტერესების საწინაამდეგო სასტიკი ზომების შემოღებას: სკოლების ფართო ქსელის ფაქტიურად აკრძალვა, ეროვნულ - კულტურულ დაწესებულებათა შევიწროება, მოსახლეობის ეკონომიურად დაჩაგვრა და სხვა მრავალი შემთხვევითი ხერხები. აი რით უმასპინძლდებოდა რუსეთი ქართველ ერს. ყველა თაობანი აწარმოებდენ, დაე ჩუმს, მაგრამ გამუდმებულს ბრძოლას იმ მცირე პოზიციის შენარჩუნებისათვის, რომელიც ასე თუ ისე ხელთ ეგდო ქართველობას. ამნაირად, თუ მოხერხებით თვითეული პოზიციის დაცვა იწვევდა საზოგადოებაში დიდ ნაციონალურ აღფრთოვანებას, ისე როგორც სხვა პოზიციების დათმობა ჰბადავდა ქართველობაში გაალმასებულ ზიზღს რუსეთისადმი და ნატვრას, ერთი მალე მოსულიყო ის დრო, როდესაც ალოზის თიხით შეთუთხნული რუსეთის სახელმწიფო დაიშლებოდა და დაიფუშებოდა. ამ დღისათვის ქართველი ერი ერთი და მთლიანი უნდა დარჩეს, ერთ ოჯახად, ერთ მძლავრ მუშტად თავმოყრილი, რომ თავისი საწადელი უკეთესად შეისრულოს... ასე აზროვნებდა შალიკო ქართულ კითხვებს რომ ჩაუფიქრდებოდა; ასევე აზროვნობდენ ათასნი სხვა ქართველებიც, თვით რუსის სამსახურში დაბერებული და დაწინაურებული ხალხიც-კი, ვინც საყოველთაოდ რუსების ბრძანებების ყურ-მოჭრილ მონებად იყვნენ ცნობილნი, ხშირად ისინიც აღარ ერიდებოდენ თავის გულისწყრომის გამოთქმას და ამა თუ იმ დიდ რუსის მოხელის გაკილვას.

იმ ხანებში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ქართველების მოძულე, სამოსწავლო უწყების უმაღლეს მოხელე, ივანოვსკის ერთმა უმსგავსო საქციელმა. ეს მოხელე საქართველოს დაბა-სოფლებში დაბნეულ რუსულ სკოლებს ათვალიერებდა. დაბა ცხინვალში მას მშობლების დეპუტაცია წარუდგა და მოწიწებით სთხოვა ქართველი შეგირდებისათვის ნება დაერთოთ სამღვთო-სჯული ქართულად ესწავლებინათ და შემოეღოთ ქართული წერა-კითხვის სწავლებაც. ამ სულ უბრალო შუამდგომლობამ განარისხა ივანოვსკი და თანაც, თითქო, მხიარულ გუნებაზე დააყენა. იგი შეეკითხა სკოლის გამგეს: ურიების დეპუტაცია სად არისო, აქ მარტო ქართველები არ მოსახლეობენ, აბა, ურიებიც მოვიდენ და იმათაც მოითხოვონო. ამ მოულოდნელ სიტყვებზე ქართველებმა უპასუხეს: — ებრაელებს არავითარი დეპუტაცია არ გამოუგზავნიათო. სამღვთო-სჯულს ისინი თავიანთ სამლოცველოში ასწავლიანო, ქართველებს კი ეს აკრძალული გვაქვსო. — ამაზე იანოვსკიმ დასძახა: — თუ ებრაელები არ მოსულან, მაშ მე გავხდები მათი დეპუტაცია და ურიებისათვისაც მოვითხოვ მაგნაირსავე უფლებებსო.. —

— აგრე იყოს, ბატონო, როგორც გნებებოდესთო, მაგრამ ჩვენ როგორც ქართველი მშობლების წარმომადგენლები გთხოვთ ქართველი მოწაფეებისათვის შემოიღოთ ის, რისიც მთხოვნელი ვართო. —რუსის დიდმა მოხელემ პასუხიც კი არ იკადრა, უბრუნა დეპუტაციას ბრიყვულად ზურგი, გამოვიდა სკოლის შენობიდან, ჩაჯდა ფაეტონში და გასწია გორისაკენ. ქართველ ინტელიგენციაზე ამ ამბავს არ მოუხდენია. რასაკვირველია, ის შთაბეჭდილება, როგორც სხვა ქართულ წრეებზე. ქართული შეგნებული საზოგადოება დიდი ხანია ხედავდა რუსის მთავრობის ვერაგობას და მისთვის სრულებით საჭირო არ იყო ახალი ფაქტების დაგროვება. ცხინვალის ინციდენტმა სამაგიეროდ, სხვა ქართულს ფენებში გამოიწვია ერთი უშველებელი აღშფოთება. როგორც ამ აღშფოთების ილუსტრაცია, აი ერთი მცირე მაგალითი.

თბილისში იმ ხანად ახლად დასახლდა ერთი ქართველი სამხედრო პირი, ჩინით პოლკოვნიკი. მთელი თავისი სამსახური მას საქართველოს გარეშე გაეტარებინა; სხვათა შორის ვაჟკაცობისათვის დაჯილდოვებული იყო გიორგის ჯვრით და ოქროს ხმლითა. მოხუცებულობის დროს მოისურვა მან საქართველოში დასახლება. აი იმ ადამიანმა მოჰკრა ყური იანოვსკის უმსგავსო საქციელსა და იგიც ჩააფიქრა რუსის პოლიტიკის უღიერობამ... აღელდა საშინლად მოხუცი პოლკოვნიკი; და ვერ მოისვენა, მანამ ერთს დიდ საზოგადოებაში არ შეხვდა თვით იანოვსკის და აი რა უთხრა მას საჯაროდ: — თქვენო აღმატებულებავ, იქნება დასამრახისიც იყოს, რის თქმაცა მსურს, მაგრამ მაინც ვიტყვი. ჩემდა სამარცხვინოდ, ქართველი კაცი დავბერდი და ქართული წერაკითხვა არ ვიცოდი, არც თუ საქართველოს ისტორიისა გამეგებოდა რაიმე. ისე გავატარე ჩემი სიცოცხლე, რომ არ მიგრძვნია საჭიროება რუსული ენის და ისტორიის გარეშე ქართულსაც გავცნობოდი. დიდი ხანი არ არის, რაც საქართველოში დავბრუნდი, აქ გავეცანი მთავრობის ზოგიერთ ზომებს, რომელნიც ქართველების დასამცირებლად არიან შემოღებული. გავეცანი თქვენს მოგზაურობის ამ ამბავსაც ცხინვალში და უნდა გამოგიტყდეთ, რომ როგორც ქართველმა დიდათ შეურაცყოფილად ვიგრძენი ჩემი თავი, და აი რა ჩავიდინე თქვენს მიერ შემოღებული ზომების საპროტესტოდ: დავიბარე ერთი ქართველი სტუდენტი და

ამ სიზერის დროს ვიწყებ მისგან ქართული ენისა და ისტორიის გაკვეთილების აღებას.. თქვენი მადლობელი უნდა ვიყო, თქვენო აღმატებულებავ, რომ ამიერიდან მეც შევისწავლო ჩემი მშობლიური ენა და ჩემი ქვეყნის ისტორია (*).

ის ქართველი სტუდენტი, რომელზედაც უცბად მორჯულებული ქართველი პოლკოვნიკი ლაპარაკობდა, იყო რუსეთიდან ამჟამად ჩამოსული შალიკო.

იმ ხანებშივე დიდ აღშფოთებას იწვევდა რუს ეგზარხოსის ვოსტორგოვისაგან და მის დამქაშებისაგან ქართული ეკლესიის შევიწროება და დამცირება. რუსის ოფიციალური წრეები აშკარად ცდილობდნენ ქართული ეკლესიის გარუსებას; ამას აღწევდენ, სხვათა შორის, სასკოლო პოლიტიკით სემინარიებში და სხვა სასწავლებლებშიც, სადაც ქართულ გაკვეთილებს არამც თუ არ ჰქონდა მინიჭებული შესაფერი ალაგი, არამედ თვით საღმრთო რჯულის სწავლებაც რუსულ-სლავიანურ ენაზე ხდებოდა. ვერც ერთ ქართველ მღვდელს წარმატებაზე ფიქრიც არ შეეძლო, თუ დახელოვნებული არ იქნებოდა რუსულს ენაში და სლავიანურად წირვა-ლოცვის გადახდაში. ვიგინდარა ავანტიურისტი მღვდელი ვოსტორგოვი არარავის ერიდებოდა და ხმამაღლა აბუჩად იგდებდა და დასცინოდა ქართულ ეკლესიის წარსულს, ქართულს ენას. სწორედ მაშინ მოხდა, სხვათა შორის, ქართული ისტორიული ნაშთის, თვალ-წარმტაცი სილამაზის, ვარძიის უძველესი ეკლესიის შეგინება და შელახვა, როდესაც მას მოხსნეს ცისაკენ აღმართული ქართული გუმბათები, ზემოდან რუსული, ხახვის თავების მსგავსი გუმბათები ჩამოაცვეს... ერთი სიტყვით, არც სულმდგართ ინდობდენ, არც უსულო საგნებს, თუ კი ეს ქართული ჰასიათის, ქართული დიდებული წარსულის მეტყველი იქნებოდა. აღშფოთებული და მთავრობის მიერ აწიოკებული სამღვდელოება, უფლებას და პატივს აყრილი, იყო ერთ ტანჯვაში და შევიწროებაში. მოთმინებიდან გამოსულმა ქართულმა სამღვდელოებამ ბოლოს იფიქრა, საშველად ისევ იმ ქართველებისათვის მიემართნა, რომელნიც სამსახურით დაწინაურებულნი იყვნენ და ამით რუსის უმაღლეს მთავრობის თვალში ვითომდა რაღაცა ღირებულებას წარმოადგენდენ.

და აი გაუგზავნეს ერთს ამნაირად წარჩინებულ ქართველს დეპუტაცია; ყოველისფერი აუხსნეს მას, თუ რა შევიწროებას იტანს ქართველი სასულიერო წოდება და რა დამცირებას განიცდის თვით ეკლესია. უგდო თურმე დიდ ხანს ყური იმ ქართველმა სამღვდელოების ჩივილს და ბოლოს თვითონაც აღშფოთებულმა ასე მიმართა მათ:

— გეყოთ ეგ ჩუმი წუწუნი და კარჩაკეტილ ოთახში ბუტბუტი! ნუ გავიწყდებათ, რომ თქვენ ხართ ჩვენი მოძღვრები, ჩვენ კი თქვენი მრევლი. მოძღვრის წესია თვითონვე წარსდგეს წინ და მრევლი უკან გაიყოლიოს. ითავეთ თქვენ თვითონ თქვენი უფლებათა დაცვა და ჩვენც უკან გამოგყვებით-ო. — სწორედ რომ არავინ ელოდა იმ რუსის სამსახურში მყოფ მაღალი მოხელისაგან ასე გაბედული სიტყვის თქმას, მაგრამ ქართველმა საერთო აღშფოთებამ ასეთებიც კი ჩაითრია (*). იქნებ ასეთი რჩევის შედეგიც იყო ის, რომ ბოლოს ქართველმა სამღვდელოებამ დაინახა საპროტესტო გზით გამოსვლის აუცილებლობა და თავის ოფიციალურ ყრილობაზე მოითხოვა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის, ავტოკეფალიის აღდგენა. ამას, როგორც ვიცით, შედეგად მოჰყვა ის, რომ რუსის მთავრობამ მიუსია სამღვდელოების კრებას შეიარაღებული ყაზახები და „გამათრახებული“ მღვდლები სულ წიხლის თელით გამორეკეს კარებიდან...

ქართველი სოფლის მოსახლეობის მდგომარეობა ხომ აუტანელი იყო. უმიწაწყლოდ შევიწროებული გლეხობა

*) აქ ლაპარაკია პოლკოვნიკ გიორგი განძიელზე. შემდეგში იგი მხურვალე მონაწილე გახდა ქართული საზოგადოებრივი საქმეებისა; მიიღო გმირული სიკვდილი, როდესაც საქართველოს სამეურნეო ბანკს დაეცნენ მძარცველნი: მან არ დაანება მათ საზოგადოებრივი ქონება.

*) ეს იყო გენერალ - ადიუტანტი ივანე ამილახვარი.

აუწერელ სიღარიბეში იმყოფებოდა და სწორედ ამ დროს რუსეთის მთავრობა სადაც-კი მოხვდებოდა, საქართველოს საზღვრებში ასახლებდა შორიდან მოყვანილ რუსებს, სომხებს, ბერძნებს და სხვა უცხოელებს. მთავრობა არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ქართველების შეამდგომლობას — შეეწყვიტათ უცხოელებით საქართველოს გაჭედვა და ცოტა რამ მაინც ქართველებისათვის დაეთმოთ...

ვიმეორებთ, ამგვარ საგნებზე ისეთი ადამიანებისაგანაც გაიგონებდით ცხარე ლაპარაკს, რომელთაც წინად თითქო არც ქართველი გლეხის ბედი აწუხებდათ და არც ქართული ენის და ეკლესიის მდგომარეობა. ათას მაგალითთა შორის აი კიდევ ერთი ამბავი, რომელმაც თავისი ცინიზმით კვლავ აალელვა ქართველი საზოგადოებრიობა. კავკასიის უზენაესი მმართველები, წესისამებრ, უგზავნიდენ ყოველ-წლიურ პირადათ რუსეთის იმპერატორს (მთავრობას კი არა, არამედ სწორედ იმპერატორს) საიდუმლო მოხსენებებს კავკასიის ერების შესახებ. ერთს ამისთანა მოხსენებაში მართველმა — გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი — თითქო ერთგვარი ლიბერალობაც გამოიჩინა და უმტკიცებდა თავის მეფეს, რომ დადგა დრო კავკასიაში რუსული უნივერსიტეტის გახსნისა, ქალაქ თბილისშიო. მომავალ უნივერსიტეტში სტუდენტების არეულობანი არ უნდა გვაფიქრებდესო. თუ ქართველი სტუდენტები სულ იმის ცდაში იქნებიან, რომ ასეთი არეულობა მოაწყონ ხოლმე, სამაგიეროდ რუსი და სომეხი სტუდენტები არ დაუშვებენ, რომ უწესოებანი გაღრმავდესო. კავკასიის მთავრობამ არ იკმარა ამ დასმენის საიდუმლოდ წარდგენა; მან საჭიროდ დაინახა მოხსენების ეს ალაგი დაბეჭდილიყო თბილისელ ერთ სომხურ გაზეთში, რომელიც რუსულ ენაზე იბეჭდებოდა (ტიფლისკი ლისტოკ), ალბათ რუს-სომხების საერთო ბლოკის შესადგენად და მისი ქართველების წინააღმდეგ სამოქმედოთ. ქართველმა საზოგადოებამაც სწორედ ასე გაიგო. მან ისიც სცნა, რომ საქართველოს დედაქალაქში განზრახული ჰქონიათ რუსული უნივერსიტეტის გახსნა, სადაც, ალბათ, წინადვეა გათვალისწინებული ქართველების უფლებების შეზღუდვაც (*).

*

იმ კრებებსა და რეფერატებს, რომელნიც რიგ-რიგად იმართებოდენ სხვა და სხვა ქართველ ოჯახებში, ხშირად ახალგაზრდობასთან ერთად მათი მშობლებიც ესწრებოდენ. აქ გაიცნო შალვამ ერთი წარჩინებული გენერალი, იგიც უერთგულესი მსახური რუსეთის ტახტისა. ერთი საოცარი თვისება სჭირდა ამ გენერალს. მიუხედავათ მისი რუსოფილობისა, უყვარდა ქართული საზოგადო საქმიანობაც, პატივისცემით იხსენიებდა ზოგ ქართველ მოღვაწეს და ინტელიგენტს. თითქო საამაყოდ მიაჩნდა, რომ საქართველოსაც ჰყავს სახელოვანი ილია, აკაკი; ასეთი განათლებული მოღვაწე, როგორც ნიკო ნიკოლაძე; დიდათ აფასებდა ქართველ თავადაზნაურთაგან გამოსულ ახალგაზრდობის წადილს ვაჭრობა-მრეწველობაში ჩაბმულიყვნენ; მათ წასაქეზებლად, როდესაც დაარსდა კოოპერატიული საზოგადოება „გაზეთი“. ხშირად დადიოდა იქ და არა ერთხელ თავისი ხელით გაუხვევია, ამ დიდ გენერალს ქაღალდში უცხო მუშტარზე გაყიდული ბოთლები. ერთი ასეთი შემთხვევაც მოხდა, ამ პიროვნებასთან დაკავშირებული.. ექვსიოდე ქართველი ინტელიგენტი და მათ შორის ძმანი გრიგოლ და ალექსანდრე ყიფშიძენი, მიემგზავრებოდენ მატარებლით; სწორედ იმავე მიმართულებით მიდიოდა ის გენერალიც, რომელზედაც ზემოდ ჩამოვაგდეთ ლაპარაკი. მოჰკრა მან თვალი ქართველ ახალგაზრდებს და შევიდა მათ ვაგონში. „არიქა, ბიჭებო, აქეთ მოდის „ბუმბერაზი“ და აბა ერთი ლაზათიანი პროპაგანდა გადაჩალოთო“. სთქვეს ახალგაზრდებმა. როცა. მისალმების შემდეგ, გენერალი მიუჯდა მათ, ლაპარაკი, თითქო შემთხვევით, რუსების პოლიტიკაზე ჩამოვარდა. ამ პოლიტიკის დამახასიათებელი ფაქტების

*) ამაზე თვით ავტორს ჰქონდა შემთხვევა გრაფ ვორონცოვ-დაშკოვთან სათანადო სიტყვა ჩამოეგდო...

მასთან ხალისიანად. გენერალი სულ-განაბული უსმენდა გადმოლაგება მოჰყვა ერთი მეორეს, შეუჩერებლივ და ბაასს, მერმე როცა გაათავეს რუსეთის მიერ საქართველოს ყოველმხრივი აწიოკების დასურათება, „ბუმბერაზი" წამოდგა და მიმართა შალიკოს: „ყმაწვილო ერთი ჩემს ვაგონში შემომყევი". როცა გენერლის კუპეში ორივე მარტოკა დარჩა, ღენერალმა, რომელმაც გრძელი ლაპარაკი საზოგადოთ იცოდა, მოკლედ დაეკითხა შალიკოს: „როგორც პატიოსანი კაცი, მითხარით: ის ფაქტები, რაზედაც იქ ილაპარაკეს, სულ მართალია, თუ მოგონილი? — ბატონო, მიუგო შალიკომ, მათ ნახევრის თქმაც ვერ მოასწრეს, რაც სათქმელი აქვთ ქართველებსა და აი კიდევ სხვა ფაქტებიო. ღენერალი გაფაციცებით თვალებში შეჰყურებდა თავის ახალგაზრდა მობაასეს და როცა მან გაათავა, თითქო ამოიოხრა, თავისთვის, ნერვიულად დაუწყო ხმალს ქარქაშიდან ოდნავ ამოწევა და უკანვე ჩაგება და ბოლოს სწორედ ეს სიტყვები წარმოსთქვა ნაღვლიანის კილოთი, თითქოს ვილაცას ემდუროდა: — „არა, იმ დალოცვილმა ერეკლემ განა არ იცოდა, რომ ეს საქმე დაგვემართებოდა?!".

შალიკო ისმენდა მოხუცი სარდალის სიტყვებს, თან გაოცებით და თან აღტაცებით. მას წარმოედგინა, რომ მის წინ რუსის ღენერალი კი არ ზის, არამედ ძველი ქართული ლაშქარის წინამძღოლი, რომელიც მზად არის საქართველოს სადღეგრძელოდ სიცოცხლე შესწიროს თვით უსწორო ბრძოლაშიც. იმ წამს შალვასათვის სრულიად უტყუარ ჭეშმარიტებად გამოჩნდა, რომ სულ ცოტა რამ იყო კიდევ საჭირო, რომ ამ ადამიანმაც, მთელ ერთან ერთად, იზიაროს ილიას მთიულის ნათქვამი: — ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდნესო!

***

ქართული ენის და ისტორიის შესწავლა ერთგვარ საჭიროებად გადაიქცა ქართველ იმ ფენებშიაც და, თითქო გადაგვარების გზაზე დამდგარ ოჯახებში, სადაც წინად ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევდენ. შესდგა სამშობლო კულტურის შესწავლის წრეები და აი ერთ ამისთანა ჯგუფს შალიკოც ხელმძღვანელობდა. სწორედ ამ ჯგუფში მოხვდა სალომეც, რომელმაც შალვას გავლენით წინადაც რიგიანად გაიცნო ქართული ლიტერატურა და ისტორია. ამ წრეში ჩაწერით შალვას შეძლება ეძლეოდა უფრო ხშირად შეხვედროდა სალომეს. მართალია, არც თვითონ შალვა იყო, მაინცდამაინც, ამ საგნების ღრმა მცოდნე, მაგრამ სხვებს რომ ასწავლიდა, იმავე დროს თვითონაც სწავლობდა და ამით იღრმავებდა წინად შეძენილ ცოდნას. ეს მით უფრო ადვილი იყო მისთვის, რომ ჯერ კორპუსშივე შეეცადა, სხვა ქართველ ამხანაგებთან ერთად, ქართული წრის დაარსებას. ქართული ხელნაწერი გაზეთი „პირველი ნაბიჯი"-ც კი გამოუშვეს ქართველმა კადეტებმა. კარგა ბლომა ქართული წიგნები, ჟურნალ-გაზეთებიც დააგროვეს; თვალის ჩინივით ინახავდენ მათ და სიფრთხილით კითხულობდენ კორპუსის ცეიხჰაუზში. საუბედუროდ მალე მოუსპეს მათ ეს ორგანიზაცია. როტის კომანდირს, კაპიტან შპანს, გაიგო საიდუმლო ზანდუკის არსებობა და „დიადკების" მიშველიებით გაეტეხნა. და როდესაც იმოდენა ქართული წიგნები აღმოეჩინა, ერთს აღშფოთებას მისცემოდა. დაიბარა შალიკო, როგორც ამ ზანდუკის პატრონი და გამოუცხადა: ამ შემთხვევაში მიპატიებია და თუ შემდეგშიაც გაგიბედნიათ ქართული წიგნების აქ შემოტანა, დაისჯებით თქვენც და თქვენი ამხანაგებიცო. ყველა, რაც მე აღმოვაჩინე, „ჩორტ ზნაეტ. ჩტო ტაკოე, ეტო ნასტოიაშჩი ფანატიზმ! „ფანატიზმის" ამნაირად მოსპობის შემდეგ ქართველ კადეტებს იმ ხნობაში მოესპოთ საშუალება ქართული ენის და ლიტერატურის საფუძვლიანად შესწავლისა.

ძალიან მუყაითად მუშაობდა შალიკოს და სალომეს წრე. მალე თვალსაჩინო მიღწევანიც მიიღეს. შალიკოს ლექციების მსმენელნი უფრო რუსეთთან შეერთების ნამდვილ ფაქტებს იცნობდენ. ერთი მორიგი ლექცია საქალაქო სკოლის ბინაზედაც მოხდა. ვეებერთელა სკოლის ოთახი სულ სავსე იყო ახალგაზრდობით. კათედრაზე ლექტორად შალვა იყო. იგი ფართედ უხსნიდა აუდიტორიას საქართველოს და რუსეთის ურთიერთობის ისტორიას. მოხსენების დიდი ნაწილი უკვე წაკითხული იყო, როდესაც დარბაზში, დაგვიანებით, შემოვიდა ორი ყმაწვილი კაცი და ერთი ქალი. მათ უკანა რიგებში მიიდგეს სკამები და დაუწყეს მოხსენებას სმენა. ამ ახლად შემოსულებს არავინ იცნობდა, ვინ იყვნენ, მხოლოდ სალომე კარგად რომ დაკვირდა ქალს, იცნო სკოლის ნაამხანაგევად, რომელიც კურსის გათავებამდე ვასულიყო ქალების ინსტიტუტიდან და მას აქეთ აღარ ენახათ ერთმანეთი. მხოლოდ ერთხელ გაკვრით მოჰკრა ყური სალომემ, თითქო ეს მისი ყოფილი ნაამხანაგარი სასწავლებლად შვეიცარიაში დასახლებულიყო და იქ რევოლუციურ წრეებშიც მონაწილეობდა. სალომე მიხვდა, რომ ის ყმაწვილებიც ალბათ იმ წრიდანვე იქნებოდენ.

თავისი მოხსენება შალვამ ასე დაასრულა: — ორიოდე სიტყვა კიდევ და სადღეისოდ ამით გავათავოთ. როგორც მოისმინეთ, ის ხელშეკრულება, რუსეთსა და საქართველოს შორის რომ დასდვეს მეფე ერეკლემ და რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინემ, ვერაგულად დარღვეული იყო რუსეთის მიერ. არამც თუ დაპირებული დახმარება რუსებმა არ მიაშველეს ჩვენს ქვეყანას, არამედ, პირიქით, საქართველოდან რუსებს თავიანთი ჯარი გაჰყავდათ ხოლმე სწორედ მაშინ, როდესაც ჩვენს ქვეყანას მტერი ესეოდა. ასე მოქმედებდენ ყოველთვის, ასევე იმოქმედეს აღა მაჰმად ხანის შემოსევისას. უკანასკნელმა მათმა დიდმა ვერაგობამ მაშინ იჩინა თავი, როდესაც თავის ჯარით ოკუპაცია მოახდინეს საქართველოსი და ჩვენი სახელმწიფო რუსეთის გუბერნიებად გამოაცხადეს. თქვენ უკვე უწყით ჩემი წინა მოხსენებებიდან, მას აქეთ რა ზომებს ღებულობს რუსეთის მართველობა საქართველოს საარსებო ინტერესების შესალახად: საქართველოს მიწაწყალზე უცხოელებისათვის კი არის თავისუფალი მიწები, მათ დასასახლებლად, ქართველი გლეხობისათვის კი ამისთანა მიწები არ მოიპოვება; ქართველებს აკრძალული აქვთ სასწავლებლებში ქართული ენის, სამღრთო-რჯულის და ისტორიის შესწავლა; ამავე დროს-კი სხვა ეროვნებებისათვის ეს არამცთუ არაა აკრძალული, არამედ ზოგიერთ მთავრობის სასწავლებლებში (ასე იყო მაგ. თბილისის 1-ლ გიმნაზიაში და საქალებო ინსტიტუტში) მუსულმანებსა და სომხებს უწყობენ საკუთარ სამლოცავეებს; ქართველი სამღვდელოება გაამათრახეს და ამავე დროს აქაური სომხების გულის მოსაგებად მეფურად ღებულობენ სომხის კათალიკოზებს მათი თბილისში ჩამოსვლის დროს. რასაკვირველია, არსებითად, რუსებს ეს არ მოსდით არც სომხების სიყვარულით და არც იმათი კათალიკოზის პატივსაცემად... ქართულ სასოფლო სკოლებში ვოსტორგოვ-ეგზარხოსები ქართველი გლეხის შვილებს სლავიანური ენის სწავლებით ზნეობრივ ტანჯვას აყენებენ და გონებას უმახინჯებენ, ამავე დროს სომხის სკოლები და მუსულმანთა ბედრესები ასწავლიან არამცთუ სამღვთო რჯულს სამშობლო ენაზე, არამედ გზადაგზა თვით მათი ენებიც ისწავლება. ერთი სიტყვით. არ არის დარგი, არ არის არც ერთი სფერო კულტურული საქმიანობისა, სადაც ქართველები და მხოლოდ ქართველები არ ყოფილიყვნენ დაჩაგრულნი საქართველოში რუსის მართველობის მიერ. თუ წინათ ათასი მტრის ურდოები აწიოკებდენ საქართველოს, დღეს მთავარი მტერი ჩვენი ქვეყნისა ის პოლიტიკა და მართველობაა, რომელიც რუსეთმა დაამყარა ჩვენში დღიდან მისი საქართველოში დაბანაკებისა. რუსეთი — აი ვინ არის დღევანდელი ჩვენი მტერი.

ლექტორს სიტყვა არ ჰქონდა ჯერ გათავებული, რომ უკანა რიგებიდან წამოდგა ერთი ახლად შემოსულთაგანი და რიხიანად გააწყვეტინა შალვას ლაპარაკი შემდეგი მიმართვით: „მოქალაქე თავჯდომარე, სიტყვას მოვითხოვ! იშვარდაიძე არ იყო იმ ყმაწვილის ნამდვილი გვარი; ფსევდონიმებით სარგებლობა გამოსვლების დროს ახლად შემოდიოდა. მას არც დაუცდია ნებართვის მიღება და იმავე რიხიანი შეტევით განაგრძო: — მე და ჩემთან ერთად მოსულნი ჩემი ამხანაგები, აღშფოთებით ვისმენდით იმ შოვინისტურ მოხსენებას, რომელიც მოქალაქე შალ-

ვამ გააკეთა. ის ფართე ხალხის მასსები, რომელთა სულისკვეთების გამომხატველად ჩვენ გამოვდივართ, სრულებით არ საჭიროებენ ერთა შორის სიძულვილის თესვას, და აქ თქვენგან მოწონებულ მიმართულებას და პოლიტიკას წინააღუდგებიან სრული მათი ძალებით; ის ბურჟუაზიულ-ფეოდალური, თავადაზნაურული ფენები, რომელთა ნაწილს აქ შეკრებილნი წარმოადგენენ წალეკილ იქნება მასსების მიერ, რომელთა მეთაურობას კისრულობს რუსეთის პროლეტარიატთან ერთად საერთაშორისო პროლეტარიატი. თქვენ გინდათ საქართველოს გამოცალკევება სხვა ეროვნებათა მშრომელი მასსებისაგან, — იქნება ავტონომია და სრული დამოუკიდებლობაც კი მოინდომოთ, მაგრამ პროლეტარიატი ამას არ მიიღებს, რადგან მან იცის, რომ ყველა ეს ნაკარნახევია ანტირუსული მიმართულებით; გაბატონებულ კლასებს სჭირდებათ რათა უფრო მძლავრად დაამონონ მშრომელი ხალხის მასსები. ჩვენ წარმოგიდგენთ აქ ჩვენს წინადადებას და მოვითხოვთ, რომ იგი მიღებული იყოს როგორც სახელმძღვანელო დებულება კრების მიერ და ოქმში შეტანილი...

ამის შემდეგ იმ ყმაწვილმა ქართულად წაიკითხა რაღაც რეზოლუცია: — „მეცხრამეტე საუკუნის ქართული ისტორია არის ისტორია ჩვენი განვითარების მუდმივი, შეუჩერებელი წინმსვლელობის და კულტურულად ამაღლების. და ყველა ეს მოხდა არა ნაციონალური კლასის დროშის წინამძღოლობით, არამედ გარეშე ძალის, რუსეთის მეთაურობით. ამით ცხადი ხდება ანტი-რუსული მიმართულების უნიადაგობა ჩვენში“. წაიკითხა მან ეს წინადადება და მისი გადაცემა დააპირა შალვასათვის. უკანასკნელმა იგი არ მიიღო და აუხსნა თავის მოპირდაპირეს, რომ კრებას არავითარი ოქმები არ გააჩნია და არც მაგ წინადადებას ჩააკერებს სადმე. თუ თქვენ მაგ საგანზედ გინდათ მსჯელობა, გამართეთ ცალკე კრება, მოგვიწვიეთ და იქ ვილაპარაკოთ თქვენი წინადადების ღირსება-ნაკლზეო. შალვას ამ წინადადებაზე ოპონენტმა შესძახა: „აქ რომ მოვდიოდით მე და ჩემი ამხანაგები, კარგად ვიცოდით, რომ თავისუფალი სიტყვა ამნაირ კრებაზე დევნილი იქნებოდა. ერთი თვალის გადავლებაც საკმარისია, რომ დავინახოთ, თუ ვინ ბრძანდებიან აქ ერთად თავმოყრილნი: ძველი, დაჩავსებული ოჯახებიდან გამოსულნი, თქვენ მჭერმეტყველურად აშკარავებთ, რომ თანამედროვე ოჯახი, თქვენი ერთად ერთი დასაყრდენობი ბაზა, ადამიანის იდეალურ მისწრაფებათა ბორკილია. ეს აზრი სრულ ჭეშმარიტებად უნდა ჩაითვალოს. ცხადია, ჩვენ თქვენთან საერთო არა გვაქვს რა და პროტესტის ნიშნად ვსტოვებთ კრებას და იცოდეთ, რომ დღეს თუ ხვალ, გამარჯვებული პროლეტარიატი გაიძულებთ თქვენ ანგარიში გაუწიოთ მის მოთხოვნილებებს“. ეს მან სხაპასხუპით სთქვა და სამმა, კრებაზე მოსულმა, დასტოვა დარბაზი. კრებაზე დამსწრეთ ამ პატარა ინციდენტში ბევრი რამ ახლად მოეჩვენათ: სიტყვები: „მოქალაქე თავჯდომარე“, „ამხანაგო“, „პროლეტარიატი“ ჯერ კიდევ ახალი ტერმინები იყო და შეიძლება ამიტომ უმრავლესობა არც ჩაუკვირდა იმას, რაც მის თვალწინ გადაიშალა ასე მოულოდნელად....

მხოლოდ ერთად ერთმა, ქნეინა ბაბუმ, რომელიც აუცილებლად ესწრებოდა ხოლმე ყველა ახალგაზრდა ყრილობას, თან ხუმრობით, თან დედა-შვილურის წყრომით წაამახა ახლად გასულებს: „გენაცვალეთ, ან მოსვლა ვისა ჰკითხეს, ან წასვლით ვის ემუქრებიან! ოჯახებიც რომ დაგვიწუნეს! მატრაკვეცები“!.

* * *

ქნეინა ბაბალე საკმაოდ შესამჩნევი პიროვნება იყო თბილისის ქართულ საზოგადოებაში. არავისაგან დამოკიდებული, იგი განთქმული იყო თავისი მოსწრებული სიტყვა-პასუხით, დარბაისლურის ხუმრობით და პირში დაურიდებელი თქმით. აგერ ოციოდე წელიწადია, რაც სოფლიდან თბილისში ჩამოვიდა, სულ რაღაც ხუთიოდე დღით. მაგრამ მას აქეთია ისე ჩარჩა ჩვენს დედაქალაქში, რომ თავის მამულში აღარ დაბრუნებულა. ამისი მიზეზი კი ჰქონდა ერთად-ერთი ვაჟიშვილის დამკარგველს და დიდი ხნიდან დაქვრივებულს ქნეინა ბაბალეს. თბილისში მისი ჩამოსვლა იყო გამოწვეული ტრაგიზმით სავსე გარემოებით. ბაბალეს ერთად ერთი ვაჟი, რომანი, პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი, შეპყრობილი იყო, როგორც წევრი რევოლუციური ორგანიზაციისა, დაპატიმრებული, პეტრე-პავლეს საპყრობილეში ჩაკეტილი, და აი იქ დაავადებული ჭლექით გადაცვლილიყო საბრალო ახალგაზრდა ქართველი. დედას დიდი ჯაფა და სხვების დახმარება დასჭირდა, რომ მკვდარი შვილი მაინც დაებრუნებინათ. სწორედ მიცვალებულის დასახვედრად მოუხდა ქნეინა ბაბალეს სოფლიდან ჩამოსვლა. ამხანაგების თხოვნით განსვენებული რომანი მამადავითის სასაფლაოზე დაკრძალეს და მას აქეთ ისე არ გავიდოდა დღე, რომ ბაბალეს შვილის საფლავი არ ენახა. ეს იყო მიზეზი, რომ თბილისში ჩარჩა და იქიდან ფეხსაც არ იცვლიდა.

როდესაც საცოდავი რომანი მშობლებმა უნივერსიტეტში გააგზავნეს, მამა, ყოფილი ქართული დრუჟინის მაიორი და ყირიმის ომში მონაწილე, შეევედრა შვილს: „ერთი თხოვნა მაქვს და ამისრულე: რაც გინდა და როგორც გინდა ის ისწავლე, მაგრამ გთხოვ, შვილო, შენ შენთვის იყავი, და ნუ ჩაერევი იქ რუსის ხემწიფის საქმეებში; დაე ისე მართოს მან თავისი რუსეთი, როგორც მას მოეპრიანება“. ამას ბაბალემ დაუმატა: „მართლაც და, გენაცვალოს დედა... თავშიაც ქვა უხლიათ, რა ჩვენი საქმეა იმათ საქმეებში ჩარევა. რამე ხიფათში არ გაგაბან“... მშობლებს, მართლაც გულმა უგრძნო. რომანი მესამე კურსზე იყო, რომ „ხიფათში“ გააბეს და ბოლოს ასე უდროოდ დაღუპეს... ბაბალე თბილისში რომ დასახლდა, არც ერთ კრებას არ გაუშვებდა, სადაც სტუდენტობა და საზოგადოთ ახალგაზრდობა იყრიდა თავს. გულში გაიფიქრებდა ხოლმე: ჩემი რომანი რომ ცოცხალი მყავდეს, ისიც აქ იქნებოდა, თავის ტოლ-ამხანაგებთანო. ესწრებოდა კრებებს, ისმენდა გულმოდგინედ მოხსენებებს, დამსწრეთა ბაასს და ყველგან თავისი დაღუპული შვილის ხმა ესმოდა...

გიორგი ჟურული

## გლოვა

დაბნელდა საქართველოს მზე,
გაშავდა ძველი თბილისი,
ყინვა და სუსხი გაავდა,
თებერვლად იქცა მაისი
ღმუილი, კვნესა, გოდება,
მოთქმა, ტირილი, ზარია,
სიონიც დადუმებულა,
ჩამოხსნეს დიდი ზარია.
დედა ლაწვებსა იკორტნის,
შვილები არსად არია,
ცოლი სამარეს დაეძებს,
სადღაც ჩაუხრჩვეს ქმარია,
ტურფა ქართველი ქალები
ცრემლებით რწყავენ ქუჩებსა,
დასივებიათ თვალები,
სიმწრით იკვნეტენ ტუჩებსა...
სოსო! რა შავი დღე არი,
სოსო! რა ავი დარია:
ჰაუ! რა ცუდი სული სდგას,
ჰაუ! რამდენი მკვდარია!

უცნობი

**შრომასა და კაპიტალს შორის უნდა დამყარდეს თანამშრომლობა ურთიერთ ინტერესთა დაცვით.**

**უნდა აღსდგეს ქართული კერა და დაცულ იქმნას ქართული მოდგმა. ქართველი ერი უნდა გამრავლდეს. უნდა კვლავ შეიქმნას მშვენიერი ქართველი ადამიანი. საქართველომ კვლავ უნდა შვას შოთა რუსთაველი.**

## უ კ ვ დ ა ვ ე ბ ა

როცა მოვკვდები, ჩამაცვი ჩოხა,
წამიკარ თავი თეთრ ყაბალახით;
ჩემს სამარეზე გაშალე ნოხათ
მინდვრის ყვავილნი მწვანე ბალახით.

ამიგეთ წესი ზურნით და ღვინით...
ნუ დამაპკურებთ ცხელსა ცრემლებსა,
ნუ შეაწუხებ, ქალო, ქვითინით
კოხტა გორაკებს, ლამაზ ველებსა.
შავს ნუ ჩაიცვამ, თმას ნუ გაიშლი,
ნულა დაიმტვრევ სიმწრით ხელებსა.
ბნელსა ორმოში დამტოვე მარტოდ,
ნუ მოაკითხავ ჩემს სამარესა...
ცელქი ნიავი ობოლს გამართობს:
ზღაპრებს მიამბობს ლეშს მწუხარესა.
მიწა ვიყავი, მიწად ვიქცევი...
დავუბრუნდები მშობელ მხარესა.

ჩემი გულის და ტვინისა მტვერი
განიფანტება მინდვრად, ველადა;
ქარი წაიღებს ჩემს ფერფლს სიმღერით,
გამოადგებათ ბალებს თესლადა.
დასწურეთ ვაზი და შესვით ტკბილი
და ჩემი ფერფლი ერთი ხელადა.

„კაცი კვდებაო"! — ნეტა ვინა სთქვა;
მაშ რაღა არის ყვავილთ ცხოვრება?!
თუ არ იმათი ფშვინვა და სუნთქვა,
ჩვენი ცხოვრების განმეორება?!

ს. ბერეჟიანი

## მგოსნის ხსოვნას

დამდევს მარადის მისი ტანება,
მიყენებს თვალწინ დაცვენილ ვარდებს;
ჩვენში მრავალი ლექსს ეტანება
და რითმებს ატანს თვის გულის დარდებს.
დღეს მიწევიმს ირგვლივ, გარეთაც ცივა,
ყველგან ცრემლი და, ჩხავილი ყვავის;
სადაც რომ მგოსნის სურვილი შივა,
ყინულიც ჰშობს იქ მზესა და ყვავილს.
გული განცდებით, მოყვასთა შურით;
და შხამი გესლით როგორ იწამა!
ერის სიწმიდე და ერის სული
მგოსანს მიანდო, ჩაუდგა ცამა.
ცხოვრებამ თვისი დაღი მაჩნია
და დამიკარგა ფერი, იერი;
სანამ მგოსანთა ცეცხლი აჩნია,
იქნება ერი დიდი, ძლიერი.

გან-ფარი

## აღსრულებულთ

(პაოლო - ტიციანის ხსოვნას)

გვქონდა ცხოვრება სავსე დარდებით,
და სწრაფლ ეუფლენ მას ფერიები:
პაოლოს ტუჩზე უცრეს ვარდები,
ტიციანს — თვალზე ლურჯი იები.

—

ეხლა ისინიც გახდნენ მოწამე...
აენთენ მსხვერპლად, როგორც ანძები:
— ვინც ერთხელ კოლხის ნათელი ღამე,
სწრაფლ გაახარეს ცისფერ ყანწებით.

—

ადრე დადუმდა აღფრთოვანება,
უპირისუფლოდ დარჩა ყაზბეგი...
ვინ უმიჯნურებს — ეთაყვანება,
თუ გაუგმირეს მას ოთარ-ბეგი.

—

მტერთ ვერ ითვისეს „ორპირის ხაშმი",
მგოსნის „ცხელების" მათ რა იციან?
— ვინც გააფუჭა პოეტთა რაზმი
და აღასრულა ჩვენი ტიციან....

—

მეორემ... რითმად გაშალა გული,
მის სულის ღელვას არ ჰქონდა ბოლო,
მტოკავი, მარდი, ვით არაბული,
ჯიშის რაინდი იყო პაოლო...

—

მათ ვერ გაიგეს, რომ დადგა სხვა დრო,
როცა ბატონობს — რკინა, თითფერი,
რათა მგოსანმა გული გაღადრო —
ჩაჰკლა ოცნება მასში ცისფერი.

—

არ დაივიწყებს ქალწულთა დასი,
თქვენს რაინდობას — დარბაისლობას,
საფლავს ჩაგძახებთ ხმები ათასი —
გახარებთ კვალად შვიდ - მაისობას.

—

ნუ დაგიტირებთ მგოსანთ კრებული,
ამბებს სწერს ქართლის მემატიანე,
გახდებით მისგან მირონცხებული,
ვით დაისრული სებასტიანე.

ქეიბური

სანფრანცისკო, მაისი, 1938 წ.

## ბარათი

რა მოგწერო?! ენა დაშვრების და არც დაიჯერების ისეთი მრავალფეროვანი და თან ველური შვენიერებაა აქაურობა. ასეთი ლურჯი ცა და ზღვა, ასეთი კამკამა ნათელი მთვარე და ვეებერთელა ვარსკვლავები აღარ მინახავს, რაც საქართველოს მოვშორდი. განცდა გამოუთქმელია... აი სად შეიძლება ადამიანმა დაივიწყოს დროებით მაინც შენი გადმოხვეწილობა, ხეტიალი, აფორიქება, წვრილმანი „ცხოვრება და წამება და მოქალაქება", უძირო ინტრიგები პატარა ემიგრანტულ ბუნებათა, ჭორები, ზურგს უკან მახვილთა ლესვანი, მდაბალ ვნებათა ღელვანი, და სხვა შვენიერებანი, რომლითაც სავსეა ჩვენი 17 წლის „მარტვილობაჲ" და შეგიძლია თავი დიონისის შორეულ ნათესავად წარმოიდგინო, მოგინდეს ლხინი, სიმღერა, მაღალ და ყვავილოვან კლდეებზე ხოხვა და მწვერვალზე გადმოკიდება და იქიდან ცქერა ლურჯი ზღვის რონინებისა. რა ვიცი კიდევ რა არ მოგინდება კაცს და ყველაზე უფრო მწვავედ გრძნობ იმას. რომ განქრა, გაიელვა უნაყოფოდ 17 წელმა და ვერ დასწერე ის შვენიერი რომანი, ის განცდა დიდის და სურნელებით გაჟღენთილ სიყვარულისა, რომელიც სადღაც გქონდა და იმდენად ხრისე და ლესე ხელში, რომ ქარვის პაწია მარცვალი-ღა შეგრჩა... და თუ პარიზში დღე დღეს ჰგავდა, და კვირა კვირას და ისე ემატებოდა ღარი ღარს შუბლზე, და თეთრ თმას ვერცხლის ახალი სირმები და ეს არ მაფიქრებდა, აქ იგრძნობ მთელის სიმწვავით, როგორ აღარ ხარ ახალგაზრდა, თბილისის ხეივნებში რომ უქუდოთ დადიოდი და ვილაცას შორიდან თვალებით უძირო ტკბილ სინაზის ქსელს ახვევდი... ახლა ნანობ, რომ „ნახევარი ცხოვრების გზა ისე გალიე", რომ „ნახევრადაც" ვერ შესრულდა შენი ოცნება და აბა განა შეშვენის გად-

მოხევეწილს, უკვე დაცვევნილ თმებში ველის და მთის ფერადი და სურნელოვანი ყვავილები გაიყაროს, ხელში ებანი დაიჭიროს, შეუდგეს მაღალ მთის ვიწროებს და უმღეროს უცნობ, შვენიერ ასულს, რომელიც ზღვის ტალღებმა უნდა გამოაცუროს, როგორც ბოტიჩელის ვენერა... შემრცხვებოდა ამ სიმღერის და ვენერა თავის ლურჯ თვალებს ამარიდებდა, ვიღაცას უცხოს ლოდინს დაუწყებდა და თუ ისევ გავულიმებდი, შესცურავდა უძირო ტალღებში და სამუდამოდ დაიკარგებოდა, როგორც ჩვენი 17 წელი... ეხ, დაკარგულო წლებო, სხვის კარზე უაზროდ დათენთილო ცრიატო დღეებო, ოხვრაში და ცრემლში გათენებულო უვარსკვლავო ღამეებო.... რად მოჰკალი ჩვენი სიყვარული, რად დააყარე ცხელი ნაცარი ჩვენი პოეზიის ახლად აყრილ ვარდებს.... და რად დაცვითე ფერხნი ჩვენი, დაჩხვლიტე და დაასიე „სარებით", რომ აღარ შეგვიძლია ავიდეთ მაღალი მთის ვიწრო ბილიკებზე.! რა მოგვცა მაგიერი ამ 17 წელმა? ყველაფერი წაიღო და ახლა დაგვცინის კიდეც...

ემიგრაციისაგან შორს, ვისვენებ და აღარ მესმის დაცალიერებულ, დასნეულებულ ხალხის ბოდვა ისეთ დიდ კითხვებზე, როგორიცაა საქართველოს გეოპოლიტიკა და მსოფლიო აშლანი, საზღვრები და სტრატეგია, ოსმალეთის მეგობრობა და ტერიტორიების დათმობა, კანადის მუშათა კლასის ვითარება, ბერლინ - რომის ღერძი, შორებითი გამზირები და ძველი საკუთნოს ნაგებები და მრავალი სხვა ხელიხელ საგოგმანები მარგალიტები იმ ბრძენთა, რომელნიც ბაცილებივით ცოცხალ გონებას შლიან და აშრობენ და თან მთვრალი თამადის დანგრეული პათოსით, ლეკურ - თათრულ - რუსულ - ჩიქორთულ ენაზე, „ერთობისაკენ". „მთლიანობისაკენ", „გატანისაკენ" მოგვიწოდებენ, მიუდგომელ ქურუმის ტოგაში ეხვევიან და სდარაჯობენ ყოველ „სამართლიანობას"... და ყველა ეს ნიშნავს, რომ მთელი ქართველობა მათ უნდა გაჰყვეს, მათ შეჰფიცოს და მიენდოს უკრიტიკოდ.... მათი სიცალიერე და წამოსროლილი სიტყვები დიდ გენიალობად მიიღოს, და რაც მთავარია, არავინ გაბედოს და დაინახოს ამ ტოგის ქვევით, სარტყელში გამოსკვნილი 30 ვერცხლი... რა მნიშვნელობა აქვს ამგვარ წვრილმანებს, — ეს ხომ დაცემულ - გალახულ საქართველოს ვინაობის აღსადგენად ხდება.... ვაი მას, ვინც ვერ მიხვდება, ვისაც სხვა აზრი დაჰბადებია ამ 30 ვერცხლზე, — მას ვერ განუცდია სამშობლო-ქვეყნის ტკივილები და დაუგდია იდეა დიდ ილიასი ერთობილ საქართველოზე, თორემ ჩვენ მის ქისას და ამ ვერცხლთა „ბუდობებს" კი არ უნდა ვიკვლევდეთ, არამედ მათ „წმინდა" ლაღადს ერთობა-სამართლიანობაზე ვუსმენდეთ და მარად „შემინდეს" ვიმეორებდეთ!... მაწუხებს აქაც ეს ფიქრები და ვცხოვრობ ვით პანი ტყეში, ზღვის პირად, პრიმიტიულად და მეფურის სილაღით ერთად შეზავებული. ფეხქვეშ გაგებული თვალუწვდენელი ხალიჩა ათასფერ ყვავილებისაგან და სურნელებით გაჟღენთილი; თავს მხურავს ლურჯი გუმბათი, მოჭედილი პატიოსანის თვლებით, ნაირფერ ქვებით.... ხელთ მიპყრია ვეფხის ტყაოსანი, დავდივარ, ვკითხულობ და შოთას მარგალიტებს ვისვრი ლურჯ ზღვაში, ვაპნევ და ის კი ისევ უხვი და ულევი რჩება, ზღვა ივსება და ქართული გენიის ამ განძს შვენებისას არა აკლდება რა.

ფანასკერტელი

ალპ მარიტიმ, აგვისტო, 1938 წ.

## ჟურნალ „კავკაზ"-ის ამბავნი საარაკონი

ვსთქვი თუ, ვისთვის შენ კისკასობ, ვისთვის იჩენ სიმარდესა?
შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამლუპველ ოსმალეთსა?
შენს სიმარდეს, სიჩაუქეს ქართლი შენი არ დაჰყურებს,
მეფე შენი თავის ქებით ჭაბუკს გულს არ გიხალისებს!...

ილია ჭავჭავაძე

"Уже, окропленная водою, воскресла старая Грузія, и вновь ее умертвить можетъ лишь малодушіе собственныхъ ея дѣтей".

З. Аваловъ.

### ესეც სტატისტიკა, მაგრამ რუსული!

ილია ჭავჭავაძეს არც დაესიზმრებოდა ალბათ, რომ კვლავ გამოჩნდებოდა ქართველთა შორის ჩაუქი, ვინც თავის თოფს თუ არა, თავის კალამს მაინც შეატრიალებდა ოსმალეთის სასახელოდ და საკეთილდღეოდ.... მაგრამ სიქაჩლე სიბერემდეა მოსალოდნელი და ხალხური ბრძნული ახდაზაც ისევ გამართლებული.

იმ კამათის დროს, რომელიც ქართულ ემიგრანტულ პრესაში ასტყდა საქართველოს სამხრეთ - დასავლეთ საზღვრების შესახებ ავად ცნობილი ჟურნალი „კავკაზი" ოსმალური ინტერესების ნიადაგზე დადგა და ეს ჩვენთვის გასაკვირი არ იყო, რადგან ამ ჟურნალის პატრონი და ხელმძღვანელია ბ-ნი ჰაიდარ ბამატი, გამოწრთობილი ოსმალურ ზრახვათა სამსახურში და საქართველოსადმი საზიანო ბრძოლაში.

ჩვენ მახსოვრობა არ გვღალატობს და გვაგონდება ბ-ნ ბამატის თუ მისი თანამებრძოლთა მიერ წარმოდგენილი მოთხოვნილება აფხაზეთის შეერთების შესახებ „მთის რესპუბლიკასთან (აფხაზეთი საქართველოს რესპუბლიკაში არ უნდა შედიოდესო!); არც ის დაგვიწყებია, თუ რა ღვაწლი მიუძღვის ბ-ნ ბამატს აფხაზეთში ოსმალების შემოსვლის, დესანტის დროს, 1918 წელს; ისიც მოვიგონოთ, თუ რა როლს თამაშობდა იგი კიაზიმ-ბეისთან საქართველოს რესპუბლიკის შავბედით დღეებში ამ უკანასკნელის სულის ამოსვლის დროს და მოვიტანოთ მოწმობაც ბათუმის ყოფილი კომენდანტის ი. ფურცელაძისა, რომელიც სწერდა*): „..მუდმივი ყოფნა კიაზიმ-ბეისთან მთის მთავრობის წარმომადგენლების ჰაიდარ ბამატოვისა (მაშინ ბ. ბამატოვი ბრძანდებოდა! ბ ბ.) და ახმელ ცალიკოვისა უფლებას გვაძლევდა გვეფიქრა, რომ თურქები რაღაცას ამზადებენო".... რას ამზადებდენ? — ბათუმის დაკავებას. და სწორედ ამ ბათუმზე ჩამოგვიგდო სიტყვა ბ-ნმა ჰაიდარ ბამატოვმა აქაც, ემიგრაციაში. — ვერ ისვენებს — ერთგულად სურს ემსახუროს თავის საყვარელ ოსმალეთს!

ბ-ნი ბამატოვი ალაჰზე მლოცველია და ოსმალეთის უებრო დამცველი. — ეს მისი პირადი პოლიტიკური მსოფლმხედველობის თუ სხვა რაიმე მიზეზის შედეგია, მაგრამ როცა იგი საქართველოს და საერთოდ კავკასიის დამოუკიდებლობის მხეზედაც ფიცულობს და ამასთანავე სხვებსაც აბრიყვებს, — ეს აღუნიშვნელად არ უნდა დარჩეს და ბ-ნ ბამატს უჩინ-მაჩინის ჩადრი უნდა ჩამოეგლიჯოს.

ბ-ნი ჰაიდარ ბამატი ოსმალეთს ემსახურება; მაგრამ ვის ემსახურებიან მის ჟურნალ „კავკაზის" ქართველი თანამშრომელნი? ვის ემსახურება მაგალითად ბ-ნი ზურაბ ავალიშვილი, რომლის კალამი შეტრიალდა და ჩაუქურად

*) ი ფურცელაძის ეს პატაკი მიმართულია ბოლშევიკებისადმი და, მაშასადამე, იქ ყველაფერი არ არის ნათქვამი.

ოსმალეთის სასახელოდ ამოქმედდა? ბ-ნ ზ. ავალიშვილის კალამის მიზანია ქვეყანას დაუმტკიცოს, რომ ოსმალეთის მიერ მითვისებული ქართული მიწაწყალი ქართულიც კი არ არის! არც ვიცით, იქ ქართველები არიან თუ არა, — ოსმალური სტატისტიკა ამტკიცებს ამას და გვეუბნება: იქ ქართველები არ არიან და აღწერაც მოხდა ევროპიელ ექსპერტების მიერ და არავითარ ბოროტ მოქმედებაზე და ძალადობაზე არა გვსმენიაო! ასე სწერს თავისი კალამით და ვილაცის თუ რილაცის კარნახით ბ-ნი ზ. ავალიშვილი; და როდესაც ჩვენ ასეთ მოღვაწეობას სათანადო და საკუთარ სახელს ვუწოდებთ, — „კავკაზის" თანამშრომელნი ყალხზე სდგებიან, ჯავრობენ და მენშევიკობას გვაბრალებენ, აქეთ გვედავებიან განთქმული ანდაზის თანახმად. რა უნდა დავარქვათ ბ-ნ ზ. ავალიშვილის მოქმედებას, როდესაც იგი ოსმალურ სტატისტიკას „მეცნიერულად!" იმარჯვებს და ამტკიცებს ოსმალეთის თვალსაზრისით, რომ ართვინ-არტაან-ოლთისის და ბათუმის მხარის ოსმალურ ნაწილში ქართველები არ არიანო?! აღწერაც წესიერად ჩატარდა, ძალადობაზე არა გვსმენია, მაგრამ მაინც არ მოიპოვებიანო!? მკითხველისათვის მიგვინდვია ასეთი მოღვაწეობის სახელით მონათვლა.

ჩვენ კი, ვინაიდან გულკეთილი ვართ, დახმარებაში უხვი, უნდა გავახსენოთ ბ-ნ ზ. ავალიშვილს რუსული სტატისტიკაც. როგორც ოსმალური სტატისტიკა, ისე რუსულიც გამოსადეგია ქართველობის წინააღმდეგ მოსახმარებლად. რატომაც არა: ბ-ნი ავალიშვილი რუსული სტატისტიკით ოსმალურს გაამაგრებს, მეტ ღირებულებას მიანიჭებს და სადავო საკითხს ეჭვს გარეშე დაამტკიცებს ... ქართველობის წინააღმდეგ. იმედი გვაქვს ჩვენს დახმარებაზე ბ-ნი ავალიშვილი უარს არ ინებებს.

1916 წლის რუსული სტატისტიკის მიხედვით, არდაგანის ოლქში არ ცხოვრობდა არც ერთი ქართველი! ქალაქ ბათუმში ცხოვრობდა 3.559 ქართველი და მთელ ბათუმის ოლქში (უქალაქოდ), სოფლად ცხოვრობდა მხოლოდ და მხოლოდ 419 ქართველი! ართვინში არ იმყოფებოდა არც ერთი ქართველი! ახალციხის მაზრაში მხოლოდ 3.978 ქართველი და ახალქალაქისაში კი მხოლოდ 1.230! — აი ეს რუსული სტატისტიკა დაავიწყდა ბ-ნ ზ. ავალიშვილს და მოვაგონებთ მას დაიხმაროს იგი ოსმალური სტატისტიკის გასამართლებლად. ქართული სტატისტიკა ალბად ცოტა სხვანაირი იქნებოდა და სხვებისათვის არა ხელსაყრელი, მაგრამ იგი არ არსებობს!

### კიდევ სხვა საბუთები, ოღონდ ბოლშევიკური!

სამუსულმანო საქართველოს თავგადასავალის დასაწერადაც ბ-ნი ავალიშვილი ოსმალურ საბუთებსა და ოსმალურ ისტორიას ეყრდნობა და ამტკიცებს, რომ სწორედ მენშევიკებმა გადასცეს ოსმალეთს არდაგან - ართვინ- - ბათუმის მხარის ნაწილიო. ჭეშმარიტების მაძიებელი მეცნიერი ალბათ ასე არ მოიქცეოდა, — ის ყველა საბუთს კბილს გაუსინჯავდა, მთელ ამბებს გულს გაუხსნიდა და მერმე შესაფერ დასკვნასაც გამოიტანდა, მაგრამ აქ ჭეშმარიტება არავის აინტერესებს და ისტორიას ყურით მიათრევენ თავიანთ შეხედულებათა დასადასტურებელად.

ჩვენ ამ შემთხვევაშიაც გულმტკივნეულობა უნდა გამოვიჩინოთ, ბ-ნ ავალიშვილს დავეხმაროთ და მივუთითოთ ბოლშევიკურ საბუთებზე, რომელიც ოსმალურს დაემატება და ბ-ნ ავალიშვილსაც გაამართლებს ,მის პოზიციას გაამაგრებს. ბოლშევიკებიც ამტკიცებენ, რომ მენშევიკურმა მთავრობამ ოსმალეთს გადასცა არდაგანის, ართვინის და ბათუმის ოლქებიო (მაგრამ ვინ გადასცა ყარსი?! ესეც მენშევიკურმა მთავრობამ?!) „ქართული ჟირონდის" ისტორიკოსი ი. შეფერიც მოგვითხრობს, რომ 1920 წლის დასასრულს და 1921 წ. დამდეგს ქართველმა მენშევიკებმა დასდვეს ხელშეკრულება ანგორასთან, რომლის ძალით საქართველოს მთავრობამ დაუთმო ოსმალეთს არდაგანის, ართვინის და ბათუმის ოლქიო (იხილეთ „ოჩერკი გრუზინსკოი ჟირონდი", პრედისლოვიე ლ. ტროცკოგო, გოსუდარსტვენ. იზდატელსტვო, მოსკვა, 1925). ამგვარად, ბ-ნი ავალიშვილი ბოლშევიკ შეფერის დასახელებულ წიგნში მოიპოვებს იმ საბუთებს, რომლითაც იგი გაამაგრებს თავის ცნობილ საბუთებს!

### კიდევ სხვა საბუთები, გარნა ოსმალური!

ჩვენ უსაზღვროდ გულკეთილი ვართ და ამიტომ თავს არ ვიზოგავთ დავეხმაროთ ბ-ნ ავალიშვილს. ქართველობის საწინააღმდეგოდ არსებობს კიდევ ერთი დიდი საბუთი, რომელიც ბ-ნ ავალიშვილს იქნებ ხელთ არა აქვს! ეს მნიშვნელოვანი საბუთია „ოსმალეთის დიდი ეროვნული კრების სახელით ბათუმის გენერალ-გუბერნატორის კიაზიმ-ბეის" მიერ გამოცემული პროკლამაცია ბათუმში, 17 მარტს 1921 წელში. ამ პროკლამაციის პირველი მუხლი ამბობს შემდეგს (ვბეჭდავთ შავით): —

**„უკანასკნელ დროს, საქართველოს მთავრობის თანხმობით, ბათუმის მხარე და ახალქალაქისა და ახალციხის ოლქები ჩვენი ჯარების მიერ იქმნენ დაკავებული. ოსმალეთის დიდი ეროვნული კრების მთავრობის დადგენილებით, რომელიც ემყარება სხვა და სხვა დროის ხელშეკრულებებით მრავალჯერ დადასტურებულ ეროვნულ უფლებებს, ეს მხარეები დღეიდან ბრუნდებიან სამშობლოს საზღვრებში და პოლიტიკურადაც და ადმინისტრატიულადაც ემორჩილებიან ოსმალურ ეროვნულ მთავრობას"....**

როგორც კიაზიმ-ბეის ამ განცხადებიდან აშკარად სჩანს, ბათუმის მხარე, ახალციხისა და ახალქალაქის ოლქები, რასაკვირველია, თვით ბათუმიც, საქართველოს მენშევიკური მთავრობის თანხმობით ოსმალეთის ხელში გადასულა! — ვაი დედასა! ჟურნალ „კავკაზ"-ში არ იცნობდენ კიაზიმ - ბეის ამ საბუთს, თორემ მოიმარჯვებდენ და დაგვიმტკიცებდენ, რომ ყარს - არდაგან - ართვინ - ოლთისბათუმის გარდა, მენშევიკებმა ოსმალეთს გადასცეს ახალციხე და ახალქალაქიცო! დღეიდან მათ ეს ეცოდინებათ და იმედი გვაქვს ამ საბუთსაც ყოჩაღად გამოიყენებენ... ქართველობის საწინააღმდეგოდ! ხოლო ბ. ყოფილი მთავარსარდალი, ამჟამად კალამით შეჭურვილი, გადმოეშვება ბეჭდვითი ბრძოლის ველზე და ამაყად განაცხადებს: მე მხოლოდ აქ გავიგე, რომ ახალციხე და ახალქალაქიც დაუთმიათ მენშევიკებსო! ხოლო მისი მზე-ჭაბუკი მხედრები თავისი მოგონებებით დაგვიმტკიცებენ, რომ ახალქალაქ - ახალციხეში მათ სისხლი დაღვარეს, ოსმალები გარეკეს და ეს მხარეც საქართველოს დაუნარჩუნეთო! ასე და ამგვარად დაიწერება ისტორია „კავკაზის" ფურცლებზე და გაეხარდება ვის? — მტერს! ხოლო ჩვენ კი მოვაგონებთ ბ-ნ ზ. ავალიშვილს თეიმურაზ პირველის (1589 — 1663 წწ.) სიტყვას:

„მითხრას ვინმე: რად დააშრევ ცუდ საქმეზედ ენა შენი"?

Какое малодушіе, г-нъ Аваловъ!

*

**ტყუილი ვსთქვა, ჩემი თქმული შეიქნების რა სავარგი?**
**მართალი ვჰთქვა, მეშინიან, ვა თუ გავხდე დასაკარგი!**

დავით გურამიშვილი (1705 — 1787)

გადადებული გვაქვს თავი დასაკარგად და ამიტომ მართალის თქმას უნდა შევუდგეთ. რატომ მოხდა ასე, რომ ერთი მხრივ: ოსმალონი; მეორე მხრივ: ბოლშევიკები, მესამე მხრივ: ჟურნალი „კავკაზი" და მისი ქართველი თანამშრომელნ ერთსა და იმავეს ამტკიცებენ?! რატომ შეერთდენ: ოსმალები, ბოლშევიკები და „კავკაზიელები" საქართველოს ყოფილი მთავრობის წინააღმდეგ ამ საუბედურო საკითხში? უცნაური აქ არაფერია! [საქართველოს ყოფილ მთავრობას კი შეეძლო იოსებ ტფილელის († 1688) სიტყვით, საააკაძესავით ეპასუხნა: „ჩემნო მტერნო! თქუენი გადის, რაც რომ გინდათ იმას ისრით, თუ ჩემიც რა გავიდოდეს, სცნობთ: რას უზამთ იმას ისრით"...]

ბოლშევიკების თავის გამოდება და იმის მტკიცება, რომ მენშევიკურმა მთავრობამ საქართველოს წინაშე ღალატი ჩაიდინა და ოსმალეთს გადასცა არდაგან-ართვინ-ბათუმ-ახალციხე-ახალქალაქი (იხ. დასახელებული შეფერის წიგნი, გვერდი 195), გასაგებია. ჯერ მოსკოვის ხელშეკრულებით, როცა საქართველოს მთავრობა კიდევ საქართ-

ველოშივე იმყოფებოდა, და შემდეგ ყარსის ხელშეკრულებით ბოლშევიკებმა თურქეთს მიუძღვნეს ქართული და სომხური მიწაწყალი... იმ შემწეობისათვის (სულერთია: პირდაპირი თუ ირიბული შემწეობით), რომელიც რუსეთს ოსმალეთმა გაუწია ჯერ სომხეთში და შემდეგ საქართველოში შემოსვლის დროს. ბოლშევიკებმა ეს თავისი საზიზღარი ვერაგობა სხვას გადააბრალეს და თავისი თავის გამართლება ამით მოიწადინეს. გაუგებარი და განსაცვიფრებელი აქ არაფერია.

ოსმალებმა კი თავისი წადილი მთელი სამხრეთ-დასავლეთი ანუ სამუსულმანო საქართველოს დაკავების შესახებ უკვე დიდი ომის დროს გამოიჩინეს, ბრესტ - ლიტოვსკის ხელშეკრულებით მოისურვეს, იარაღითაც სცადეს, ნაწილობრივადაც განახორციელეს, შემდეგ იძულებული გახდენ უკან დაეხიათ და რუსეთ - საქართველოს ომის დროს მუხანათურად კვლავ შემოიჭრენ საქართველოში და დაიკავეს ამ გაჭირვების დროს ქართული მიწაწყალი. ესაა ოსმალური ტრადიციული, მზაკვრული პოლიტიკა, რომელიც ჩვენმა ისტორიამ კარგად უწყის. ამ უგბილო პოლიტიკის გასამართლებლად ზვარაკად მიტანილია საქართველოს რესპუბლიკის ყოფილი მთავრობა და მისი ეგრედ წოდებული ხელშეკრულება ანგორასთან. გაუგებარი და განსაცვიფრებელი არც აქ არის რაიმე.

თუ ჟურნალი „კავკაზის" პატრონი, ჰაიდარ ბამატი გვერდში უდგას ოსმალეთს, იზიარებს მის პოზიციას, ამართლებს მას, გასაკვირი აქაც არაფერია. ხოლო ჩვენ ვერ შევრიგებივართ მის დამქაშთა, მის ქართველ თანამშრომელთა საქციელს ამავე საქმეში.

საქართველოს მთავრობამ რაც ჩაიდინა — ეს მის კისერზე მძიმე ლოდათ არის მარად ჩამოკიდებული და იგი წენში ვერ გასწორდება; რა შეიძლება იმაზე მეტი უბედურება, რომ ამან წააგო სახელმწიფო! ჩვენ გვაქვს უფლება ამის გამო მას ქვადაგუნდა ვაკაროთ; ქოქოლა და წყევლაკრულვა ერთი წამითაც არ შევუწყვიტოთ; ჯვარს ვაცვათ მთავრობაც, მისი შტაბიც, მისი მთავარსარდალიც... მაგრამ საქართველოს ყოფილ მთავრობასთან ბრძოლით ავუმხედრდეთ ქართველ ერს;ვებრძოლოთ მის უმაღლეს ინტერესებს; საქართველოს ყოფილ მთავრობასთან ბრძოლაში მახვილი ჩავსცეთ თვით საქართველოს მთლიანობის იდეას; მთავრობას თან გადავაყოლოთ ქართველი ერის უმაღლესი ინტერესიც; გვერდში ამოვუდგეთ ბოლშევიკებსა და ოსმალებს?!?! არა, ბატონო „კავკაზიელებო"! თავი დასაკარგადაც რომ გავიხადოთ; მილიონჯერ მწიკვლი მენშევიკი დაგვიძახოთ; ჩვენ მაინც არ გავიზიარებთ ბ-ნ ავალიშვილის გზას. ვინაიდან ამ გზაზე საქართველოს ინტერესები არაა. საკმარისია ამის თქმა და ამასთან ერთად დავით გურამიშვილის მწარე სტრიქონების გახსენებაც:

„ამ ამბის თქმა გარჩევითა გულმან ამად არ მინება,
ბევრი ავი გამოჩნდების ჩვენი, მაზედ მერცხვინება...
მტერს შაესმის, იამების, მოყვარეს კი ეწყინება,
რასაც ახლა ვამბობ, ვგონებ, ამაზედაც მხვდეს გინება".

*

კაცნო, ძენო ადამისნო, გაიგონეთ კიდევ რა ვთქვა
არჩილ მეფე (1647 — 1712)

„კავკაზი" გახარებულია იმ ახირებული მოვლენით, რომ ეგრედ წოდებული კავკასიური ფრონტის ერთი წევრთაგანი ბ-ნი რასულ ზადე ბ-ნ ავალიშვილს ეკამათება სამუსულმანო საქართველოს შესახებ და მას თურქოფობას მიაწერს.

ჩვენ კარგად გვესმის ბ-ნ რასულ ზადეს მანიოვრი. მას ყველგან თურქოფობები ელანდებიან, ან განზრახ სურს ასეთებად დასახოს ქართველები! ეს მისი ძველი ანგარიშია და ხელსაყრელი გალმა გადავება.

ჩვენ არ დაგვიწყებია ის გეოგრაფიული რუკა, რომელზედაც აზარბაიჯანის საზღვრებში შეტანილია მთელი ბორჩალო, ახალციხე - ახალქალაქის და ბათუმის მხარე; ასე რომ ბაქო და ბათუმი გაერთიანებული იყო აზერბაიჯანის რესპუბლიკის სასურველ საზღვრებში... მეტად კარგად გვახსოვს ის რუკა, მაგრამ დღეს ამას არ ვეხებით და სამერმისოდ გადავსდებთ ამ საკითხს.

ჩვენ ბ-ნ რასულ ზადეს პოზიციას უკვე შევეხეთ ჩვენი ორგანოს ქართლოსის № 6 — 7-ში შარშან, როცა დავახასიათეთ ის ხელოვნური და არა-გულწრფელი ხუხულა, რომელსაც „კავკასიური ფრონტი" ეწოდება და აღვნიშნეთ ამ ფრონტის მორალური და პოლიტიკური უსუსურობა. როდესაც ვინმეს პრეტენზია აქვს კალამს ხელი მოჰკიდოს, მას კიდეც უნდა ახსოვდეს, თუ გუშინ რა დაიწერა და დაიბეჭდა. ეს ეხება, რასაკვირველია, „კავკაზის" ზოგ გულმავიწყ თუ დემაგოგ წრიპინა კალამს...

*

**არ უხდების თხას ლომობა, თაგვს კატობა, ბუს ქორობა,**
**ლორს გვირგვინი, თავს ბისონი, ვირსა სკიპტრის ხელთა პყრობა,**
**ბუ ქორს სტევდეს, კუ ირემსა, მელას ვეფხის წინამძღრობა**
**როგორც ამათ ესე შვენის აგრევ მაჩმალს ფეხამბრობა.**
უცნობი ავტორის მე-17 საუკ.

ბ-ნი ჰაიდარ ბამატი ნამესტნიკის კანცელარიის ყოფილი მოხელეა და მას იქ არავინ გააჩერებდა, რომ რუსული ადმინისტრაციისათვის ფრიად სასარგებლო და გამოსაყენებელი „ჩინოვნიკი" არ ყოფილიყო. მას გათავებული აქვს ეს ნამესტნიკური სკოლა და დახელოვნებულია იმ პოლიტიკაშიც, რომელიც იმჟამად კავკასიის ერთა ურთიერთობასაც ეხებოდა.

რუსული მმართველობის პოლიტიკის ძირითადი ხაზი იყო: კავკასიის ერების ერთიმეორეზე მისისიანება, გადაკიდება; მათ შორის ღვარძლის თესვა და შფოთის ჩამოგდება. სადავო საკითხი ყოველთვის მოიპოვებოდა, ხოლო შერიგების მაგიერ სანამესტნიკო დაწესებულებანი დავასა და ჩხუბს იწვევდენ. და როცა ასეთი სადავო საკითხი არა ჩნდებოდა, მაშინ მას ხელოვნურადაც ჰქმნიდენ და დაბეზღების, ჭორის თუ ეჭვების საშუალებით დაძაბულსა თუ სომარი მდგომარეობის შექმნას ხელს უწყობდენ. ამ საქმეში ბ-ნ ბამატი უსათუოდ დახელოვნებული და გამობრძმედილი მოღვაწეა და თავისი ორგანოს „კავკაზის" ფურცლებზე ნამესტნიკის კანცელარიაში მიღებულ დიპლომს არამც თუ არცხვენს, არამედ ბრწყინვალებით ატარებს.

„კავკაზის" დანიშნულებაა ჭორით, დაბეზღებით, ეჭვებით კავკასიელი ერები ერთმანეთს გადაჰკიდოს. შეუძლებელია სხვაგვარად ვიფიქროთ, რადგან ამისი დასამტკიცებელი საბუთი არა ერთი და ორია. მაგალითისათვის დავასახელოთ „კავკაზის" თებერვლის ნომერში მოთავსებული ხალილ - ხას - მამედის წერილი, რომელიც შინა-კავკასიურ საზღვრების საკითხსა და „ქართლოსი"-ს ეხება.

საინტერესო არ არის „კავკაზის" ცილისწამება, თითქო „ქართლოსი" მენშევიკების წაქეზებით ებრძოდეს ბ-ნ ბამატსა და მის ავანჩავანს. „კავკაზის" შინჭრაქა პოლიტიკოსების ამგვარ ცილს არავითარი საფუძველი და გასაქანი არა აქვს, და თუ ვინმეს სურს განგებ თავი მოიტყუოს, ეს მისი პირადი გონებრივი და ზნეობრივი ავლადიდების საქმეა და მას ჩვენთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

„კავკაზის" თანამშრომელი ხალილ-ხას-მამედი ვიღაც ბოროტ ჭორიკანას დაურწმუნებია, თითქო ქართლოსს, მენშევიკების კარნახით, საქართველოს შინა-კავკასიური საზღვრების საკითხი წარმოედგინოს. იგი სწერს: ნაციონალისტებმა „საჭიროდ ჩასთვალეს თავის პრესაში შეხებოდენ კიდევ ერთ დელიკატურ თემას, სახელდობრ კავკასიის შიგნით ერთა შორის გამიჯვნის საკითხს"......

რასაკვირველია, ქართლოსის არც ერთი ნომერი ასეთ საკითხს ჯერ არ შეხებია. მაშ რად დასჭირდა ბ-ნ მამედს თუ მის ჩამგონებელს, ან თვით რედაქციას, რომელიც ასეთ ცნობას ბეჭდავს, ამ ჭორის გავრცელება? მხოლოდ იმიტომ, რომ ასტეხოს დავიდარაბა, აშალოს ვნებათა ღელვანი, გადაჰკიდოს ყველა ერთმანეთს, ანუ მოკლედ: განახორციელოს ნამესტნიკის ცნობილი პოლიტიკა, ანუ ამით დაარწმუნოს კავკასიის ერები, რომ მათ მორიგე-

ბითა და თანხმობით ერთად ცხოვრება არ შეუძლიათ. ... ამიტომ.... ამიტომ იქნებ ვიფიქროთ რომელიმე სხვა შემრიგებელზე, შემათანხმებელ ძალაზეო.... ეჭვები ღრმავდება, თავისთავის იმედი შესუსტდება და დაიბადება წადილიც სხვაზე შევაჩეროთ თვალი. ამ „სხვას“ ბ-ნი ბამატი მოგვიყვანს მერმე!

მაგრამ „კავკაზი“ ზემოაღნიშნული ზოგადი ცილისწამებით არ კმაყოფილდება! მკითხველი რომ უეჭველად შეაცდინოს და დააჯეროს, მან კიდეც უნდა დაასახელოს გარკვეული მოვლენა და თუ ასეთი მოვლენა არ არსებობს, უნდა გამოიგონოს იგი! ამიტომ ხას – მამედს „კავკაზი“ შემდეგსაც აწერინებს:

„ინტეგრალური ნაციონალისტების ბეჭდვითი ორგანო „ქართლოს“-ში მოთავსებულია სხვათა შორის შემდეგი: „კავკასიის ეხლანდელი საზღვრების და აგრეთვე არსებული „სტატუს ქვო“ს აღიარება ნიშნავს არა მხოლოდ აუცილებელ უარს კავკასიის ტერიტორიის ცნობილ ნაწილებზე, არამედ თვით წიგნით კავკასიაში სულელურად გაყვანილ ეროვნულ საზღვრების დამტკიცებასაც: მაგალითად, საქართველოს ერთი ულამაზესი ნაწილი, ზაქათალის დიდი ნაწილი მიეკუთვნა აზერბაიჯანს და სხვა“.

ასე სწერს „კავკაზი“, მაგრამ ასე არ დაგვიწერია ჩვენ; საერთოდ არაფერიც არ დაუწერია ქართლოსს ზაქათალის ანუ საინგილოს შესახებ! მაშ საიდამ მოიტანეს ეს ამბავი და რატომ შეთხზეს ასეთი ცილისწამება — ულამაზესი ზაქათალის — შესახებ! (მოდი და ნუ დაიჯერებ: ეპიტეტიც არ აკლია!).

მაგრამ ეს ცოტაა. ბ-ნი ბამატი ამას უმატებს ერთ საინტერესო ამბავსაც. მისი თქმით, საინგილოზე პრეტენზიები ჰქონია აგრეთვე ჩრდილო კავკასიასაც! სიტყვა-სიტყვით ასე: „... ჩრდილოეთი კავკასია, რომელსაც, რასაკვირველია, აქვს არა ნაკლები უფლებები ზაქათალაზე, ვინემ აზერბაიჯანს და საქართველოს“...

არ გავიწყებია ის ამბავი, რომელიც „კავკაზმა“ გაავრცელა აზერბაიჯანის შესახებ, თითქო იგი სპარსეთს ედავებოდეს ტერიტორიებს, და ამ ჭორის შემდეგ თვითონვე დიდათ გულმტკივნეული ჭკუას არიგებდა მას: არ შეიძლება ვიდავოთ, უნდა დავთმოთ, ირანი მეგობრად უნდა გავიხადოთო და სხვა. ახლა თურმე ჩრდილოეთი კავკასია დავობს ზაქათალის შესახებ! ასე ხელოვნურად ჰქმნის ბ-ნი ბამატი სადაო საკითხებს და რასაკვირველია, მისი ამგვარი მოღვაწეობისათვის სხვა სახელი არ არსებობს: იგი პროვოკატორულია!

ჯერ ჩვენ არ წარმოგვიდგენია შინა-კავკასიური საზღვრების საკითხი, მაგრამ დროზე ბ-ნი ბამატი ამის შესახებაც დასაბუთებულ სიტყვას მოისმენს.

*

**ძმანო, არ ძალმიძს პასუხი არ მწარედ, არცა ტკბილადა**
**თეიმურაზ მეორე (1700 — 1761)**

„დამოუკიდებელი საქართველოს“ მუდმივი თანამშრომელი ბ-ნი ივანიცკი - ინგილო მეტად გაუბრაზებია იტალიელის, ინსაბატოს წერილს, რომელიც საქართველოსა და კერძოდ ბ-ნ ნ. ჟორდანიის წინააღმდეგ არის მიმართული. ჩვენ სავსებით ვიზიარებთ ბ-ნ ინგილოს აღშფოთებას ბ-ნ ინსაბატოს ყოფაქცევის გამო, რომელსაც არ ეკითხება ქართულ დაჯგუფებათა-შორისო ურთიერთობანი არჩიოს, მით უმეტეს, როცა ეს მისი „სიკეთე“ ყალბ ცნობებზეა დამყარებული. სხვათა შორის, ბ-ნ ინსაბატოსთან დავის დროს ბ-ნი ინგილო იტალიელ მკითხველებს უხსნის და განუმარტავს იმ ამოცანასაც, რომელიც ემიგრაციას ევალება. ამ ახსნა-განმარტების დროს იგი შემდეგსაც ამბობს:

„აქ — საზღვარგარედ — მებრძოლი საქართველო წარმოდგენილი არის, როგორც ეს საყოველთაოდ ცნობილია, მის კანონიერ მთავრობის მიერ, რომლის ირგვლივ — განმათავისუფლებელი ბრძოლის წარმატების წარზიდვის მიზნით — თავს იყრიან ყველა ქართული პოლიტიკური მიმდინარეობანი, უკიდურეს მონარქისტებით დაწყებული და გათავებული სოციალდემოკრატებით“-ო.

ბ-ნი ინგილო აქ სცდება, თუ იგი ჩვენს მიმართულებას გულისხმობს. მან ალბათ „კავკაზის“ ჭორიკანა პოლიტიკოსებს დაუჯერა, მათ მიერ დარხეული ჭორი სიმართლედ მიიღო და გაიზიარა, თორემ ეცოდინებოდა, რომ ჩვენი მიმართულება არავისთან „თავს არ იყრის“, არავის კუდში არ მისდევს... ეცოდინებოდა აგრეთვე, რომ სხვისი „ჭკუით“ სიარული, სხვისი ჩვენებით დავლური, სხვისი საზრდოთი ცოხნა ქართველი ერის ინტერესების საზიანოდ (და ამის გამო ვეწინააღმდეგებით მათ!, თორემ განა ცოხნის დაშლა შეიძლება?!) სწორედ „კავკაზის“ თანამშრომლების საქმეა და ჩვენ მათ არავითარ შემთხვევაში არ შევეცილებით, „მრავალჯერ გვითქვამს კვლავ დია“....

ბ. ბებურიშვილი

# ბიბლიოგრაფია

**ექ. თაყაიშვილი: „არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ - სვანეთში ათასცხრაასათ წელს“**, პარიზი, 37 წ.

ღრმად პატივცემული და დამსახურებული მოღვაწე - მეცნიერის ბ-ნ ექვთიმე თაყაიშვილის მოწოდებამ ნაყოფი გამოიღო და ემიგრაციამ თავისი ღარიბი სახსარით გამოსცა ზემო-დასახელებული დიდი თხუზულება, 440-გვერდიანი წიგნი. 27 წლის განმავლობაში გაუხძრევლად დადებული მასალა ემიგრაციამ თავის სასახელოდ მზეზე გამოიტანა და ქართულ მეცნიერებას უნივერსიტეტის დაარსების ოცი წლის თავზე, ძვირფასი საჩუქარი მიართვა.

ბ-ნი ექვთიმე თაყაიშვილი დიდათ ცნობილი, დიდი ჩვენი არქეოლოგია; რამდენი რამ ქართული ისტორიიდან გადაურჩა დაღუპვას ბ-ნ ექვთიმეს წყალობით! რამდენი რამ დაკარგულად ჩათვლილი მიუბოძა მან ქართულ მეცნიერებას; რამდენი რამ უჩინო საჩინოდ გახადა; რამდენი ღვაწლი დასდო მან ქართული კულტურის ისტორიას; მაგრამ ჩვენ ხომ აქ ბ-ნ თაყაიშვილის მოღვაწეობას არ ვაფასებთ!

ზემოაღნიშნული მისი შრომა ერთი იმ შრომათაგანია, რომელიც საქართველოს წარსულს მცხინვარებით დღეს თვალწინ გვიშლის და გვიკითხავს. ბ-ნ თაყაიშვილს აქ აღწერილი აქვს პირველად ლეჩხუმის სოფელთ ყველა ეკლესია და მისი განძეულობა; შემდეგ ქვემო-სვანეთის; მერმე თავისუფალი სვანეთისა და ბოლოს სათავადო სვანეთის; აღწერილია თითოული ეკლესია, მისი კანკელი, ჯვარნი, ხატები, წარწერები, ხელნაწერები და სხვა და სხ. რაც ქართული კულტურის ისტორიას ეკუთვნის. თუ რამდენად მნიშვნელოვანია ყველაფერი ეს, ჩვენ ამაზე არ შევჩერდებით. ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთმა გარემოებამ, რომელსაც უგულებელ ვერა ვყოფთ. გაგვიგონია და წაგვიკითხავს კიდეც, რომ ლეჩხუმ-სვანეთი შინაობის დროს, ქართული განძეულობის სავანე იყო და თუ ეს ასეა, მაშ სვანეთში ბევრი განძი უნდა მოიპოვებოდეს; მაგრამ სჩანს, რომ ეს ასე არა ყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ცენტრიდან მოტანილი ნივთები იქ მოიპოვება, მაინც სჭარბობს ადგილობრივი. სწორედ ეს ადგილობრივი ხელოვნება არის მეტად საინტერესო. მრავალი ეკლესია, ხატი თუ ჯვარი, რომელსაც ავტორი აღგვიწერს, არის სვანური ხელობისა. და ხშირად როგორი მდარე და ტლანქიც არ უნდა იყოს ნახელავი, მაინც იმას მოწმობს, რომ არსებობდენ სვანი ოქრომჭედელნი, სვანი მხატვარნი, სვანი ხუროთმოძღვარნი და სხ. ყველა ეს ხელობა სვანეთში ფართოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული, ვინაიდან ეკლესიათა რიცხვი გვიჩვენებს, რომ მოთხოვნილება ყველა ამ ხელობისათვის საკმაოდ დიდი უნდა ყოფილიყო. ამ სვანური ხელოვნებისა და ხელობის

უმაღლესი განვითარება მიღწეულია, როგორც დანარჩენ მთელ საქართველოში, მე-12 — 13 საუკუნის გასწრივ. ოლონდ შემდეგ იწყება მათი დაქვეითების ხანა. ყველაფერი ეს ნათლად მოსჩანს ბ-ნ თაყაიშვილის მიერ შესრულებული აღწერიდან, და ამ მოვლენამ ჩვენზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა. ბ-ნ თაყაიშვილის შრომის წაკითხვის შემდეგ ჩვენ მივიღეთ ის დასკვნა, რომ ქართული კულტურა ძლიერი და დიადი ყოფილა საქართველოს სამეფოს ერთიანობის დროს, როცა ყველა კუთხე ერთი ხელმძღვანელობის ქვეშ, ერთი მიზნით აღჭურვილი, მოღვაწეობდა და ჰქმნიდა იმ დიდ ღირებულებებს, რომელიც დღეს თანდათანობით ისტორიის სინათლეზე გამოდის. საქართველოს სამეფოს მთლიანობის დარღვევასთან ერთად საფუძველი ეშლება მძლავრი კულტურის შექმნას და ამხედრებული შემოქმედება ქვეითდება.

ბ-ნ თაყაიშვილის ეს ძვირფასი შრომა გვიჩვენებს კიდევ, თუ რაოდენ დიდი იყო ეკლესიის როლი ქართული კულტურის შემოქმედებაში და განვითარებაში; რომ მეფენი და მღვდელმთავარნი ქართული კულტურის შემოქმედების ასპარეზზე იყვნენ ერთზრახვა, ერთსულ და ერთნება.

სამწუხაროდ, ჩვენ არ ძალგვიძს შევეხოთ იმ მრავალ საკითხს, ხელოვნების საგანთა დათარიღების გამორკვევას, წარწერების გარკვევას, ისტორიული დატების დადგენებას და სხვა და სხვა განსაკუთრებულ საკითხებს, რომელთაც სწავლობს და გვიხმარტავს ჩვენი მხცოვანი მეცნიერი. ამ საკითხებზე წერა სპეციალისტების საქმეა და ამ სპეციალურ ლიტერატურაში ბ-ნ ექვთიმე თაყაიშვილის ეს შრომა ფასდაუდებელია. ჩვენ გვსურს ვუსურვოთ ჩვენ მხცოვან მეცნიერს დღეგრძელობა და თავისი სახელოვანი და უანგარო სამსახურის გაგრძელება.

ან. ქვლივიძე

ს. გოგობერიძე: „ბრძოლა სამშობლოსათვის", პარიზი, 1938 წ.

ინტერესით წავიკითხეთ ზემოდ დასახელებული წიგნი (140 გვ.) მას შემდეგ, რაც ავტორმა წინასიტყვაობაში გვამცნო, რომ მისი შრომა მოგონებას წარმოადგენს. ისტორიულ საბუთთა შორის მოგონება უძვირფასესი მასალაა სინამდვილის აღსადგენად და მოვლენათა დასაფასებლად. მაგრამ მოგონება უნდა იყოს მოგონება ესე იგი აღწერა იმ ამბებისა, რომელშიდაც თვით ავტორს მიუღია მონაწილეობა. ბ-ნ ს. გოგობერიძის ნაშრომი მოგონება (ამ სიტყვის მნიშვნელობით) არ არის; იგი ამ ფარგლებს სცილდება, და მისი წიგნი უფრო წარმოადგენს ისტორიას, კრიტიკულ აღწერას, მონაყოლის გადმოცემას. ამბავი იწყება 1921 წლიდან, მოკლედ გადმოცემულია ის გარემოება, რომელიც შეიქმნა საერთოდ საქართველოში და კერძოდ გურიაში ბოლშევიზმის დამყარების შემდეგ; გადმოცემულია იმ სულიერი წინააღმდეგობის აღმავლობის დასაწყისი, რომელიც ხალხში შეიქმნა ბოლშევიზმის მიმართ. ავტორი ამ განვითარების მოკლე აღწერას მისდევს და შემდეგ მივყევართ 1924 წლის აჯანყებასთან. აქ ჩვენ თვალწინ იშლება სურათი მზადებისა, ბრძოლის და დამარცხებისა. ავტორი სამართლინად აღტაცებულია ქართველი ხალხის ბრძოლის სურვილით და ნებისყოფით. ამასთან ერთად ავტორი გარკვეულ დაფასებასაც იძლევა აჯანყების შესახებ და ფიქრობს, რომ საააჯანყებო გეგმის შეუსრულებლობა გურიაში „დამკომის" ბრალიაო.ასეთი დაფასების საბუთებს ჩვენ თვით წიგნში ვერ ვხვდებით და ამიტომ ძნელია მისი მიღება ან სავსებით უარყოფა. საჭიროა კიდევ სხვა მრავალი მასალა ამ საკითხის გასაშუქებლად და ამ მხრივ ბ. ს. გოგიბერიძემ მხოლოდ ერთი ქვა მოიტანა საკითხის შესწავლისათვის. ავტორი სამართლიანად ფიქრობს, რომ საჭიროა ყველამ, დიდმა და პატარამ, „მოიგონოს და დასწეროს მიუდგომლად, რაც მან უშუალოდ ნახა ჩვენი დაღუპვის დროს თუ შემდეგ".

ჩვენ ვერ ვიტყვით, თუ რამდენად სწორად არის აღწერილი ამბები და არის თუ არა ზუსტი, ან გამშვენიერებული. ამ მხრივ სიტყვა სხვა მომგონებელთაც ეკუთვნის.

ბ. ს. გოგიბერიძე აჯანყებას ამართლებს, ამართლებს ისტორიული რეტროსპექტივით და ფიქრობს, რომ ისტორიას ჰქმნის არა მტერთან შერიგებული, „ჭკვიანი", „ანგარიშიანი" ნაწილი, არამედ „გიჟი", „უანგარო", „წინდაუხედავი", გაუტეხელი, აჯანყებული... ამ საკითხზე დავა შეიძლება. ვიტყვი მხოლოდ, რომ ერის ორივე ნაწილის, შერიგებულის და შეურიგებელის, არსებობა აუცილებელია. ერს არ შეუძლია დაადგეს მთლიანად რომელიმე ერთ გზას; ასეთ შემთხვევაში იგი დაიღუპება. ეროვნული პასიური და აქტიური ბრძოლა ერთმანეთს ენაცვლება პირობებისა და ვითარების მიხედვით. ამიტომ პრინციპიულად მისაღები არაა ორთაშორისო საკითხის დასმა: მტერთან შერიგება ან აჯანყება! მტერთნ შერიგება არ შეიძლება იყოს სამუდამო, არც აჯანყება შეიძლება იყოს მუდმივი! ყველა ეს დროსა და ვითარებაზეა დამოკიდებული...

შ. მაღლაკელიძე

ვ. ჩუბინიძე: მოგონება, 1905 წლიდან 1921 წლის 15 მარტამდინ; პარიზი, 1938

სჩანს მომწიფდა სურვილი წარსულ ამბავთა გარდმოშლისა, დაიბადა წადილი თავგადასავალის მოგონებათა შესახებ, — და შედეგად ჯერჯერობით მივიღეთ ორი გამოცემა: ერთი — ბ-ნ ს გოგიბერიძის და მეორე — ბ-ნ ვ. ჩუბინიძის; ორივე წიგნს არსებითად ერთი მთავარი მიზანი ახასიათებს: გასრულ ამბავთა აღწერის დროს იმ პოლიტიკის გამართლება, რომელსაც მათი პარტია, სოციალდემოკრატიული, მისდევდა; მართალია, ბ-ნი გოგიბერიძე ვითომ კრიტიკასაც ეწევა, მაგრამ ამ ზოგად კრიტიკას ჰფარავს პარტიისათვის ის მოხერხებულად განლაგებული ხოტბა, რომლითაც მთელი მისი წიგნი სუნთქავს; ბ-ნ ჩუბინიძის მოგონებაში კი ეს ხოტბა სიტყვიერად და ხმამაღლად არის ნაგალობევი, — და ყოველი მოქმედება თუ პოლიტიკა პარტიისა გამართლებული.

ყოველ მოგონებაში ჩვენ გვაინტერესებს ამბები, ფაქტები, მათი მიმდევრობა, განსაკუთრებით ყოველდღიური და დამახასიათებელი, რომელიც ოფიციალურ საბუთებში არ ხვდება და ცხოვრების სინამდვილეს კი წარმოადგენს; მომგონებლები კი უმთავრესად ეტანებიან დიდ ამბებს და აფასებენ მათ, მაშინ როცა ამ მსხვილ და დიდ ამბავთა დამწერნი და დამფასებელნი სამართლიანად სხვები უნდა იყვნენ. მაინც მოგონებათა გამოქვეყნება, რაგინდ მიკერძოებული არ უნდა იყვნენ ისინი, მეტად სასარგებლოდ მიგვაჩნია, ვინაიდან გამოჩნდებიან სხვებიც, რომელნი ნაკლს შეავსებენ, მოვლენების გადმოცემას შეასწორებენ და შედეგად ფაქტების დადგენას ხელს შეუწყობენ.

ძალიან საინტერესოა ბ-ნ ვ. ჩუბინიძის მოგონება, მაგრამ ეტყობა, ავტორი მეტად ძუნწია და მოვლენებს არა ჰშლის, არ ანვითარებს, არამედ პირიქით, ხელოვნურად ჰკუმშავს, ავიწროებს და ქრონიკის ხასიათს აძლევს.

ამ მოგონებაში ჩვენი გულისყური მიიპყრო ჭიათურის ამბებმა, რომლითაც ბ-ნ ჩუბინიძის მოგონება იწყება. მართალია ის იმ ხანის აქტიური მომქმედი არა ყოფილა, მაგრამ მის წინარე დროის ამბებს მაინც გადმოგვცემს. ავტორი ახასიათებს ჭიათურის შავიქვის მრეწველობაში შექმნილ ვითარებას. ჩვენთვის ეს დახასიათება მით არის საყურადღებო, რომ იმჟამად, მეორე საუკუნის დასაწყისში, კაპიტალმა დაიწყო ამუშავება ჭიათურაში და თავიდანვე უცხო კაპიტალი, უფრო სხვილი და მაგარი, ადგილობრივ წვრილ კაპიტალს დაუპირისპირდა. ადგილობრივი კაპიტალი „დაგროვებისა" და „მომჭირნეობის" ხანას განცდიდა და მუშათა მდგომარეობაც სახარბიელო არ იყო, მით უმეტეს, რომ უცხო კაპიტალი არა კონსრუქტიული, არამედ კოლონიური ხასიათის აღმოჩნდა. ადგილობრივი ქართული კაპიტალი და უცხო კაპიტალი ერთი მეორეს სასტიკ მეტოქეობას უწევდა, — ქართულს

სურდა უცხოს განდევნა. ამ მხრივ მოგონებაში აღსანიშნავია ძუნწად გადმოცემული ცნობა, რომ მჴედელმა გედეონ ჩუბინიძემ „ბევრი მიწა-ადგილი სადავოდ გამოაცხადა, ამით გაყიდვას გადაარჩინა“ და უცხოელებს არ ჩაუგდო შავქვიანი მიწებიო და გლეხების თქმაც, რომ გედეონ ჩუბინიძემ მიწები „გაყიდვას გადაარჩინა და ჩვენც დიდი სარგებლობა მოგვცაო“ — ჭეშმარიტებაა. ახლა ვინ იყვნენ ეს მუშები ჭიათურაში? მესამე დასელების ანუ სოციალ-დემოკრატების მიერ ეს ეგრედ წოდებული პროლეტარიატი? მუშები იყვნენ ადგილობრივი გლეხები, რომელნიც სოფლებიდან დროებით მოდიოდენ სამუშაოდ; გლეხებს დროებით მაღაროებში შესვლა მუშებად არ გადააქცევდა და ცხადია, მათი მუშაობის პირობების გაუმჯობესებაც არც ისე ადვილი იქნებოდა. უკმაყოფილება, რასაკვირველია, უნდა ყოფილიყო, როგორც ნივთიერი, ისე სულიერი. გლეხის მაღაროში შეყვანა იოლი არაა — ეს გადასვლა მუშის პროფესიაზე დიდ ტკივილებს იწვევს და თუ ჩვენი გლეხები მაინც იძულებული იყვნენ უსახსრობის გამო დროებით მაღაროში თავი შეეყოთ, ამით მათი განწყობილება კაპიტალისადმი უსათუოდ მტრული უნდა გამხდარიყო და ასეც მოხდა. ის აჯანყება, რომელიც 1903 წელს ჭიათურაში დატრიალდა, იყო ანტიკაპიტალისტური მოვლენა, უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, კაპიტალიზმის დაწყების წინააღმდეგ მიმართული მოძრაობა. ჩვენ ეს ამბავი აჯანყებისა ისე არ გვესმის, როგორც ავტორს, რომელსაც ჰგონია, რომ ეკონომიური მოთხოვნილებებით განისაზღვრებოდა იქ მაშინ მომხდარი გაფიცვა, — ეს გაფიცვა და მასთან ერთად აღმოხეთქილი აჯანყებაც სწორედ ანტიკაპიტალისტური იყო. ავტორი ამ ამბებს ხსნის უბრალო ეკონომიური გაფიცვის აუცილებლობით, „როცა ჭიათურის ყველა მადნის მუშამ და ჩალვადარმაც დიდ გაფიცვაში მონაწილეობა მიიღო, დაირაზმა, სასწორები დაწვა, კანტორებიც მილეწ-მოლეწა“ და ეკონომიური მოთხოვნილებები ხელფასის გადიდების შესახებ წარადგინაო.

ამ ამბავთან დაკავშირებით ჩვენ გვწადია გავიხსენოთ, რომ თვით ქართველი მრეწველები იღებდენ ამ ჯანყში მონაწილეობას უცხო კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, — საერთოდ კი იგი იყო პროტესტი კაპიტალიზმის დაწყების წინააღმდეგ მიმართული და მოგვაგონებს ლადდისტურ მოძრაობას, რომლის დროს ახლად დადგმული მაშინები იქმნა დალეწილი. ამ მცირე ანალიზით ვასრულებთ ჩვენ ამ საინტერესო მოვლენას. ბ-ნ ჩუბინიძეს რომ ასე მოკლედ აქვს აღნიშნული.

ჭიათურის გლეხი - მუშები (და არა მუშები), გლეხები, რომელთაც მიწა აკლდათ და ჭიათურაში დროებით სამუშაოდ მოდიოდენ, გახდენ სოც.-დემ.-ის ქადაგების გამტარებელნი სოფლად და 1905 წლის ამბებს ვესწრებით. მერმე დიდი ომი, რევოლუცია, დამოუკიდებლობა და ბოლშევიზმი.

მოგონებათა ავტორი ძველი გამოცდილი ჯარისკაცია, რომელმაც მსოფლიო ომში გმირულად და დაჯილდოებულად ოთხი წელიწადი გაატარა, მაგრამ ამასთან იგი მენშევიკი იყო და ამიტომ ბუნებრივაა, რომ მას რევოლუციის ხანაში დაარსებულ გვარდიაში ამოეყო თავი.

როგორც გვარდიელს, ავტორს დღემდე გამოჰყოლია ერთგვარი მტრული თუ მრუდი განწყობილება ჯარისადმი, რაც გამოსჭვივის გვარდიის წარმატებითა და ჯარზე წკიპურტით. დრო კია ამ შემთხვევაშიც მიუდგომლობა გამოიჩინოს ადამიანმა. გვარდიაში შესვლიდან, ავტორის მიერ იწყება მეტად მოკლედ ამბავთა აღწერა, რაც მის გვარდიულ ჯგუფს თავს გადახდენია. ამ ამბავთა შორის ჩვენი ინტერესი მიიპყრო მაშინდელ აჯანყებათა საკითხმა. ავტორი დარწმუნებულია, რომ დემოკრატიული რესპუბლიკის დროს, სადაც კი აჯანყება მოხდა, იქ მეთაურებად იყვნენ ან ბოლშევიკები, ან დუქნის მცარცველები, ან მკვლელები, ან სტრაჟნიკები და სხ.. რასაკვირველია, არეულ დროში ესენიც დიდ მონაწილეობას ღებულობდენ აჯანყებებში, მაგრამ იმ მრავალ აჯანყებათა, საქართველოში ყველგან რომ დაიწყეს, ამ მიზეზით ახსნა შეუძლებელია. იმ აჯანყებებს უფრო ღრმა და მნიშვნელოვანი მიზეზები ჰქონდათ, და არც ვფიქრობთ, როგორც ეს ავტორს თუ მის ამხანაგებს წარმოუდგენიათ, რომ ეს ქართული ვანდეა იყო. ვანდეა საქართველოში არა ყოფილა და არც შეიძლება ყოფილიყო.

ავტორი კვალდაკვალ მისდევს ყველა ომს, აჯანყებას, შეტაკებას, რომელშიც მას მონაწილეობა მიუღია და მეტად მოკლედ გვაცნობს ამბებს, რომელთა გახსენება არც სხვებისათვის იქნება საზიანო, განსაკუთრებით იმ შემთხვევისათვის, თუ მომგონებელს კრიტიკის უნარი აქვს და გასრულ ამბავთა დაფასებაც დღეს უკვე მიუდგომელად შეუძლია.

ბ. ვარდანი

## ვეფხის ტყაოსანის გარშემო

### ბ. გიორგი გვაზავას მოხსენება ვეფხის ტყაოსანზე

ა/წ 18 ივნისს ბ. გ. გვაზავა გამოვიდა მოხსენებით შოთა რუსთაველის უკვდავ პოემა „ვეფხის ტყაოსანის“ შესახებ. ბ. გ. გვაზავა მჭერმეტყველია და მისი თავისუფალი და სადა ბაასი საამური იყო. ბ-ნმა გვაზავამ სთარგმნა „ვ. ტ.“ ფრანგულად და ვფიქრობთ, ყოველი აზრი, ყოველი სტრიქონი და ყოველი სიტყვა შესწავლილი აქვს და გაგებული. მან ნათლად გადაგვიშალა თვალწინ ის დიდი სივრცე, სადაც რუსთაველის გენია დაჰქრის და პოემის მრავალ მხრივი მნიშვნელობა მსოფლიო მწერლობაში ცხადჰყო. ჩვენ აქ ნებას მივსცემთ ჩვენს თავს გამოვსთქვათ მხოლოდ რამოდენიმე აზრი, რომელიც ეწინააღმდეგება მომხსენებლისას და მის მიერ გარჩევას ზოგიერთ ტაეპისას არ ეთანხმება.

ბ. გვაზავამ სთქვა: მე-18 ტაეპი არ გადავთარგმნე, რადგანაც მე ის ყალბად მიმაჩნიაო: რაცა ვის რა ბედმან მისცეს... ხოლო მე-17 ტაეპი კი „თვალთა მისგან უნათლოთა... შოთასად აღიარა.

გვგონია, რომ ეს წინაუკმოდ არის; სწორედ მე-17 ტაეპია საეჭვო და მე-18 კი უეჭველად შოთას უკუთვნის. ამ აზრის ნათელსაყოფად გავარჩიოთ თითოეული მათგანი.

მე-17 ტაეპი:

თვალთა მისგან უნათლოთა ენატრამცა ახლად ჩენა;
ეჰა, გული გამიჯნურდა, მიხდომია ველთა რბენა!
მიაჯეთ ვინ! ხორცთა დაწვა კმარის, მისცეს სულთა ლხენა
სამთა ფერთა საქებელთა ლამის ლექსთა უნდა ლევნა.

ეს ტაეპი ცოტა გაუგებარიც არის და შოთას აზრსაც სავსებით ეწინააღმდეგება.

შოთა. ეგ სიყვარულის, მიჯნურობის კანონმდებელი, ამბობს:

არს პირველი მიჯნურობა არ დაჩენა ჭირთა მალვა
ესე იგი მიჯნურმა არ უნდა გამოიჩინოს, რომ ტრფიალია და ჭირი, ტანჯვა-წუხილი მით გამოწვეული უნდა დამალოსო.

ხამს თავისსა ხვაშიადსა არვისთანა ამჟღავნებდეს...
ესე იგი თავის საიდუმლოს არავის უმხელდეს.

არსით უჩნდეს მიჯნურობა, არასადა იფერებდეს...
ესე იგი არ უნდა გამოაჩნდეს მიჯნურობა, არ უნდა შეიფეროსო. და ასეთი მასწავლებელი, ასეთნაირად განმმარტებელი მიჯნურობისა, ამ მე-17 ტაეპში, თვით იძახის: აჰა, გული გამიჯნურდა..., მიაჯეთ ვინ! და სხვა. ეს არ არის შოთას შესაფერისი, ეს მას არა ჰგავს და საფიქრებელია, რომ ეს ტაეპი ან დამახინჯებულია, ან სრულებით არ ეკუთვნის შოთას და ჩამატებულია.

სულ სხვაგვარად უნდა განიმარტოს, ჩვენის აზრით, მე-18 ტაეპი, ვიდრე ამას მმარტავს ბ-ნი გვაზავა. ეს ტაეპიც გავარჩიოთ სიტყვა-სიტყვა.

რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს:
მუშა მიწყივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს;
კვლავ მიჯნურსა მიჯნურობა უყვარდეს და გამოსცნობდეს,
არცა ვისგან დაეწუნოს, არცა სხვათა უწუნობდეს!

ბ. გვაზავამ ყველა ამ ტაეპში ჩამოთვლილი: მუშა, მეომარი და მიჯნური პროფესიონალებად გამოიყვანა და სწორედ მეტად სასაცილო სურათი დაგვიხატა, თბილისში, ქუჩაში გამოწკიპული ჩაუქი მოყმისა, რომლის პასუხი შეკითხვაზე, თუ რა ხელობის ხარო, იქნებოდა: მიჯნური გახლავარ, ბატონოო! ასეთი ახსნა ამ ტაეპისა არ უნდა იყოს სწორი. აქ სრულიად არ არის ლაპარაკი ხელობაზე, პროფესიაზე. „ბედმან მისცა" აქ ნიშნავს იმ გარემოებას, რომელშიდაც ცხოვრებამ მოახვედრა კაცი. შოთა მოქმედების, გამრჯელობის, შრომის, ბრძოლის მომხრეა. ყოველი მის მიერ აღწერილი პიროვნება პოემაში, მოქმედია, მებრძოლი. ერთს ვერ ნახავთ უსაქმოს, უმოქმედოს. შოთა ამბობს, დასჯერდით იმას, რაც ბედმა მოგცა ესე იგი იმ მდგომარეობაში, რომელშიდაც მოხვდი, იმოქმედე, იშრომე, იბრძოლე; შენი საქმიანობის დარგში შენ საქმეს ეწიე.. მიწის მუშავ, გულმოდგინეთ იშრომე, იმუშავე; მეომარო, გულადათ იყავ და მზად შენს სადარაჯოზე, აასრულე შენი მოვალეობა მხედრისა. ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რაც ზოგიერთს ჰგონია, ვითომ შოთა ყველას ერთ გაყინულ წერტილზედა სტოვებს და არ აძლევს ნებას მიიღოს ზომები თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ასეთს დახშულ აზროვნებას ვერ შევწამებთ გენიოს მწერალს, უდიდეს ჰუმანისტს, მქადაგებელს გლახაკთათვის საჭურჭლის დარიგებისა, მონების განთავისუფლებისა და ქალ - კაცის სრულუფლებიანობისა. ის მხოლოდ წინააღმდეგია ანარქიისა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ადამიანთა მოქმედებაში, სადაც ყოველი კაცი იმას აკეთებს, რაც მისი საქმე არ არის!

რაც შეეხება მიჯნურობას, აქ, რა თქმა უნდა, არც ხელობაზე, პროფესიაზე არ არის ლაპარაკი. რა საჭიროა ძებნა იმისი, რაც არ არის, თითქო ნათლად არ იყოს ნათქვამი: კვლავ მიჯნურსა მიჯნურობა უყვარდეს და გამოსცნობდეს! გამოსცნობდეს ესე იგი ეძიებდეს მის დასაბამს, მის შინაარსს, მის ხასიათს; მის კარგსა და ავსა სწავლობდეს, გამოიცნობდეს მის საიდუმლოს; არც მას დაუწუნოს ვინმემ (თუ გაუგეს), არც თვითონ დაუწუნოს სხვასა; პირიქით, პატივით, სიყვარულით, თანაგრძნობით ეპყრობოდეს სხვის გრძნობას და სხვაც ამგვარადვე უნდა ეპყრობოდეს მის გრძნობას.

აქ, ამ ტაეპში ყველაფერი რუსთველურია, ყველაფერი ის არის, რაც შემდეგ მთელ პოემაში გატარებული და დაცულია — უმთავრესად მოვალეობის შეგნება.

ავთანდილი, სპასპეტი — დიდი კაცი, მისი სატრფოს მიერ სიყვარულითვე და სრული თანაგრძნობით დაჯილდოებული, ყოველნაირად ბედნიერია და მაინც სტირის... რატომ? იმიტომ, რომ „გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძღომელი" და სხ. ბრძანებს ბ. გვაზავა.

არც ამ აზრს ვიზიარებთ. ავთანდილი თავის გულის გასაძღომად, თავის სურვილის მოსაკლავად კი არ სტოვებს საყვარელ არსებას და ყოველს ბედნიერებას, სიხარბით კი არ მისდევს რასმე მეტს თავისთვისვე, არამედ მოვალეობის შესასრულებლად სხვისა, მისი მეგობრის, მისი ძმობილის მიმართ. ის კმაყოფილი უნდა იყოს და არის კიდევაც ბედნიერი, მაგრამ მარტოოდენ პირადი ბედნიერებით ვერ კმაყოფილდება ადამიანი, რადგან მას აქვს მოვალეობა და ეს მოვალეობა არის გაცემული სიტყვის შესრულება, მეგობრისადმი სიმტკიცე, პირიანობა, თუნდაც ამას შეეწიროს ბედნირება პირადი და თვით სიცოცხლეც. პირველი ვალია მოვალეობის მოხდა და ეს ატირებს, ეს აწუხებს ავთანდილს, რომ მას მძიმე მოვალეობა აეკიდა, რომელსაც მოხდა უნდა და არც ისე ადვილია.

ყოველი ადამიანი პოემაში მოვალეობის აღსრულებაზე ზრუნავს. მარტო ასმათის მაგალითი რადა ღირს, — უდაბნოში, გამოქვაბულში თავგანწირული ტარიელს რომ არ შორდება, ასრულებს ერთხელ ნაკისრ მოვალეობას უკიდურესი მსხვერპლის შეწირვით.

ნესტან-დარეჯანი ციხეში პყრობილი, სრულიად სასოწარკვეთილი ტარიელს მაინც სწერს, მიეშველე მამაჩემს, სამშობლო განსაცდელში ჩააგდო მტრებმაო. ასეთს გაუსაზღვრელ ტანჯვაში მყოფს არ ავიწყდება მოვალეობა სამშობლოს წინაშე და მის სატრფოსაც მოუწოდებს აქეთკენ. აი, ამ მოვალეობის შეგნებას გულისხმობს შოთა, როცა ამბობს, მუშა მიწყივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდესო, — და მიჯნურსაც მმართებს მიჯნურობის ცოდნა და გაგება, სიყვარული და პატივისცემა ამ გრძნობისადმი და ღირსეულად ტარება ამ დიადი გრძნობისა.

ვერ დავეთანხმებით ბ. გვაზავას ვერც იმაზე, თითქო შოთას ციურთან არა ჰქონდეს რა საერთო და მხოლოდ მიწიერს უმღერდეს.

შოთას საიქიოც აქვს ნახსენები და სულზედაც ზრუნვა. ავთანდილი თავის ანდერძში ამბობს:

პირისპირ მარცხვენს, ორნივე მივალთ მას საუკუნოსა....

ესე იგი შევიყრებით რა მას საუკუნო განსასვენებელს, პირში წამიდგება და შემარცხვენს პირის გატეხისათვისაო. ეგ საუკუნო განსასვენებელი ხომ საიქიოა. ან კიდევ ნესტან-დარეჯანი თავის წერილში ტარიელისადმი ამბობს: „სული ჩემი შეივედრე, ზეცით მომხვდეს ნუთუ ფრთაენი"-ო. აქაც სულია, ზეცა. სხვა ადგილების ამოწერაც შეიძლებოდა, მაგრამ, მგონი, ესეც კმარა იმის დასამტკიცებლად, რომ შოთა სულის საკითხს, საიქიო ცხოვრებას გვერდს არ უხვევს.

შოთა არც მარტოდენ ზეცაზე ფიქრობს და არც მარტო სააქაოზე, არამედ მან მიწიერება ზეციურად ჰყო, აამაღლა. შოთას გმირები ყველა ჩვეულებრივი ადამიანებია, ხორციელი, მიწიერი, მაგრამ ყოველი მაღალი, ზეციერი, უაღრესად კეთილშობილური თვისებებით შემკულნი. შოთა არ გვიხატავს არც ზღაპრულ პიროვნებებს, რომელნიც მხოლოდ ნატვრით, სურვილით, პოეტური დასახვით შეიძლება ადამიანმა წარმოიდგინოს, არამედ ნამდვილ ცოცხალ ადამიანებს, მიწიერ ადამიანებს და ეს აძლევს მის პოემას უაღრესად რეალისტურ ხასიათს, ჰბადებს ძლიერ განცდებს მკითხველის გულში და აღვრევინებს მას ცრემლს.

კარგი იყო ის ადგილი ბ. გ. გვაზავას მოხსენებისა, სადაც ის შოთას მიერ მის პოემაში მოცემულ გრძნობისა და გონების ერთმანეთში დაუსრულებელ ბრძოლაზე ლაპარაკობდა. მშვენივრად დაასრულა მან: ერი, რომელმაც წარმოშვა შოთა, წარმოშობს ტარიელსაც, რომელიც დაამხობს ქაჯეთის ციხეს, იქიდან ტყვეობაში მყოფს ნესტან-დარეჯანს გაანთავისუფლებს და ეს ნესტან-დარეჯანი იქნება: თავისუფალი საქართველოო! დარწმუნებული ვართ, ყოველ იქ მყოფს გულში გაუელვა: ამინ!

ნ. დადიანი

## კასტელის არქივი

როგორც გვაუწყებენ, ბ-ნი შალვა ბერიძე ამჟამად იმყოფება სიცილიაში, სადაც ათვალიერებს „ბიბლიოტეკა კომუნალეში" დაცულ ქრისტეფორე კასტელის არქივს. არქივში ინახება კასტელის ხელნაწერები იტალიურ და ლათინურ ენაზე, რომელიც ეხება თეიმურაზ პირველს, ლევან დადიანს, გურიელებს და საერთოდ მეჩვიდმეტე საუკუნის საქართველოს, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს. კასტელმა 25 წელიწადი გაატარა საქართველოში და გარდაიცვალა შემდეგ სიცილიაში 1659 წ. 62 წლისა.. ხელნაწერი წარმოადგენს ექვს შეკრულ ტომს და დასურათებულია თვით კასტელის მიერ; სულ სამასამდე სურათია: მეფე, თავადები, ქალთა ტიპები, მცენარეულობანი, პირუტყვები და სხვა. როგორც ვიცით, მიხ. თამარაშვილმა გამოაქვეყნა მხოლოდ 17, ხოლო ბ-ნმა ალენმა კი მხოლოდ 5. დანარჩენი ჯერ ხელუხლებელია. ბ-ნი შალვა ბერიძე ალბად მოხსენებას წარუდგენს ნეაპოლის აღმოსავლეთ ენების ინსტიტუტს, სადაც იგი თანამშრომლობს და იქნებ შესძლოს ამ ინსტიტუტის დახმარებით კასტელის როგორც ხელნაწერების, ისე სურათების გამოცემა. ეს დიდი სასახელო საქმე იქნებოდა.

# საქართველოს ყოფა-ცხოვრება

## საბჭოთა გაზეთებიდან

**ზოგიერთი ციფრები.** როგორც ვიცით, ქართველი ხალხი ცოდნას დიდათ ეტანება. ბოლშევიკებიც ამ გარემოებას, სჩანს, ანგარიშს უწევენ, და სასწავლებელთა ქსელით ფართოდ იფარება საქართველოს რესპუბლიკა. შეიძლება სავსებით ვერ ენდოს კაცი საბჭოთა სტატისტიკას, მაგრამ იგი მაინც საყურადღებოა; საქართველოში ამ ჟამად მოიპოვება 17 უმაღლესი სასწავლებელი და უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი, სადაც სწავლობს 21,000-ზე მეტი სტუდენტი. **არა - სრული** საშუალო სკოლის რიცხვი უდრის 1073-ს. ხოლო მათში მოსწავლე ახალგაზრდების რიცხვი — 263,954 სულს. **სრულ** საშუალო სასწავლებელთა რიცხვი უფრო მცირეა, სულ — 391; ხოლო მოწაფეთა რაოდენობა მათში აღწევს — 226,29 სულ2ს.

საერთოდ ყველა ჯურის სასწავლებელში, სოფლის შკოლებიდან დაწყებული უმაღლესამდე — მოსწავლეთა რიცხვი აღწევს — 661,133-ს.

ამავე დროს **საბავშო ბაღები** საქართველოს ტერიტორიაზე არის მოწყობილი — 646-ი. იტევს 41,000 ბავშს. საბავშო მოედნები კი იტევს — 30,000 ბავშს.

საკმაოდ გაიზარდა **თეატრების** რიცხვი; 1937 წელს მუშაობდა სულ 40 თეატრი; ამათში არ შედის 8 თეატრი ახალგაზრდობისათვის და არა - რეგურიალური თეატრები კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გამართული.

**ალაზნის არხი** დღეს უკვე დათავებულია და მოქმედებაში მოყვანილი. მისი მორწყული მიდამოებით გლეხობას თითქმის არავითარი სარგებლობა არა აქვს, რადგან მთელი ის ტერიტორია, რომელსაც არხი უდგება, უმთავრესად საბჭოთა მეურნეობებით არის დაფარული.

ალაზნის ველს არხი ძველადაც ჰქონდა, რომელიც თამარ მეფის დროს იყო გაყვანილი; შოთა რუსთაველის იუბილეისთან დაკავშირებით მომხდარ კვლევებით დღეს აღდგენილია სურათი ამ ძველი კულტურის ნაშთის და შესაძლებელი ხდება მისი შედარება თანამედროვე ტექნიკის ნამუშავართან.

საინტერესოა, რომ თამარის არხი უფრო გრძელია დღევანდელზე 28 კილომეტრით და შესაძლებლობას იძლეოდა ათი ათასი ჰექტარით მეტი ფართობის მორწყვისას. იგი ანოყიერებდა 53,000-მდე ჰექტარს; დღევანდელს შეუძლია მხოლოდ 43,000 ჰექტ. დაკმაყოფილება. თვით მიმართულება ორივე არხისა თითქმის ერთი და იმავე ხაზით მიდის, ორჯერ ერთმანეთს ეჯვარედინება, გადასჭრის და თითქმის ერთსა და იმავე ადგილას უერთდება ალაზანის კალაპოტს.

**შირაქის ნავთი.** კომუნისტის ცნობით წინასწარი საძიებელი მუშაობა შეიძლება დამთავრებულად ჩაითვალოს პატარა შირაქის ფართობზე და აქ განზრახულია მომავალი წლიდან ჭაბურღილების სამრეწველო ექსპლოატაციას შეუდგენ. სულ გასულ წელს ამოღებულ იქნა 8,900 ტონა ნავთი. წელს ნავარაუდევია — 12,500 ტონის ამოღება. სამუშაოების გაფართოებას დიდათ აბრკოლებს უქონლობა გზის და წყალსადენის; ეს საქმე წინად „აზნეფტეპროექტს" ჰქონია მინდობილი, მაგრამ არაფერი გაკეთებულა; ეხლა ეს საქმე საქართველოს კომუნალურ მეურნეობის სახალხო კომისარიატისთვის მიუნდვიათ. არც ბინები, განათება და სხვა დამხმარე სამუშაოებია კარგს მდგომარეობაში და ამ მხრივ „კომუნისტი" მოითხოვს ხელისუფლებისაგან გადამჭრელი ზომების მიღებას.

**ნავთის გადასამუშავებელი ქარხანა,** რომელიც აშენებულია მირზაანში, დღემდე პრიმიტიული წესით მუშაობდა; ახლა დაწყებულია მისი რეკონსტრუქცია; ამ ჟამად მას შეუძლია დღე და ღამეში 45 ტონა ნავთობის გადამუშავება, და იძლევა 7 ტონა ბენზინს, 8 ტონა ასანთ ნავთს, 10 ტონა სალიასკას და სხვ. ქარხანა ზეთის გამომუშავებას დღემდე ვერ ახერხებს და ამიტომ დიდი ნაშთები უქმად იკარგება.

## ვეფხის ტყაოსანის ლექსიკონი

642
**გაარმებული** — უსიამოვნოდ მყოფი. **სიცოცხლე გაარმებული** — უსიამოვნო სიცოცხლის მქონი.
**მოჟამებული** — ჩანში შესული. **ნახვისა მოჟამებულმან** — ნახვის დროს მოღწეულმა.
**ამებული** — ნასიამოვნები.
643
**ლხინება** — მოლხენა; რგება. **მაგითა მას არა რა ელხინების** — ვისთვისაც ვკვდები, იმას არაფერს არგებს ეგა
644
**მომდებარი** — მომდები, მოძკიდებელი.
646
**შეჯერება** — დაყაბულება, დაკმაყოფილება, დათანხმება
647
**გენუკვი** — გთხოვ
648
**გასაყრელად** — გასაშორებლად.
**უკუ-ქარება** — დავიწყება.
649
**თხება** — გათხელება, შემცირება. **შენმან ჭვრეტა-სიახლემან მომაქაროს, სევდა მითხოს** — შენმა ცქერამ და სიახლოვემ გამიქარვოს სევდა და შემიმციროს.
650
**გულსადაგი** — გულ-წრფელი.
**მიწყივ** — მუდამ, მარადის.
**დაგი** — მხურვალება, წვა, ცეცხლის ალი.
653
**დაუგვანი** — შეუფერებელი
**თანის-თანი** — ერთი ერთმანეთზე მიყოლილი, ხშირი.
654
**გამხოკლება** — გახორკლიანება.
**გამლოკლება** — მლოკველად ქცევა.
659
**თვალ-დაფახული** — თვალდახუჭული.
**ხული** — ხულა კოხი.
661
**ხალვათი** — მარტოდ
**მოკამათე** — მოქიშპე, მოცილე.
662
**უკადრი** — ამაყი, გამბედავი
664
**ულამო** — სპეტაკი, ბრწყინვალე.
666
**ნიშატი** — მხიარულება, ლხინი.
668
**ნამა** — ნამვა, ნამით დასველება.
**ფიფქი** — ახლად მოსული თოვლი.
669
**უცნობო** — უცნაური.
670
**მნახი** — მნახველი.
672
**ნახლი** — ძვირფასი ნაქსოვი.
**სტავრა** — ძვირფასი ნაქსოვი.
673
**დუსჭირი** — უშნო; ნასი, გონჯი, ულაზათო.
677
**შესატყვისი** — შესაფერი, საკადრისი.
**მქისი** — მოწყენილი, მოსაწყენი. **მქისი სიტყვა** — მკვახე სიტყვა.
681
**ციაგი** — კაშკაში, ბრწყინვალება.
**დალონება** — ღონის გამოლევა, შეუძლებლობა, შეწუხება. დასუსტება.
682
**წავარნა** — ნაპრალი **ვითა ვეფხსა წავარნა და ქვაბი აქვს სახლად მენად** — როგორც ვეფხის ნაპრალი და გამოქვაბული აქვს საცხოვ-

რებელ ბინადო.
**მენა** — სამყოფი, სადგომი; **ქვაბი** — კლდეში გამოჭრილი ოთახი.

683

**ნავანები** — გაბრწყინვებული, სინათლით გავსებული.
**სათნებელი** — სასიამოვნო.
**თნება** — ამება.

684

**მომცქაფავი** — დაუფიქრებლად, აჩქარებით მთქმელი

685

**დამრიდი** — მორიდებული
**არამი** — უკანონო, ურიგო.
**ფლიდი** — უმაქნისი, არაფ გამოსადეგი.

688

**გასრულება** — შენახვა
**ბედ-ქმნილი** — უბედური.
**უვიცი** — უცნობი.

689.

**სიახლე** — სიახლოვე, ახლოს ყოფნა.
**წვერვა** — ცლა (სპობა); ლევა; ფუშვა.
**დამზრალი** — გაციებული, გაყინული.

690.

**სამ ანუ სამე** — სადმე
**ნასამალი** — მესამედი.

692.

**სულის-მხდელი** — გამომყენებელი, მომხმარებელი, მოქმედი.
**მხდელი** (ხდა) — მოკიდება, მოვლება.

693.

**ახიოს** — დაარექოს. **ახიოს ახეოს** — ხედ გაზარდოს. **ახიოს** — ახმიოს. ახიოს, ეყოს ახიოს — ახი როცა გაყვა, ხმა მაღლა იჩივლოს.

694.

**რეტი** — შეგნება-დაკარგული, **გული-რეტი** — დახურული გული.
**მეტის-მეტი** — უმეტესი

695.

**ლებვა** — დალურჯება, ნაცემის დაჩენა.

696.

**დალვა** — დადალვა, დალის დაჩენა, დაშანთვა.

697.

**ბევა** — დარჭობა.
**ჩმახი** — უაზრო, უგუნურად ნათქვამი.

698.

**წანწარება** — ძანძარი, კანკალი.
**მიხვრა** — მოძრაობა.
**მიაწარებს** — გაიტარებს.
**სუდრვა** — სუდარაში გამოხვევა. **სუდარა** — მიცვალებულთა შესახვევი ტილო.
**ზეწრვა** — ზეწარში გახვევა
**მი** — გამეორება ზმნისა: — მიხრის.

700.

**ჟამ-ჟამად** — ხანდახან
**მთმო** — დამთმობი, მომტოვებელი, უარმყოფელი.

701.

**საგულისო** — გულს რაც შეეხება.
**მოზმა** — მიღება, მოტანა.
**ნამეყვისო** — სანათესაო; ახლო ნამყოფი, ნაქონები.
**ბისონი** — წითელიფერის ნივთიერება.

702.

**მხმობი** — მიმწოდებელი.
**ძილ-ნაკრთომი** — უძილოდ ნამყოფი.
**ჯარვა** — შერევა სიმრავლით.
**მსწრობი** — **დამსწრობი**, უწინარეს მქნელი.
**ნობი, ნობა** — საყვირი.

703.

**ქოსი** — დიმპლიპიტო.
**მიდამოდ** — აქეთ-იქით.

704.

**შემოქცევა** — შემობრუნება
**ჩანგი** — არფის ანუ ქნარის მსგავსი საკრავი.
**ჩალანა** — მეჩანგეთ სამღერელი.
**რული** — როგორი

705.

**კრთომა** — რხევა, გამოსვლა შეშინება.
**დაჯრა** — შეყრა ჯარად.

706.

**უარებდის** — უვლიდა.

707.

**სავაგლახე** — სამწუხარო.

708

**დასალვარო** — დასალვრელი

709

**რაზომცა** — რამდენათაც
**წადება** — წადილი, სურვილი
**დება** — მოკიდება (ცეცხლი-სა).
**კვლა** — კვლავ, კიდევ

710.

**დათმობა** — მოთმენა, ჭირის ატანა.

712.

**უქი** — უქმებელი
**ხატაური** — ჩინური; ჩინური ფული.
**სუნნელი** — კეთილ-სუნოვანი.
**ლაფალი** — გულ-აცრუებული, უგულო.
**ქვება** — ქვევითი.
**ბუქი** — თოვლ-ქარი.

713.

**ჯალაბობა** — მთელი ჯალაბი ერთად. **ჯალაბი** — სახლ-ში მყოფნი, როგორც სახლის შვილნი, ისე მოსამსახურენი.

714.

**საურავი** — გასარიგებელი, შრომა.
**თნევა** — მოფერება, თანხმობა; სათნო ყოფნა; პირფერობა.

715.

**შეზლვა** — სამაგიერო მიგება
**შეუზლველი** — სამაგიერო გადაუხდელი.

716.

**და** — გამეორება ზმნისა — დაება.

719.

**სრვა** — ხოცვა, კვლა. **მტერთა სრვად დაუფარი** — მტერთა ხოცვის მოურიდებელი.
**უსტასრა** — სასახლის უფროსი.

720.

**მეუზრახე** — უტყვი, უთქმელი, გაჩუმებული.
**ვიშიშვი** — მეშინია.

721.

**ხოლმე** — ხომ.

722.

**დაჭმუნება** — დალონება, დადარდიანება.
**დაძაბუნება** — დაგლახავება

725.

**წარება** — სლვა. **ვეჭვ, წამიწა არ წამაროს** — ვეჭვობ, ერთი წამი გამატარებინოს, (მაცოცხლოს).
**საგმარება** — საგმოდ გახდენა, დაწუნება, დაძრახვა.

726.

**სიცოცხლე გლახ ვით გათიო?** ვაი, სიცოცხლე როგორ შემოგწირო?
**წვრთა** — სწავლება, რიგება — დარიგების მიცემა.

727.

**მოღორება** — მოტყუება.
**დაღორება** — მოტყუება.
**დათამამება** — გაკადნიერება, გათავხედება.

730.

**ხდა** — მოკიდება, მოვლება.
**ხელის ხდა** — გამოყენება, ხმარება.
**უცნობო** — უგონო, გონება-დაკარგული.

731.

**გაცვილება** — ცვილად ქცევა, გარბილება.
**გატინება** — კლდეთ გახდომა, გამაგრება.
**ჯეონი, გეონი** — მდინარეა სამოთხისა; **ოქსუსი** — ამურდარია. საზოგადოთ დიდი მდინარე.

732.

**შეუგებლად** — გაუგებრად.
**გასაძებლად** — გასადევნელად, გასაძევებლად.
**საწამებლად** — სატანჯველად.

733.

**არა მგამა** — არ მენაღვლება

734.

**წაღმართვა** — პირდაპირ მიმართვა. **პირი მზეებრ ეწაღმართა** — მზის მსგავსად იცქირებოდა.
**შემართვა** — გაბედვა.
**დაყრა** — მორჩილება.

735.

**დაყმუნება** — გაჩუმება.
**ვებული** — რაზედაც ვაება გაუწევია, ვაება-გამოვლილი

736.

**ჭმუნვა** — მწუხარება, დარდი
**რიდება** — მორიდება
**უმისყმისოდ** — იმ ყმის (ვაჟკაცის) უნახავად.
**ფლიდობს** — უარყოფს. გაცუდებულია.

737.

**ანაზდენობა** — უცებ მოვლენა. **რისხვანი თუცა იანაზდენითა** — თუ რისხვა მომავლენით, გამირისხდით.

738.

**გაგულისება** — გაჯავრება.
**გაუცნობება** — ცნობის დაკარგვა, გაბრაზება.
**შეშთობა** — დახრჩობა, შეშინება.

739.

**ლადარი** — დაუნდობელი, მოლალატე.
**ადრად** — ადრე, წინად, უცბად, სწრაფად, ანაზდათ.
**მუხთალი** — მოლალატე, მიცემული სიტყვის გამტეხი.
**კადრება** — გაბედვით თქმა.

740.

**დარიდება** — მორიდება
**შეჭედვა** — რკინით ან ოქრო-ვერცხლით დაფარვა.
**რად არ ყურნი შემეჭედნეს** — რატომ ყურები არ დავიცვევი.
**მიქედვა** — ტვირთვა, თავზე ალება, კისრ დადება.

741.

**წბილი** — სამარცხვინო.
**შაბაშ** — ეს სიტყვა მოწონებისაა.

742.

**შელეცვა** — რამეზედ მირტყმით დამტვრევა, დალეწვა.
**დაცდუნება** — აცდენა, ვერ მოხვედრა; დაცილება.
**ალმასება** — გაალმასება, გაბრაზება.
**ძეწნება** — ძეწნად გახდომა, გარბილება, დაწყნარება.
**ძეწნა** — არის ერთგვარი ხე.
**აზიწია** — აფხეკა.

743.

**გამორიდება** — მორიდებით წამოსვლა.
**ძრწინვა** — შიშითა და მორიდებით თქმა.
**გამომელება** — თავის დახრევა.
**შეის** — შესვლისას; **ჯერ გაის** — გასვლისას; **მერმე მოყიდნება** — შერცხვენა, სახელის გატეხა.

744.

**რაძინ** — რაც
**გასიენება** — მოსვენება.

745.

**გაიქუშაგი** — მოწყენილი.
**გაწბილება** — შერცხვენა
**გახსება** — გაწარჩინებითობა.

746.

**წყურვება** — იწყლოო კოცნა, მოკლება.

**საწყლიანოდ** — სახუმაროდ, სალაპარაკოდ.
**შეურვება** — შეწუხება, დალონება.
**ქადებული** — დაპირებული
747.
**შლუობა** — ტუტუცობა, ჭკუა ნაკლებობა.
749.
**აროს** — არასოდეს
750.
**სბრილა** — სიარული.
751.
**გაბრჭობა** — გაგება, შეტყობა, გარჩევა.
**კერძი** — ნაწილი, წილი. ჩემად კერძად — ჩემ წილ, ჩემ მაგიერ
**გადაფხვრა** — ამოფხვრა. გაწყვეტა.
753.
**შეცალება** — შეტოლება, შეთანასწორება.
**შეწონება** — შედარება, შეფარდება, შეტოლება.
754.
**უებრობა** — უტოლობა, უცალობა, მეტის მეტი სიკეთე
757.
**მტკიცობა** — მტკიცედ ყოფნა.
**სათუობა** — სეჭვოდ ყოფნა
**ვაება** — ვაის ძახილი, წუხილი. **უობა** — უის ძახილი.
**კუშტობა** — მწყრალობა
**უშება** — უშის ძახილი, წყენის გამომსახველი.
758.
**გავლენა** — ყურადღების მიქცევა, პატივისცემა.
759.
**ლები** — ნაცემი, დალურჯებული.
760.
**თავადობა** — უფროსობა.
765.
**ხამება** — საჭიროდ ყოფნა
**ფერება** — გამოჩენა, გამოჩვენება.
766.
**მომონება** — მონად გახდენა
**საჟუგო** — სათაკილო, საზრახავი.
773.
**დასაზღვრა** — გასაზღვრა, გამიჯვნა, საზღრის დადება.
**წამის-ყოფა** — დახამხამება, თვალის ქმნა.
774.
**თნება** — ამება.
775.
**მცნება** — ბრძანება; სურვილი, დარიგება.
**თნება** — თანხმობა.
**სახმილი** — ღუმელი, ქურა; ცეცხლი: მწუხარება, დარდი
777.
**ავლი** — ფერფლი.
778.
**საძაბუნო** — მოშლილის ან სუსტის შესაფერი.
779.
**უარე** — უარესი
780.
**ბლმექელი** — მღრექელი.
**შემდრაკალი** — უკან-დახეული.
**მეჭველი** — ფიქრში მყოფი, მოშიშარი.
**მბეჭველი** — მქსოველი.
**მოხვეჭა** — შეძენა.
**მოსახვეჭელი** — შესაძენი, საშოვნელი, მოსაპოებელი.
783.
**მლმობელი** — შემატკივარი, თანამგრძნობი.
784.
**ანაწონები** — აწონილი.
**ღვწა** — დამადლება. **მიღწვიან** — დამიმადლებენ.
785.
**ხანაგა** — საობლო სახლი.
786.
**ცნევა** — ცნობა, შეტყობა.
787.
**ნაკი** — ზედმეტი.
**ფრქვეული** — მოღვრილი
789.
**დამეტება** — გადამეტება, ჯობნა; აღმატება.
791.
**ქვენათ-ზე** ((ქვენათ ზესა) — ცა და დედა-მიწა.
**ქუში** — გულმწყრალი.
795.
**დალება სულისა** — დაწყნარება.
**გათრევა** — გალანძღვა, გაკიცხვა.
**აზომ** — ამოდენად, ამ ზომამდე.
**გულის-გული** — საყვარელი სასურველი.
796.
**გაკვლადება** — გამეორება, გაგრძობა.
797.
**ნაგუშინდელევი** — გუშინდელი; ნათქვამი.
**ლევი** — საკუთარი სახელია
**უუბარი** — უპასუხო, ხმა-გაუცემელი.
801.
**დარულად** — დარივით.
802.
**ხოკვა** — კაწრვა, ფხაჭნა.
804.
**მჭევრი** — შნოიანი, მოყვანილი, შვენიერი.
**ჯავარ-სრული** — შვენიერის გარეგნობის მქონი.
806.
**მიდრეკა** — თვალთაგან მიფარება, მიმალვა.
812.
**მცრობა** — სიმცირე.
**მიხდომა** — გაშორება, წართმევა.
813.
**დილაჯი** — წყარო, მდინარე
817.
**სათი** — გიშერი.
820.
**ჭავლი** — წყლის წყნარი ღელვა, ციმციმი.
821.
**გულ-მარიხიანი** — გულ-მაგარი.
822.
**ბრჭალი** — ფრჩხილი.
**ნახოკარი** — ნაკაწრი, ნაფხაჭნი.
823.
**წვთომა ანუ წთომა** — წვეთებად დენა, წვეთვა.
826.
**გაპირება** — გაბედვა
828.
**გაკიდება** — გაშორება
829
**უმართლე** — უმართლესი, უფრო მართალი.
**შელმობა** — შეტკივება.
**ლმობილი** — მოლბილებული.
830.
**სასჯელი** — მწუხარება.
**შენაძრწენი** — შემაწუხებელი, შემაძრწუნებელი.
**დიჯლა, დილაჯი** — მდინარე ქაშმირში.
831.
**დავედრება** — დაბარება.
832.
**სათუები** — საეჭვო.
833.
**შეჭირვება** — მწუხარება
**მხოალბედი** — მოსარბილებელი, მოსალბობელი.
**ზედა - ზედა** — რაც ზედაზედ ხდება.
**ნაქმარი** — ნაკეთები, გაკეთებული.
834.
**ჩინი** — ჩინეთი.
**არაკი** — ამბავი.
836.
**ბროლ-სადაფი** — მარგალიტის ნიჟარა ანუ ბუდე.
837.
**მთოველი** — მომცემი.
**დავლა** — დოვლათი, ქონება
1044.
**გაყმობა** — გაყმაწვილება.
1048
**ქენება** — ხვეწნა, თხოვნა
1051.
**ნირი** — ნიხრი, მაზანდა.
1052.
**თათი** — უჩლიქო ოთხფეხთა ფეხის გული.
1059.
**ლიზღობა** — ალერსი, მიფერება.
**შეკვეთა** —მოწონება, მოხიბლვა.
1061.
**მიღმა** — პირდაპირ, იქით.
**გაპირება** — დამართება.
1066.
**ნეტარძი** — ნეტავიმცა.
1068.
**მოჩმახვა** — უაზროდ ლაპარაკი ან წერა.
1079.
**მოსადგურე** — სადგური მიმცემი.
1071.
**გაქხვა** — დაკავშირება, გაერთება.
**ყოლა** — სრულიად
1074.
**ლამი** — ღვარი.
1077.
**დარაკი** — ფარი.
1080.
**წკარი** — სწრაფად მიმდინარე პატარა წყლის ხმა.
1081.
**იავარ-ყოფა** — აკლება, მოტაცება; მოოხრება, გაძარცვა
1087.
**სიძუნტე** — უთაურობა.
1099.
**ნავროზობა** — მაჰმადიანთა ახალწლის დღესასწაული.
1100.
**დგრიალი** — ხმაურობა ცხენების ჭენებისა.
1104.
**ნატიფი** — შვენიერი, ლამაზი, მოხდენილი.
1106.
**უკმოხმა** — გამოღება.
1110.
**დაწუხება** — დახუჭვა.
**უკმოხმვა** — გამოხურვა.
1111.
**მხლტომელი** — მხტომელი.
1112.
**ზედალმან** — ზევიდან.
1115.
**ზედათ** — ზევიდან
1116.
**გასულება** — სულად ქცევა.
**გავსულე** — ვეტრფიალე.
1117.
**ხომი** — ვარსკვლავთ კრებული.
1120.
**უჟამობა** — უდროობა.
1124.
**აყიყი** — ძვირფასი ქვა.
1131.
**ლაციცება** — მიალერსება.
1141.
**ძოლანდლიდგან** — იმდღიდან.
1143.
**არიფი** — ამხანაგი, ტოლი, სუფრის მოზიარე.
**ცქაფი** — სწრაფი, აჩქარებული; დაუფიქრებლად მთქმელი.
**უწფელი** — უზრდელი, გაუთლელი, გაუწაფელი.
**მხწრომელი** — მეტის და უადგილოდ მოლაპარაკე.
1144.
**ფარჩი** — ერთგვარი სასმისი, ხელადა.
**მაქა** — მეკკა.
**ნაგი** — შეობა, ფორმა.
**დაგი** — მხურვალება, წვა.

ივ. ჯავახიძე.




ჰაიდარ ბამატი: — ბევრი იტრიალა, ბევრი იწრიალა, მაგრამ მაინც მოედო ანკესს...

შალვა ამირეჯიბი: — ეგ ცხრაფეხა სხვა ქურჭელში მოათავსე, თორემ სისხლს გაგვიშრობს... ვიცნობ მე მაგას!